

# არსენალი

№4 (125). 18 თებერვალი – 3 მარტი, 2011 წ. სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა
12
1425/2
2011



## რას აღმოაჩენს კახეთიდან ამერიკული რადარი თეირანის თავზე

## ეგვიპტის პრეზიდენტმა წყალტუბოში იმკურნალა

## რჩევანი: ვტომატი თუ თოხი



## ავღანეთში უკვე სამხედრო ინსტრუქტორებს ვაგზავნით

## როგორ უნდა მოიპარო „მფრინავი ციხესიმაგრე"...



ეროვნული ბიბლიოთეკა



„საქართველოს ლეგიონის" შესახებ

16




შვეულმფრენები ვიეტნამის ომში

30



„ასალა" – სომხური ტერორისტული ორგანიზაცია

24

ჩინური დრაკონის ჯავშანი

36





ავტომატი თუ თოხი

14



დასაკეცი შაშხანა ტურისტებისთვის

54

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი

**კალეიდოსკოპი**

4 სამხედრო სიახლეები

**სიახლე**

7 ამერიკულ ავიამზიდებს უპილოტოები იპყრობენ

**მისია**

8 ავღანეთისთვის უკვე სამხედრო და საპოლიციო ინსტრუქტორებსაც ვამზადებთ

**შემთხვევა**

9 ტრაგედია ექვიანობის ნიადაგზე

**პერსპექტივა**

10 კახეთიდან ამერიკული ანტისარაკეტო რადარი მთელ ირანს გააკონტროლებდა

**საფრთხე**

11 „ნოვოროსიისკი" შავი ზღვისკენ მოემართება

**რეგიონი**

12 კავკასიური მოვლენების მიმოხილვა...

**ალტერნატივა**

14 არჩევანი: ავტომატი ან თოხი

**პატრიოტული აღზრდა**

16 „საქართველოს ლეგიონის" საზოგადოებრივი და სამხედრო მიზნები

**რევოლუციები**

18 ეგვიპტე რთული პროცესების მოლოდინში

**სპეცსამსახურების არქივებიდან**

21 ინდოეთი კა-გე-ბეს არქივებში

**ტერორისტული ორგანიზაციები**

24 სომხეთის გათავისუფლების საიდუმლო სომხური არმია („ასალა") — უჩინარი ტერორისტები

**ინოვაციური ტექნოლოგიები**

30 შვეულმფრენები — ვიეტნამური გამოცდა

**ტანკმშენებელი ქვეყნები**

36 ჩინური ტანკები — წითელი დრაკონის დაჯავშნული ბრჭყალები

**სტრატეგიული დესანტი**

42 „სიმაგრე ჰოლანდიის" დაცემა

**მკითხველის გვერდი**

46 ჩინური ბალისტიკური რაკეტა ამერიკულ ავიამზიდებს დაემუქრება

**სამხედრო ისტორიები**

49 როგორ უნდა მოიპარო „მფრინავი ციხესიმაგრე"...

**სამხედროების იცინიან**

52 ოჯახის ომი

**„არსენალის" იარაღის მაღაზია**

54 დასაკეცი შაშხანა ტურისტებისთვის

პალიტრა მედია

## რედაქტორის სვეტი

ეგვიპტის სამკვირიანი რევოლუცია პრეზიდენტ მუბარაქის გადადგომით დასრულდა. ძალაუფლება სამხედროების ხელში გადავიდა, რომლებიც დემოკრატიული არჩევნების ჩატარების პირობას იძლევიან. მაგრამ რა პროცესები განვითარდება ეგვიპტეში, ძნელი სათქმელია. არ არის გამორიცხული ექსტრემისტული ისლამის გაძლიერება, რის შემთხვევაშიც წაგებული სწორედ ისრაელი და აშშ დარჩებიან, რადგან მხარი დაუჭირეს მუბარაქის რეჟიმის დამხობას.

რევოლუცია გადამდებია და ანტისახელისუფლებო მიტინგები ახლო აღმოსავლეთის სხვა მუსლიმანურ ქვეყნებშიც მოსალოდნელია, რამაც შეიძლება კიდევ უფრო დაძაბოს სამხედრო-პოლიტიკური ვითარება ამ ისედაც ფეთქებადსაშიშ რეგიონში.

*ირაკლი ალადაშვილი*
*თემურ ჩაჩანიძე*

ყურადღება!
გამოიწერეთ „არსენალი"
და მიიღეთ შინ,
ორ კვირაში ერთხელ!
ტელ: 38-26-74; 38-26-73

რედაქციის დაუკითხავად მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

გადაცემულია დასაბეჭდად
14.02.2011

გაზეთ „კვირის პალიტრის" დამატება ©
რედაქციის მისამართია:
თბილისი, იოსებიძის ქ. N49
ტელ: 38-83-07 (121)

სარეკლამო განყოფილება:
ტელ: 37-78-07; 38-78-70
email: arsenali@kvirispalitra.com
ჟურნალი გამოდის
ორ კვირაში ერთხელ
პარასკევს

# უფულობამ ბრიტანული მომავლის ფრეგატის სპონსორების ძებნა დააწყებინა



დიდმა ბრიტანეთმა და კანადამ ახალი ფრეგატების ერთობლივად შექმნისთვის მოლაპარაკება დაიწყეს. მუშაობა GCS-პროგრამით მიმდინარეობს და ხომალდები ორივე ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ძალებს შეემატება.

დიდი ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო ძალებში ახალი ფრეგატები (Type 26) 2020 წლიდან გამოჩნდება და Type 23 პროექტის ხომალდებს ჩაანაცვლებს. როგორც ამ ქვეყნის თავდაცვის სამინისტროში აცხადებენ, პროექტით ავსტრალია, მალაიზია, ახალი ზელანდია და თურქეთიც დაინტერესდნენ.

დიდი ბრიტანეთის თავდაცვის უწყებამ ახალი საბრძოლო ხომალდების დაპროექტებაზე კონტრაქტი კომპანია BAE Systems-თან 2010 წელს გააფორმა.

გარიგების თანხა 127 მლნ გირვანქა სტერლინგს (202 მლნ დოლარი) შეადგენს. ფრეგატი უნივერსალური დანიშნულების იქნება.

გაერთიანებული სამეფო პროექტის განხორციელებას დამოუკიდებლად აპირებდა, მაგრამ სამხედრო ხარჯების მკვეთრმა შემცირებამ მოგვიანებით პროექტში სხვა სახელმწიფოების ჩართვა გადააწყვეტინა.

# პენტაგონი M4-ისთვის „თანამოძმეს“ ეძებს



აშშ-ის არმია 2011 წლის მაისში ახალი ავტომატის მიწოდებაზე გამოაცხადებს ტენდერს, რომელსაც სამომავლოდ ამერიკელი სამხედროები მოდერნიზებულ M4A1-თან ერთად გამოიყენებენ. სავარაუდოდ, კონკურსი სამწლიანი იქნება, ხოლო ტენდერში გამარჯვებულთან 30 მლნ დოლარის ღირებულების ავტომატების წარმოება-მიწოდების კონტრაქტი გაფორმდება.

ტენდერის ოფიციალურად გამოცხადების შემდეგ მონაწილეებს წინადადებათა წარდგენისათვის ორი თვე აქვთ. ამის შემდეგ ახალ ცეცხლსასროლ იარაღს აშშ-ის არმია 12-18 თვის განმავლობაში საველე გამოცდას ჩაუტარებს.

აშშ-ის არმია კალიბრზე შეზღუდვას არ აწესებს. ცნობილია, რომ ახალი იარაღის მიზანში სროლის მინიმალური მანძილი 500 მეტრია.

ახალ ავტომატზე ტენდერის გამოცხადებასთან ერთად აშშ-ის არმია M4-ის შემდგომ მოდერნიზაციასაც გეგმავს. პირველ ეტაპზე კარაბინი დაიხვეწება M4A1 ვერსიამდე, რომელსაც უფრო მძიმე ლულა აქვს და ავტომატურ რეჟიმში მაღალი ტემპით ისვრის. მოდერნიზაციის მეორე ეტაპი უახლოეს ხანშია დაგეგმილი და მიზანი M4A1-ის სროლის ეფექტურობისა და სიზუსტის მახასიათებლების გაუმჯობესებაა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# იტალიელი მონადირეები ერთმანეთზე „ნადირობენ“



იტალიაში ბოლო ნადირობის სეზონს, რომელიც 4 თვე გრძელდება და ჯერ კიდევ არ დასრულებულა, უკვე 34 მონადირის სიცოცხლე შეეწირა. ყველა მათგანი თავისივე ამხანაგის მიერ შემთხვევით ნასროლს ემსხვერპლა. ამასთან, მონადირეთა ნასროლი „ბრმა ტყვიისგან“ 74 კაცი — 61 მონადირე და 13 შემთხვევით გამვლელი დაიჭრა.

ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ უბედურ შემთხვევათა ასეთი მაღალი მაჩვენებელი იტალიური სამონადირეო კანონმდებლობის ლიბერალურობითაა განპირობებული. მონადირეებს კანონით უფლება აქვთ, კერძო ტერიტორიებზეც ინადირონ და თან ცეცხლსასროლი იარაღი სავალი გზიდან 50 მეტრში, დასახლებული პუნქტიდან კი 150 მეტრის დაშორებით გამოიყენონ.

იტალიის ტურიზმის მინისტრი მიკელა ვიტორია ბრამბილა, რომელიც ცხოველთა უფლებების აქტიური დამცველია, ახლა კი ადამიანის უფლებების დაცვაც უხდება, დისტანციის ორჯერ გაზრდასა და კერძო ტერიტორიებზე ნადირობის აკრძალვას მოითხოვს, მაგრამ ნადირობის მოტრფიალე პოლიტიკოსებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს.

არადა, სოციოლოგიური კვლევებით, იტალიაში ნადირობისადმი ინტერესი სულ უფრო იკლებს. ბოლო მონაცემებით, გართობა-დასვენების ამ საშუალებას მოსახლეობის მხოლოდ 18% მიმართავს.

# პატარა ბიჭუნა eBay-ზე გამანადგურებელს ყიდულობდა



7 წლის ლონდონელ ბიჭს eBay-ს ონლაინაუქციონზე რეაქტიული ბრიტანული გამანადგურებლის Harrier-ის შეძენამდე სულ ცოტა დააკლდა. სამხედრო თვითმფრინავების მოყვარულმა ბიჭუნამ საიტზე თვალი მოჰკრა თუ არა 69.999 გირვანქა სტერლინგად (113 ათასი აშშ დოლარი) შეფასებულ მოდელს, ღილაკ „ყიდვას“ დაუფიქრებლად დააჭირა თითი.

ბიჭუნას ნამოქმედარის შესახებ დროულად შეიტყო მამამ, რომელიც უმალ დაუკავშირდა გამანადგურებლის გამყიდველს და ვითარება აუხსნა. Harrier-ის ონლაინაუქციონზე გამომტანი ორგანიზაცია Jet Art Aviation-ი აღმოჩნდა, რომლის წარმომადგენლებმა ვაჟიშვილის ოინებით შეშფოთებული მამის გულწრფელი მობოდიშება მიიღეს.

ამ დროისთვის eBay-ის საიტზე გასაყიდად გამოტანილ გამანადგურებელზე ინფორმაცია აღარ მოიპოვება. სავარაუდოდ, Harrier-მა ან რეალური მყიდველი გამოძებნა, ან მეპატრონეებმა ამ ინციდენტის შემდეგ გაყიდვიდან ამოიღეს.

როგორც ირკვევა, მსგავსი „გაუგებრობები“ ინტერნეტაუქციონებზე იშვიათობა არ არის. მაგალითად, შარშან ოკლენდელმა სამი წლის გოგონამ, რომელიც კომპიუტერთან მაუსის დაწკაპუნებითა და კლავიატურაზე კაკუნით თამაშობდა, Trade Me-ს ინტერნეტაუქციონზე ბულდოზერი შეიძინა.



საქართველოს პარლამენტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მომავლის სუპერმეომარი „ბერსერკის სინდრომით“?



არმიის ისეთი მეომრებისგან შედგენაზე, რომლებსაც შიში, დაღლილობა, სიცივე, შიმშილი და სხვა ადამიანური გრძნობები დათრგუნვილი ექნებოდათ, მე-20 საუკუნეშიც ფიქრობდნენ. ცნობილია, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს ამერიკელ ჯარისკაცებს ამ მიზნით ამფეტამინის აბებს აძლევდნენ, რომელიც იმხანად საშიშ ნარკოტიკად ჯერ კიდევ არ მიიჩნეოდა.

სასურველი ეფექტის მისაღებად სხვადასხვა სახელმწიფო სამხედროებზე სხვა ფსიქოთროპულ საშუალებებსაც ცდიდნენ, მაგრამ შედეგი ყველა მათგანს უარყოფითი ან სულაც არაპროგნოზირებადი ჰქონდა.

როგორც ჩანს, სუპერმეომრის შექმნის მსურველები ამან მაინც ვერ შეაჩერა. ოღონდ, ამჯერად მკვლევრები არა მედიკამენტების ეფექტს, არამედ ადამიანის შინაგან რესურს აკვირდებიან და სწავლობენ. მათი ვარაუდით, ემოციების სურვილისამებრ მართვისა და ფიზიკური ტკივილის უგრძნობლობის „ღილაკი“ ისევ და ისევ ადამიანის ფსიქიკასა და ფიზიოლოგიაში იმალება.

საინტერესოა, რომ ამ „ღილაკისთვის“ დიდი ხნის წინ მიუგნიათ ვიკინგებს, რომლებიც ერთხანს მთელ ევროპას შიშის ზარს სცემდნენ და დაუმარცხებელ მეომრებად ითვლებოდნენ. სპეციალისტებმა მათი კულტურა შეისწავლეს და აღმოაჩინეს, რომ ყოველი ბრძოლის წინ ისინი ტრანსში შესვლას ახერხებდნენ, რომლის ზემოქმედებითაც ადამიანური ემოციების უმეტესობას თრგუნავდნენ და მრისხანენი ხდებოდნენ.

მეცნიერება ამ მდგომარეობას „ბერსერკის სინდრომს“ უწოდებს და მიიჩნევა, რომ მისი მიღწევა შთაგონებით შეიძლება — ადამიანმა თავისი უძლეველობა ან თავად, ან სხვისი დახმარებით უნდა ირწმუნოს. შედეგად, ორგანიზმი ყველა ფარული ენერგეტიკული შესაძლებლობების მობილიზებას ახდენს.

რა თქმა უნდა, შთაგონებით გამხნევებული მეომრების ყოლა მსოფლიოს ნებისმიერ არმიას სურს და ერთბაშად რამდენიმე ქვეყანაში „ბერსერკის სინდრომის“ შესწავლა გამალებით მიმდინარეობს. საერთოდ, რამდენად ჰუმანურია ეს მეთოდი, სადავო და საჩოთირო თემაა, თუმცა ჯარისკაცებისთვის ფსიქოთროპული პრეპარატების მიცემას აშკარად სჯობს.

# ტომ კრუზმა თავისდაუნებურად ჩინური ავიაცია „გააპიარა“

ბლოგერებმა ჩინური ტელეკომპანია China Central Television (CCTV) სიუჟეტის გაყალბებაში ამხილეს. როგორც ირკვევა, ტელეკომპანიამ 1986 წელს გადაღებული ამერიკული ფილმიდან „საუკეთესო მსროლელი“ (Top Gun), სადაც მთავარ როლს ტომ კრუზი ასრულებს, კადრები „ამოჭრა“ და თავის სიუჟეტში უტიფრად გამოიყენა, რომელიც ჩინური სამხედრო-საჰაერო ძალების სწავლებებს ეძღვნებოდა. გადაცემა ეთერში იანვრის ბოლოს გავიდა და ჩინურ ავიაგამანადგურებელ Chengdu J-10-ს მიეძღვნა, ხოლო ფილმიდან „კოპირებულ“ კადრებს კი ჩინელი სამხედროების კომენტარები ერთვოდა.

სიუჟეტში J-10-ის სხვა გამანადგურებელთან ახლო დისტანციაზე ბრძოლის სასწავლო სცენა იყო წარმოდგენილი. კადრში ჩანს, როგორ უშვებს J-10 „ჰაერი-ჰაერი“ კლასის რაკეტას და ანადგურებს პირობით მოწინააღმდეგეს, რომელიც ცეცხლის ალში ეხვევა და ნაწილებად იშლება.

სიუჟეტი მოგვიანებით სამხედრო თემატიკის ინტერნეტფორუმებზეც მოხვდა და მომხმარებლებმა მასში უმალ ამოიცნეს ფილმის „საუკეთესო მსროლელის“ საფინალო ბრძოლის სცენა. მართლაც, კადრებით თუ ვიმსჯელებთ, თვითმფრინავი, რომელსაც ჩინური რაკეტა ხვდება, სწორედ ის ამერიკული გამანადგურებელი F-5E Tiger II-ია, რომელიც ზემოთ აღნიშნულ ფილმში საბჭოთა МиГ-28-ს ასახიერებს (Top Gun-ის გადამღებებს რატომღაც მიაჩნდათ, რომ არსებობდა ასეთი დასახელების საბჭოთა გამანადგურებელი). ფილმისა და ჩინური სიუჟეტის კადრების შედარებისას არა მარტო თვითმფრინავები, აფეთქებაც კი იდენტურია.

ინტერნეტაყალმაყალის შემდეგ ჩინურმა ტელეარხმა თავისი საიტიდან სიუჟეტი მალევე გააქრო, მაგრამ ვიდეომ ქსელში გავრცელება მაინც მოასწრო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამერიკულ ავიამზიდებს უპილოტოები იპყრობენ




უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში მსოფლიოში უპილოტო საფრენი აპარატების ბუმია და ეს გასაკვირი არც არის. ყველა, ვისაც კი სურვილი აქვს, საკუთარ უპილოტოებს ქმნის ან სხვისგან ყიდულობს და შემდგომ საკუთარ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოჰყავს. ასეა თუ ისე, ბევრი სამხედრო სპეციალისტი საფრენი აპარატების ამ სახეობაში ავიაციის მომავალს ხედავს.

ბოლო დრომდე უპილოტო საფრენი აპარატები სახმელეთო ბაზირებისა იყო. თუმც სულ მალე შესაძლებელი იქნება, რომ მათ ხმელეთის გარდა საბრძოლო ამოცანები ზღვაში — ავიამზიდების გემბანებიდან შეასრულონ.

6 თებერვალს აშშ-ში „ედვარდსის" ავიაბაზიდან ჰაერში პირველად აფრინდა საგემბანო ბაზირების უპილოტო საფრენი აპარატი **X-47B**. სწორედ ის უნდა გახდეს აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტის უპილოტო ავიაციის მთავარი კომპონენტი.

კომპანია Northrop Grumman-მა მასზე მუშაობა 2007 წელს დაიწყო, მაგრამ ტექნიკური პრობლემების გამო პირველი გაფრენა არაერთხელ გადაიდო. კიდევ რამდენიმე ხანს ამერიკელი სამხედროები იმის გადაწყვეტაზე ფიქრობდნენ, სჭირდებოდა თუ არა არმიას ასეთი საფრენი აპარატები.

ინტენსიურ გამოცდებში ახლო მომავალში მეორე პროტოტიპიც ჩაერთვება, ხოლო 2013 წლიდან. **X-47B**-ს გამოცდა უკვე ავიამზიდის გემბანზე გაგრძელდება. თუ პროექტს სერიული წარმოებისათვის „მწვანე შუქს" აუნთებენ, მაშინ მას შეიარაღებაში მიიღებენ 2018 წლისთვის.

ნაკლებშემჩნევადობის ტექნოლოგიებით შექმნილი ახალი უპილოტო საფრენი აპარატი აჭღურვილია ჰაერში საწვავის გაწყობის სისტემით, რადიოელექტრონული წინააღმდეგობისა და დაზვერვის სისტემებით, აქვს შეიარაღება. ამ უკანასკნელის სახით ის GBU-31 JDAM-ის ტიპის 905 კგ-იანი ორ მართვადი ბომბის წაღებას შეძლებს. „სტელსის" ტექნოლოგიების სპეციფიკიდან გამომდინარე შეიარაღება შიდა ნაკვეთურებში მოთავსდება.

მოდიფიკაცია — X-47B
სიგრძე — 11.63მ
ფრთის გაქანი — 18.92მ
სიმაღლე — 3.1მ
ცარიელის წონა — 6350კგ
მაქსიმალური ასაფრენი — 20215კგ
ძრავა — Pratt&Whitney F100-220U
კრეისერული სიჩქარე — 560კმ/სთ
მაქსიმალური სიჩქარე — >900კმ/სთ
ფრენის მანძილი — 3900კმ

მოსალოდნელია, რომ ახალი უპილოტო საბრძოლო დავალებებს 2-4 დღე უწყვეტ რეჟიმში შეასრულებს. საინტერესოა, რომ მისი გამოყენება სამხედრო-საზღვაო ფლოტის სხვა თვითმფრინავების ჰაერში საწვავით გაწყობისათვის, მფრინავი ტანკერის როლშიც შესაძლებელი იქნება.

მსგავს უპილოტო საფრენ აპარატზე აშშ-ში 2000 წლიდან მუშაობდნენ, მაგრამ 2006 წლისთვის ამ თემატიკაზე მუშაობა შეჩერდა. საქმე ის არის, რომ პროექტში მონაწილე აშშ-ის არმია შეიარაღებაში ნაკლებშემჩნევადობის ტექნოლოგიების საფუძველზე შექმნილი დამრტყმელი უპილოტოს მიღებას გეგმავდა, მაგრამ არმიასა და ფლოტს შორის კომპრომისი თვითმფრინავის საერთო კონცეფციის თაობაზე ვერ მოინახა.

Northrop Grumman-მა ახალი კონტრაქტი 2007 წელს მიიღო. მისი ახალი პროტოტიპი — **X-47B** არმიისათვის შექმნილი წინამორბედ **X-47A**-სგან დიდად განსხვავდებოდა. თუმცა ნავიგაციური აღჭურვილობა და შეიარაღების ნაკვეთურები მისგან „ისესხა".

პირველი წარმატებული ფრენის მიუხედავად, **X-47B** მაინც ტექნოლოგიების დემონსტრატორად რჩება და აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დაკვეთით სწორედ ამ ამპლუაში იქმნება. ეს კი ნიშნავს, რომ ფლოტის სარდლობა ჯერ კიდევ ფიქრობს, სჭირდება თუ არა მას ასეთი საფრენი აპარატი. თუმცა უკვე დღეს დანამდვილებით შეიძლება თქმა, რომ პერსპექტივაში აშშ საგემბანო უპილოტოების გამოყენებას აქტიურად აპირებს.

როგორი გადაწყვეტილებაც უნდა მიიღოს ამერიკის ფლოტის სარდლობამ, საგემბანო უპილოტო ავიაციის ბედი უკვე გადაწყვეტილია: მათი შეიარაღებაში მიღება არა მხოლოდ ფლოტის ხელმძღვანელობის, არამედ თავდაცვის სამინისტროს სურვილიც არის, რომელიც მომავალს უპილოტო ავიაციაში ხედავს. პენტაგონის გეგმის მიხედვით, უახლოესი 30 წლის განმავლობაში ქვეყნის შეიარაღებაში არსებულ უპილოტოთა რაოდენობა ოთხჯერ გაიზრდება და 26 ათასს მიაღწევს.

თემურ პულუზაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ავღანეთისთვის უკვე სამხედრო და საპოლიციო ინსტრუქტორებსაც ვამზადებთ

**გაზაფხულისთვის ავღანეთში ქართული სამხედრო კონტინგენტის კიდევ უფრო გაზრდაა დაგეგმილი, მაგრამ რამდენად უხიფათოა ქვეყნის გარეთ სახმელეთო ჯარების საბრძოლო დანაყოფების 5-10%-ის გაგზავნა, როდესაც რუსული სამხედრო აგრესიის განახლების საშიშროება ჯერ კიდევ არის?!**

მიუნხენის 47-ე უსაფრთხოების კონფერენციაზე საქართველოს პრეზიდენტი გამოვიდა ახალი ინიციატივით, რომელიც ავღანეთში დამატებით საპოლიციო ინსტრუქტორებისა და არტილერისტების გაგზავნას გულისხმობს, რომლებმაც ყარზაის მთავრობის ადგილობრივი სამართალდამცავი და სამხედრო სტრუქტურების პირადი შემადგენლობა უნდა გაწვრთნან.

ერთი მხრივ, მისასალმებელია, რომ სხვა ქვეყანაში ინსტრუქტორებს გზავნი, რადგან ეს შენი სამხედროებისა თუ პოლიციელების პროფესიონალიზმზე მეტყველებს, ანუ შენი სპეციალისტები ცოდნას გადასცემენ, რაც დღეს მსოფლიოში ძალზე ფასობს.

ამასთან, ინსტრუქტორების რიცხოვნობა დიდი ვერ იქნება და შესაბამისად, არც დიდი პრობლემები იქნება მათი გამგზავრებისას. სიმართლე ითქვას, აქამდეც ბატალიონისა და ცალკეული ასეულის მაგივრად ავღანეთში ISAF-ის ოპერაციაში მხოლოდ სამხედრო ინსტრუქტორებით რომ ვყოფილიყავით წარმოდგენილი, შეიძლება ბევრად უკეთესიც ყოფილიყო და არც საბრძოლო დანაკარგი გვექნებოდა.

თუმცა არ ქრება ეჭვი, რომ ინსტრუქტორების გარდა წელს ხელისუფლება ქვეითთა დანაყოფებს დამატებით კიდევ გაგზავნის ავღანეთში. ამ ეჭვის საფუძველს თავად საქართველოს პრეზიდენტის განწყობა და საერთაშორისო პოლიტიკის კურსი იძლევა, — ხელისუფლება ავღანეთში ქართული სამხედრო კონტინგენტის რიცხვის მუდმივი ზრდით პოლიტიკურ ქულებს იწერს დასავლეთისა და პირველ რიგში, აშშ-ის წინაშე.

ხელისუფლებას ასეთივე პოლიტიკა ჰქონდა ერაყის საკითხშიც, როდესაც 2003 წლის ზაფხულში გაგზავნილი 80 ქართველი სამხედროს რაოდენობა 2004 წლის მაისში 300-მდე, 2005 წელს — 850-მდე, ხოლო 2007 წლის ივლისიდან 2000-მდე გაიზარდა.

თუ რა ნეგატიური როლი შეასრულა 2008 წლის 8 აგვისტოს დილას, რუსეთ-საქართველოს ომის დაწყებისას, პირველი ქვეითი ბრიგადის ორი ათასამდე მებრძოლის არყოფნამ საქართველოში, არაერთხელ დაგვიწერია და ამაზე აღარ შევჩერდებით.

დღეს ავღანეთში მყოფი ქართველი სამხედროების რაოდენობა საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების საბრძოლო დანაყოფების თითქმის 5%-ს აღწევს. შეიძლება მკითხველს საგანგაშოდ სულაც არ მოეჩვენოს ქართული მიწიდან ორი ათასი კმ-ის დაშორებით ამდენი მებრძოლის გაგზავნა, მაგრამ აუცილებლად გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსი:

ექვს თვეში ერთხელ ქართული კონტინგენტი როტაციას განიცდის და საქართველოდან ავღანეთში ათასამდე მებრძოლი იგზავნება. ჩანაცვლების პროცესის დროს დგება პერიოდი (რამდენიმე დღიდან ერთ-ორ კვირამდე), როდესაც ქართული არმიის თითქმის ორი ათასამდე მებრძოლი ვერ დაიცავს ქართულ მიწას — მათი ნაწილი ჯერ კიდევ არ დაბრუნებულა ავღანეთიდან, ხოლო დაბრუნებულებს აუცილებლად სჭირდებათ დასვენება და აკლიმატიზაცია, სხვა თუ არაფერი, ისინი ექვსი თვის განმავლობაში ავღანეთში ანტიპარტიზანულ ომში მონაწილეობდნენ.

თუკი მოსკოვმა ისარგებლა ასეთი მომენტით, როდესაც როტაციის პერიოდში სახმელეთო ჯარების თითქმის 10% არ არის საქართველოში ან დასვენებას საჭიროებს, შეიძლება აღმოვჩნდეთ 2008 წლის აგვისტოს მდგომარეობაში, როდესაც მებრძოლების ნაკლებობას განვიცდიდით, ხოლო ორი ათასი ქართველი ერაყში მშვიდობას ამყარებდა.

***ირაკლი ალადაშვილი***


ქართველი სამხედრო ავღანელ ბიჭს ტკბილეულით უმასპინძლდება

# ტრაგედია ეჭვიანობის ნიადაგზე — პოლკოვნიკმა პისტოლეტით კაპრალი მოკლა




**„არსენალის“ რედაქციისთვის განსაკუთრებით მტკივნეულია კაპრალ ქეთი კახნიაშვილის ტრაგიკული დაღუპვა, რადგან 2008 წლის 11 იანვრის „არსენალის“ ნომერში გამოქვეყნებული სტატიის „სუსტ სქესს კამუფლაჟი უხდება...“, ერთ-ერთი ფოტოგმირი სწორედ ქეთი კახნიაშვილი გახლდათ (მისი სურათი წითელი ისრითაა მითითებული), რომელიც კრწანისის სასწავლო ცენტრში ქართული არმიის სხვა მანდილოსნებთან ერთად ერაყში გამგზავრების წინ სპეციალურ საბრძოლო მომზადებას გადიოდა. „არსენალის“ რედაქცია მწუხარებას გამოთქვამს მომხდარის გამო და თანაუგრძნობს დაღუპულის ოჯახს**

ქართული არმიის პოლკოვნიკმა ჯონი ქოჩქიანმა 29 წლის კაპრალი ქეთი კახნიაშვილი მოკლა და თვითმკვლელობაც სცადა. ქოჩქიანი კახნიაშვილის სახლში ნასვამი მივიდა და ცოლად გაყოლა სთხოვა, უარის მიღების შემდეგ გოგონას ცეცხლსასროლი იარაღით კისრის არესა და ზურგში ჭრილობა მიაყენა. კაპრალი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. ამის შემდეგ ქოჩქიანმა თავის მოკვლა სცადა, თუმცა უშედეგოდ. ის საპატრულო პოლიციაში თავად მივიდა და დანაშაული აღიარა. მძიმედ დაჭრილი ქოჩქიანი გორის საავადმყოფოში გადაიყვანეს. როგორც ცნობილი გახდა, სახის არეში მიყენებული ჭრილობის გამო მან ცალი თვალი დაკარგა. ინციდენტის დროს სახლში იყო მოკლულის დეიდაშვილი, მაია კაკიაშვილიც, რომელსაც ქოჩქიანი ასევე მოკვლით ემუქრებოდა, მაგრამ გოგონამ გაქცევა მოახერხა. ნათესავის თქმით, კახნიაშვილი არ ელოდა, რომ მამაკაცი ესროდა და გაქცევაც ამიტომ არ უცდია.

კახნიაშვილი კოჯრის ბატალიონში მსახურობდა, ქოჩქიანი კი 51-ე ბატალიონის მეთაური იყო. როგორც მოკლულის ნათესავებთან საუბრისას გაირკვა, ჯონის ქეთი რომ უყვარდა და ცოლად გაყოლას სთხოვდა, გოგონას მეგობრებმა იცოდნენ, მაგრამ ამბის ასეთ ტრაგიკულად დასრულებას არ ელოდნენ. 10 თებერვალს ქეთი თავის დეიდაშვილთან, მაია კაკიაშვილთან ერთად გორში იყო (კახნიაშვილებს სახლი გორშიც აქვთ). საღამოს ნასვამმა ჯონი ქოჩქიანმა ქეთის მესიჯი მისწერა, მაგრამ გოგონამ არ უპასუხა. გაღიზიანებული ქოჩქიანი კახნიაშვილს შინ მიუვარდა, კარი წიხლის კვრით შეაღო და იარაღი ჰაერში გაისროლა. ქეთი მას დერეფანში შეეგება და შეეცადა, დაემშვიდებინა. ჯონი კიდევ უფრო გაღიზიანდა, როცა ოთახში კომპიუტერთან მჯდომი მაია კაკიაშვილი დაინახა და ქეთის დაემუქრა, — თუ ახლავე ცოლად არ გამომყვები, ჯერ შენს დეიდაშვილს მოვკლავ, მერე შენ და თავსაც მოვიკლავო. მაიას შეეშინდა და სამზარეულოში გავიდა. ამასობაში ჯონიმ მისაღებ ოთახში იმ ადგილს ესროლა, სადაც რამდენიმე წუთის წინ მაია იჯდა, მაგრამ რომ ველარ დაინახა, თავადაც სამზარეულოში გავარდა. ამასობაში მაია უკანა კარიდან ეზოში გაიქცა და სარდაფში დაიმალა. ქოჩქიანიც მიჰყვა... თოვლზე დატოვებული ნაკვალევით მალე იპოვა და თმის თრევით კიბეზე აათრია, მაგრამ ოთახის კარი დაკეტილი დახვდა. ქეთის რომ დაუნახავს, გარეთ გასული ჯონი, რაკი მაია შინ ეგულებოდა, ოთახის კარი ჩაუკეტავს. ქოჩქიანმა კარი წიხლის კვრით შეანგრია, მაია ოთახში მოისროლა და ისევ ქეთის მივარდა. ამასობაში მაია წამოხტა, სასტუმრო ოთახში შევარდა და ფანჯრიდან გადახტა. ჯონიმ ქეთის ორი ტყვია ესროლა: ერთი ყელის არეში მოხვდა, მეორე — ზურგში, შემდეგ კი ისევ მაიას დაედევნა. ფანჯრიდან გადამხტარი გოგონა ჯერ ჭიშკრისკენ გაიქცა, მაგრამ მიხვდა, რომ ქუჩაში მკვლელისთვის უფრო კარგი სამიზნე იქნებოდა, ეზოს კარი ღია დატოვა და ისევ სარდაფში დაიმალა. ჯონიმ გოგონა ერთხანს ეძება, შემდეგ ხუთჯერ ჰაერში გაისროლა, მეექვსე კი ნიკაპში თავად ისროლა. 20 წუთის განმავლობაში თოვლში პირაღმა, უგონოდ ეგდო. მაიამ დაინახა, როგორ დაეცა ქოჩქიანი, მაგრამ იფიქრა, ჩემი მიტყუება უნდა, თავს იმკვდარუნებსო და სარდაფიდან არ გამოვიდა. 20 წუთის შემდეგ ეზოს რომ გახედა, ქოჩქიანი აღარსად ჩანდა. მაია სარდაფიდან გამოვიდა და მეზობელთან შევარდა. მეზობლებმა შეშინებული გოგონა დაამშვიდეს და ქეთის მოსაკითხად გაემართნენ. ქეთი მძიმედ დაჭრილი იპოვეს, სასწრაფო დახმარებაც გამოიძახეს, მაგრამ გოგონა საავადმყოფოში მისვლამდე გარდაიცვალა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ქოჩქიანი 20 წუთის შემდეგ გონზე თავად მოსულა, ქუჩაში გასულა, პატრული გაუჩერებია და უთქვამს, ადამიანი შემომაკვდა და თავადაც დაჭრილი ვარო. პოლიციამ ქოჩქიანი გორის სამხედრო ჰოსპიტალში გადაიყვანა. მისი მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება, მაგრამ როგორც კულუარებში ამბობენ, ის ჯერ კიდევ კომაშია, სახე კი სასტიკად აქვს დასახიჩრებული.

**ხათუნა ბახტურიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა




**საქართველოში აშშ-ის ანტისარაკეტო სისტემის კომპონენტის — ფაზირებულანტენიანი რადარის განთავსებას ხელს არა ტექნიკური, არამედ პოლიტიკური მიზეზები შეუშლის**

# კახეთიდან ამერიკული ანტისარაკეტო რადარი მთელ ირანს გააკონტროლებდა

ამერიკელი რესპუბლიკელი სენატორების ინიციატივა — თურქეთის ნაცვლად საქართველოში ამერიკული ანტისარაკეტო რადარის განთავსების შესახებ ძალზე საინტერესოა, მაგრამ ამ ეტაპზე განუხორციელებელი იდეაა.

საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, კახეთში, გომბორის უღელტეხილზე, მთა ცივზე (ზღვის დონიდან 1991 მ) ამერიკული ფაზირებულანტენიანი რადარ AN/TPY-2-ის დაყენების შემთხვევაში ამერიკული ანტისარაკეტო თავდაცვის სისტემა გააკონტროლებდა თითქმის მთელი ირანის საჰაერო სივრცეს. რადარი 1900-2000 კმ სიშორეზე მოქმედებს — გომბორიდან პირდაპირი ხაზით თეირანამდე მხოლოდ 860 კმ-მდეა, ხოლო ირანის სამხრეთ საზღვრამდე (ომანის ყურემდე) კი 1900 კმ-მდე.

თურქეთი უშუალოდ ესაზღვრება ირანს და ოპერატიული თვალსაზრისით პენტაგონისთვის უფრო მომგებიანია თავისი ანტისარაკეტო რადარის თურქეთში განთავსება, მაგრამ ანკარამ კატეგორიულად მოსთხოვა თეთრ სახლს, რომ ამ რადარის მიერ მოპოვებული ინფორმაცია არ გადაეცეს ისრაელს.

არადა, ამერიკული და ისრაელის ანტისარაკეტო და საჰაერო თავდაცვის სისტემები მუდმივად ცვლიან ინფორმაციას, ამიტომაც ანკარის ამ მოთხოვნას პენტაგონი, სავარაუდოდ, არ გაითვალისწინებს.

რაც შეეხება ქართულ ვარიანტს, აქ წინა პლანზე პოლიტიკური მოტივი გამოდის. კრემლმა პოლიტიკური ზეწოლით ობამას ადმინისტრაცია დაიყოლია და პოლონეთში შეჩერდა ამერიკული ანტირაკეტების, ხოლო ჩეხეთში კი მძლავრი ანტისარაკეტო რადარის მშენებლობა. აქედან გამომდინარე, ძნელი წარმოსადგენია, რომ აშშ-ის დემოკრატი პრეზიდენტი, რომელსაც კრემლთან „გადატვირთვის“ პროგრამა აქვს წამოწყებული, საქართველოს გამო დაუპირისპირდეს რუსეთს და ჩვენთან ეს რადარი განათავსოს.

ყველაზე შესაძლებელი ვარიანტია მოწინავე ბაზირების მობილური, ფაზირებულანტენიანი ამერიკული AN/TPY-2-ის განთავსება აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, რაც კრემლს ნაკლებად გააღიზიანებს.

ჩვენთან ზოგს მიაჩნია, რომ ამერიკული ანტისარაკეტო რადარის ქართულ მიწაზე ამუშავების შემთხვევაში ავტომატურად გაკონტროლდება საქართველოს საჰაერო სივრცე და მაშინვე აღმოვაჩენთ რუსულ ბომბდამშენებსა თუ მოიერიშეებს.

სინამდვილეში ასე არ არის. ამერიკული ანტისარაკეტო რადარი AN/TPY-2 მხოლოდ განსაზღვრულ სექტორში ასხივებს, იგი არ ტრიალებს წრიულად, როგორც საჰაერო თავდაცვის ლოკატორების ანტენები. ამიტომაც, ვთქვათ, გომბორის უღელტეხილზე დაყენებული და ირანისკენ მიმართული ამერიკული რადარი გააკონტროლებს სომხეთის საჰაერო სივრცის დიდ ნაწილს და დროულად აღმოაჩენს ერევანთან მდებარე ერებუნის სამხედრო აეროდრომიდან აფრენილ რუსულ გამანადგურებლებს (ერებუნში 18 ცალი რუსული МиГ-29 ბაზირებს). მაგრამ ვერ გააკონტროლებს ჩვენთვის უფრო საშიში მიმართულებებს — ჩრდილოეთსა (ოკუპირებულ ცხინვალსა და ჩრდილო კავკასიას) და ჩრდილო-დასავლეთს (ოკუპირებულ აფხაზეთსა და გუდაუთის ბომბორის აეროდრომს).

რა თქმა უნდა, სურვილის შემთხვევაში რამდენიმე ათეულ წუთში შეიძლება ბორბლებიან მისადგმელზე დამონტაჟებული რადარის მოტრიალება ჩრდილოეთისკენ, მაგრამ ამას ამერიკული გენერლები, სავარაუდოდ, არც დათანხმდებიან (ეგ კი არა, ისიც საეჭვოა, გადასცემენ თუ არა ქართულ მხარეს ოპერატიულ ინფორმაციას, თუკი ეს ამერიკული რადარი ოდესმე მართლაც განთავსდა ჩვენს ტერიტორიაზე).

ამიტომაც, სანამ აშშ-ის პრეზიდენტი დემოკრატი ობამაა, ძნელი წარმოსადგენია ამერიკული რადარის საქართველოში განთავსება, თუმცა თეთრ სახლში რესპუბლიკელი პრეზიდენტის მოსვლის შემთხვევაში ამის შანსი მნიშვნელოვნად გაიზრდება. ერთი რამეც უნდა გავითვალისწინოთ: ამერიკული რადარის ქართულ მიწაზე დადგმისთანავე ის რუსული „ტაჩკების“, „ისკანდერებისა“ და ბომბდამშენების სამიზნე აღმოჩნდება.

**ირაკლი ალადაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ნოვოროსიისკი“ შავი ზღვისკენ მოემართება

შავი ზღვის ფლოტის დაძველებული სახომალდო შემადგენლობის გაახლება უკვე კონკრეტულ სახეს იღებს და ამის ერთ-ერთი მაგალითი 2010 წლის 20 აგვისტოა, როცა სანქტ-პეტერბურგში საადმირალოს ვერფზე საზეიმო ვითარებაში წყალქვეშა ნავის „ნოვოროსიისკის“ მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი.

ხომალდი სწრაფი ტემპით შენდება. უკვე დაწყებულია სექციების აწყობა-მონტაჟი. შავი ზღვის ფლოტისათვის „ნოვოროსიისკის“ გადაცემა 2013 წელს არის დაგეგმილი.

დაგეგმილია დამატებით 2 წყალქვეშა ნავის აგება და 2014 წლისათვის მწყობრში შეყვანა, თუმცა მშენებლობის დაწყების თაობაზე ინფორმაცია არ ვრცელდება და შესაძლებელია, ორივე ისევ „საადმირალოს ვერფზე“ ერთდროულად ააგონ.

მომავალში, 2015-17 წლებისთვის, კიდევ 3 სუბმარინის აგების საკითხი განიხილება.

მესამე თაობის დიზელ-ელექტრული წყალქვეშა ნავი „ნოვოროსიისკი“ პროექტი 636-ით იგება, რომელიც ცნობილი პროექტის — 877/877ЭКМ „ვარშავიანკას“ მოდიფიკაციის საფუძველზეა შექმნილი.

„ვარშავიანკა“ საკმაოდ საიმედო და კარგი პროექტი გამოდგა. მისი სერიული მშენებლობა 1980 წელს დაიწყო და ამჟამად ამ პროექტის მრავალი სუბმარინა სამსახურს განაგრძობს ირანის, ინდოეთის, ალჟირის, ჩინეთის, პოლონეთის, რუმინეთისა და რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტებში.

პროექტი 636 ჩინეთის მოთხოვნების გათვალისწინებით არის შექმნილი და შავ ზღვაში ექსპლუატაციის თავისებურებებმა მასში დამატებითი ცვლილებების შეტანა მოითხოვა.

წყალქვეშა ნავის დანიშნულება მოწინააღმდეგის წყალზედა-წყალქვეშა ხომალდებთან ბრძოლა, სამხედრო-საზღვაო ბაზების, სანაპირო ობიექტებისა და საზღვაო ხაზების დაცვა, სადაზვერვო და საპატრულო ამოცანების შესრულებაა.

„ნოვოროსიისკის“ წყალქვეშა წყალწყვა 4 ათას ტონამდე იქნება, ხოლო ჩაყვინთვის სამუშაო სიღრმე 240 მეტრს მიაღწევს.

შეიარაღებაში 18 ტორპედო ან 24 ნაღმი შედის. შესაძლებელია ტორპედოების ნაწილობრივ ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტებით შეცვლა.



„ვარშავიანკას“ ტიპის დიზელ-ელექტრული წყალქვეშა ნავი

„ვარშავიანკას“ ერთ-ერთ მთავარ ღირსებად წყალქვეშ ცურვისას დაბალი ხმაური ითვლება და ამის გამო მისი აღმოჩენა ზღვაში საკმაოდ გართულებულია.

როგორც ჩანს, შავი ზღვის ფლოტში კარგა ხნის წინ დაწყებული წყალქვეშა ნავების დეფიციტი დასრულებისკენ მიდის, თორემ ერთადერთ და არასაიმედო Б-871 „ალროსას“ იმედად დარჩენილ ფლოტს ვირტუალურ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში წყალქვეშა სივრცე გამოუყენებელი რჩებოდა.

ბოლო გასვლა „ალროსამ“ მაშველი გემის თანხლებით 2009 წლის ნოემბერში ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით შეასრულა და 21 ნოემბერს სოხუმიდან 150 კმ-ში ავარია შეემთხვა, რომლის გამოც კინაღამ ზღვის ფსკერზე 52 მეზღვაურთან ერთად დარჩა.

დაზიანებული სუბმარინა მაშველმა გემებმა ნოვოროსიისკში გადაიყვანეს და რემონტის დასრულების შემდეგ 2010 წლის 31 ივლისს „ალროსა“ სევასტოპოლს დაუბრუნდა.

ახლა „ალროსას“ შეიძლება ბევრად რთული გამოცდის ჩაბარებამ მოუწიოს: რუსეთი მიწვეულია საერთაშორისო საძიებო-სამაშველო სწავლება Bold Monarch 2011-ში, რომელიც 1-9 ივნისს ესპანეთის სანაპიროსთან ჩატარდება.

სწავლებაში წარმოდგენილი იქნება საფრანგეთის, გერმანიის, საბერძნეთის, ისრაელის, იტალიის, ნიდერლანდების, კანადის, ნორვეგიის, პოლონეთის, პორტუგალიის, რუსეთის, თურქეთის, უკრაინის, დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ების ხომალდები, სამაშველო გემები სპეციალური ტექნიკით, სპეციალიზებული საფრენი შვეულმფრენები და თვითმფრინავები.

სხვადასხვა სიტუაციაში წყალქვეშა ნავისა და ეკიპაჟის გადასარჩენი ამოცანების შესასრულებლად ესპანეთის, იტალიის, ნიდერლანდებისა და საფრანგეთის წყალქვეშა ნავები ფსკერზე მონაცვლეობით „დაწვებიან“.

გამორიცხული არ არის სწავლებებში შავი ზღვის ფლოტიდან „ალროსას“ მონაწილეობა.

*P.S. თურქეთის საზღვაო საქმეთა სამდივნოზე დაყრდნობით გავრცელდა ინფორმაცია, რომ 4 თებერვალს ქალაქ ზონგულდაკის მახლობლად თურქეთის სანაპირო დაცვის კატარღა TCSG-301-ზე ხანძარი გაჩნდა. ცეცხლის ჩაქრობა მეორე კატარღის TCSG-128-ის დახმარებით მოხერხდა. უცნობია ხანძრის გამომწვევი მიზეზი და შედეგები.*

*TCSG-301 აგებულია სტამბოლში, Yonca Onuk-ის ვერფზე და Kaan 33-ის ტიპს მიეკუთვნება. თურქეთის სანაპირო დაცვის შემადგენლობაში 13 ასეთი კატარღა შედის და კიდევ 9 შეკვეთილია.*

*Kaan 33-ის ტიპის ერთი კატარღა P-24 „სოხუმი“ საქართველოს სანაპირო დაცვის განკარგულებაშია და მსგავსი შემთხვევის თავიდან ასაცილებლად ქართული მხარე თურქეთიდან, ალბათ, სათანადო ინფორმაციას მიიღებს.*

**თემურ ჩაჩანიძე**

# კავკასიური მოვლენების მიმოხილვა...



აზერბაიჯანის არმია მალე ჯავშანტრანსპორტიორ „მატადორებს“ მიიღებს

## აზერბაიჯანი

● მიმდინარე წლის შუაში დასრულდება ქვეყნის საზღვაო უსაფრთხოების სტრატეგიის მომზადება. კონცეპტუალური მნიშვნელობის დოკუმენტი განსაზღვრავს აზერბაიჯანის ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სამხედრო ინტერესების დაცვას კასპიის ზღვაში. მასში აისახება საზღვაო საზღვრების დაცვა, სამხედრო-საზღვაო ძალების განვითარების პრიორიტეტები და სხვ. სტრატეგიის მომზადებაზე მუშაობა NATO-ს ქვეყნების სპეციალისტთა დახმარებითა და ალიანსის რეკომენდაციათა გათვალისწინებით მიმდინარეობს.

● თურქულმა კომპანია Havelsan-მა დაასრულა აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს შეკვეთილი სასწავლო საარტილერიო სიმულატორის მომზადება. ანალოგიური სისტემა საქართველოს არმიისათვისაც დამზადდა. სისტემას თურქეთის არმია არტილერისტთა მოსამზადებლად 2001 წლიდან, ხოლო პაკისტანის არმია კი 2008 წლიდან იყენებს.

● თავდაცვითი მრეწველობის სამინისტრო აბუ-დაბიში 20-24 თებერვალს საერთაშორისო გამოფენა IDEX-2011-ში მიიღებს მონაწილეობას და წარადგენს ავიაციის მხარდასაჭერ სისტემებს, ინფორმაციის გადამწოდებს, ნაღმების აღმომჩენ და გამნაღმველ საშუალებებს, სახმელეთო რადარებს, ფეთქებად ნივთიერებებს, საარტილერიო, ნაღმსატყორცნ და სასროლი იარაღის საბრძოლო მასალებს და სხვ.

● წელს დაიწყება უნივერსალური დანიშნულების 120 მმ-იანი ნაღმსატყორცნების წარმოება, რომელიც ნაღმებთან ერთად ჭურვებითაც სროლას შეძლებს. გამოცდის დასრულება მიმდინარე წლის პირველ ნახევარშია დაგეგმილი და ამის შემდეგ ნაღმსატყორცნი დასამზადებლად წარმოებას გადაეცემა. გასული წლის მარტიდან აზერბაიჯანი სერიულად 82 მმ-იან ნაღმსატყორცნ M-5 Asirim-ის ამზადებს.

● 3 თებერვალს ქურდამირის რაიონში ადგილობრივი დროით 17 საათზე სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავი Су-25 ჩამოვარდა. ეკიპაჟმა პოლკოვნიკ-ლეიტენანტმა ზაურ იუსუფლიმ და კაპიტანმა ჰაიამ შუკიუროვმა დროულად მოასწრეს კატაპულტირება და თავს კარგად გრძნობენ. სავარაუდოდ, შემთხვევის მიზეზი შასის გაუმართაობა იყო. 2010 წლის მარტში ერთი Су-25 აზერბაიჯანის ავიაციამ უკვე დაკარგა და მაშინ პილოტი დაიღუპა.

● იანვარში სომხეთის შეიარაღებულმა ძალებმა ყარაბაღის ფრონტსა და აზერბაიჯან-სომხეთის სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი 24-ჯერ დაარღვიეს, რასაც 2 აზერბაიჯანელი სამხედროს სიცოცხლე შეეწირა.

● 29 იანვარს 3 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანის საჰაერო ძალების МиГ-29 სანაპიროდან 6 კმ-ის დაშორებით ზღვაში ჩამოვარდა. დაიღუპნენ მფრინავები ფაჰრედინ ასკეროვი და აფგან ასლანოვი. თვითმფრინავის ნამსხვრევები და ასკეროვის ნაშთები ზღვის ფსკერზე ერთი თვის შემდეგ მოიძებნა, ხოლო ასლანოვი დღემდე უკვალოდ დაკარგულია.

● ჩეხეთი მონაწილეობას მიიღებს სამხედრო-საჰაერო ძალების L-29 და L-39 ტიპის თვითმფრინავების მოდერნიზაციაში. აგრეთვე გათვალისწინებულია თვითმფრინავებისათვის საჭირო ზოგიერთი დეტალის აზერბაიჯანში დამზადება.

● წელს არმია Paramount Group-ის ლიცენზიით დამზადებულ 30 ჯავშანავტომობილ Maraude-სა და Matador-ს მიიღებს.

## სომხეთი

● 4 თებერვალს პარლამენტის თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და შინაგან საქმეთა საპარლამენტო მუდმივი კომისიის თავმჯდომარე გრაირ კარაპეტიანი სამხედრო ომბუდსმენის ინსტიტუტის ჩამოყალიბების წინადადებით გამოვიდა. მისი აზრით, სამხედრო ომბუდსმენს საშუალება ექნება სიტუაცია ყველა სამხედრო ნაწილში გააკონტროლოს, ხოლო მისი წარმომადგენლები მონაწილეობას მიიღებენ სადისციპლინო კომისიებში, რომელთა შექმნა ყველა სამხედრო ნაწილშია დაგეგმილი.

● გრაირ კარაპეტიანის თქმით, სომხეთი ისრაელის არმიის გამოცდილების შესწავლას აპირებს. საკითხი ქალების არმიაში გაწვევას არ შეეხება და დაკავშირებულია სამხედრო სამსახურში გაწვევის პროცესში გამოყენებულ ინდივიდუალურ მიდგომებთან, კარგ ორგანიზებულობასა და კორუფციული რისკების გამორიცხვასთან. ამ საკითხით დაკავებულია სპეციალურად შექმნილი მუშა ჯგუფი, რომელიც გაწვევაზე სხვა ქვეყნების გამოცდილებას სწავლობს და თავის წინადადებებს წარმოადგენს.

● სომხეთის მთავარმა სამხედრო ინსპექტორმა, გენერალ-პოლკოვნიკმა მიქაელ არუთინიანმა სომხეთის შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის უფროსის თანამდებობაზე შესაძლო დანიშვნის ინფორმაცია არ დაადასტურა. ასევე კატეგორიულად უარყო ინფორმაცია, რომ მთავარი შტაბის უფროსის ადგილზე დანიშვნის შემთხვევაში თითქოს მას ორი მოთხოვნა ექნებოდა: პირველი — ახლანდელი შტაბის უფროსი გენერალ-პოლკოვნიკი იური ხაჩატუროვი არმიაში არანაირ თანამდებობას აღარ დაიკავებდა და მეორე — მის საკადრო პოლიტიკაში ჩარევის უფლება არავის არ ექნებოდა.



გრაირ კარაპეტიანი ისრაელის გამოცდილების გადმოღებაზე ალაპარაკდა

## კონფლიქტური რეგიონები

### ოკუპირებული აფხაზეთი

● აფხაზეთის სეპარატისტულმა ხელისუფლებმა რუსული საკონსტრუქტორო ბიურო „ინტერავიას“ ორი მსუბუქი თვითმფრინავი И-1 და И-3 შეიძინა. გენერალური კონსტრუქტორის ვლადიმირ მირიანიას თქმით, მომავალში თვითმფრინავების აწყობა შეიძლება აფხაზეთშიც დაიწყოს, ხოლო სოხუმის აეროპორტის გენერალური დირექტორის ვიაჩესლავ ეშბას განცხადებით, მიმდინარე წელს სოხუმი-მოსკოვის საჰაერო რეისი უნდა გაიხსნას.

### ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი

● 31 იანვარს დაიწყო და 5 დღეს გაგრძელდა საოკუპაციო ჯარების მე-4 ბაზისა და სასაზღვრო ქვედანაყოფების, აგრეთვე ცხინვალის შეიარაღებულ ფორმირებათა ერთობლივი წვრთნები. 1-ელ თებერვალს კი მე-4 ბაზამ საქართველოს რეგიონის ოკუპაციის მეორე წლისთავი საზეიმოდ აღნიშნა.

### თვითალიარებული ყარაბაღი

● 6 თებერვალს ყარაბაღის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში დისლოცირებულ ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში საწესდებო ურთიერთობათა დარღვევის მიზეზით ჯარისკაცი გევორქ კოტინიანი დაიღუპა.

● „ახალ ომს ყარაბაღში შეიძლება გამანადგურებელი შედეგი ჰქონდეს“, — ასეთია კრიზისების თავიდან აცილების საერთაშორისო ჯგუფის (International Crisis Group - ICG) ანგარიშის ერთ-ერთი დასკვნა. ანგარიშში ნათქვამია, რომ ორივე მხარის სამხედრო შესაძლებლობათა ზრდის გამო ახალ კონფლიქტს ბევრად კატასტროფული შედეგი მოჰყვება, ვიდრე 1992-94 წლებში იყო. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ორივე მხარე დაუყოვნებლივ ტოტალური შეტევების დაწყებას არ გეგმავს, წვრილ-წვრილი შეტაკებები შეიძლება კონტროლიდან გამოვიდეს და საშიში ხასიათი მიიღოს. ასევე აღნიშნულია, რომ ბოლო 12 თვეში ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი ბევრად მეტ ტერიტორიაზე დაირღვა, გამოყენებული იარაღის რაოდენობამაც მოიმატა და მოქმედების ტაქტიკაც გართულდა. ამის გამო 2010 წელს არანაკლებ 25 სამხედრო დაიღუპა, ხოლო 2011 წელს უკვე 3 სამხედროა მოკლული.

რუსული მსუბუქი თვითმფრინავი И-3









# არჩევანი: ავტომატი ან თოხი

საქართველოს კანონმდებლობით, საქართველოს ყოველ ქმედუნარიანი მამრობითი სქესის მოქალაქეს 18-დან 27 წლამდე, რომელიც სამხედრო სავალდებულო სამსახურზე უარს ამბობს სინდისის, რწმენის ან აღმსარებლობის გამო, უფლება აქვს და შეუძლია არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახური გაიაროს.

მართალია, საქართველოს კანონი არასამხედრო ალტერნატიული სამსახურის შესახებ ძალაში 1997 წელს შევიდა, მაგრამ თავად კანონის ამოქმედებასა და შესაბამისი სამსახურის ჩამოყალიბებასაც გარკვეული დრო დასჭირდა.

2007 წლიდან მოყოლებული არასამხედრო, ალტერნატიულ სამსახურში გაწვევის ფუნქციები ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტს დაევალა.

როგორც ვეტერანთა დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი იოსებ ბარნაბიშვილი აცხადებს, არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახური სხვადასხვა აღმსარებლობისა და აზროვნების ადამიანებს აერთიანებს. ისინი ძირითადად, პაციფისტები და ის ახალგაზრდები არიან, რომლებსაც სარწმუნოება იარაღის ხელში აღებას უკრძალავს.

ასეთი წვევამდელები დაკავებულნი არიან ისტორიულ-კულტურული ძეგლების აღდგენით სამუშაოებზე, ეხმარებიან ინვალიდებსა და უმწეოდ დარჩენილ პირებს, მუშაობენ სამაშველო სამსახურებსა და სამედიცინო დაწესებულებებში. რაც მთავარია, ამ ფორმით


იოსებ ბარნაბიშვილი — ვეტერანთა დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

ისინი პროფესიებსაც ეუფლებიან და გამოცდილებასაც იძენენ.

ალტერნატიული სამსახურის მოსურნეთა რაოდენობა ბოლო წლების გაწვევათა სტატისტიკით შემდეგნაირად გამოიყურება:

2008 წელი — საგაზაფხულო გაწვევა — 85 წვევამდელი; საშემოდგომო გაწვევა — 228 წვევამდელი;

2009 წელი — საგაზაფხულო გაწვევა — 216 წვევამდელი; საშემოდგომო გაწვევა — 142 წვევამდელი;

2010 წელი — საგაზაფხულო გაწვევა — 135 წვევამდელი; საშემოდგომო გაწვევა — 228 წვევამდელი;

საქართველოს შეიარაღებული ძალების დიდი ნაწილის საკონტრაქტო სამსახურზე გადასვლისა და გასაწვევი კონტინგენტის რესურსის აუთვისებლობის გამო, ალტერნატიული სამსახური სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის პროცესზე გავლენას არ ახდენს.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ამ ახალგაზრდების საზოგადოებისთვის საჭირო საქმიანობაში ჩაბმით ისინი ჩვენი ქვეყნისათვის სასარგებლო ადამიანებად ყალიბდებიან.

2010 წლის საშემოდგომო გაწვევიდან დასაქმების მიხედვით ყველაზე დიდი წილი — 65% ეკლესია-მონასტრე-

გერმანია პირველი ქვეყანაა, სადაც სამხედრო სამსახურზე უარის თქმის უპირობო კონსტიტუციური უფლების ნაცვლად 1961 წლიდან არასამხედრო ალტერნატიული სამსახური ამოქმედდა.

1975 წლიდან ანალოგიური სამსახური ავსტრიაშიც შეიქმნა, ხოლო ვარშავის ბლოკის დაშლის შემდეგ სოციალისტური ბანაკის ქვეყნებშიც დაკანონდა.

ალტერნატიული სამსახური ორიენტირებულია ისეთ სამუშაოებზე, რომელიც საზოგადოებას სარგებელს მოუტანს. კერძოდ, ავსტრიაში წვევამდელები ალტერნატიულ სამსახურს გადიან საავადმყოფოებში, სოციალურ და სამაშველო სამსახურებში. დაკავებულნი არიან ასევე წითელი ჯვრისა და ნახევარმთვარის ორგანიზაციაში.

ავსტრიაში 100 წვევამდელიდან 40 ალტერნატიულ შრომით სამსახურში, ხოლო 60 სამხედრო სამსახურს ამჯობინებს.

გერმანიაში ალტერნატიულ სამსახურში მყოფნი გარემოს დაცვის სამუშაოებშიც მონაწილეობენ.




ბის აღდგენა-მშენებლობაზე მოდის. მას მოჰყვება სამაშველო სამსახური — 15%, უმწეო ინვალიდთა და მოხუცთა მოვლა-პატრონობა — 9% და ყველაზე მცირე 4%-ით ჯანმრთელობის დაცვის სფეროა განსაზღვრული.

რაც შეეხება მოტივს — ეკლესია-მონასტრების მშენებლობაზე დაკავებული წვევამდელები მოტივად აღმსარებლობას ასახელებენ და მათი რაოდენობა 65%-ს შეადგენს. წვევამდელთა 31%-ისთვის მოტივაცია „სინდისია", ყველაზე მცირე, 4%-მა კი არასამხედრო ალტერნატიული სამსახური რელიგიური რწმენის გამო აირჩია.

**იოსებ ბარნაბიშვილი:** „ეკლესია-მონასტრების მშენებლობა-აღდგენაზე მომუშავე ზოგიერთმა წვევამდელმა სამსახურის დამთავრების შემდეგ იქვე დარჩენა ამჯობინა და ბერადაც აღიკვეცა.

ზოგიც პირიქით — ალტერნატიული არასამხედრო სამსახურის მოხდის შემდეგ სამხედრო სამსახურში წავიდა და ავღანეთსა და ერაყშიც იყვნენ.

ჩვენი მთავარი პრობლემები დამსაქმებელ კომპანიებთან არის დაკავშირებული. დასუფთავების, გამწვანებისა და განათების სამსახურს იაფ მუშახელს ვთავაზობთ, მაგრამ აქამდე დადებით შედეგს ვერ მივაღწიეთ, როგორც ჩანს, მათ ჯერ კიდევ არა აქვთ კარგად გააზრებული ამ სამსახურის მნიშვნელობა და როლი.

საქართველოში წვევამდელთა დიდი რესურსია, რომლის გამოყენება პრაქტიკულად შეუძლებელია და სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლა შედარებით მცირე რაოდენობის კონტინგენტს უწევს. ამიტომ არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გამოყენების სფეროები გაფართოებას საჭიროებს.

გასაწვევი კონტინგენტის მაქსიმალურად გამოყენებისათვის მარტო სოციალური და საზოგადოებრივი სამსახურები საკმარისი არ არის. ამ პოტენციალის მიმართვა შეიარაღებული ძალების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სამსახურშიც შეიძლება.

მით უფრო, რომ 2000 წლის 5 დეკემბერს ასეთი ცვლილება კანონშიც შევიდა და შეიარაღებული ძალების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სამშენებლო, სამეურნეო თუ სხვა არასაბრძოლო დანიშნულების ქვედანაყოფებში ალტერნატიულ სამსახურში მყოფ წვევამდელთა გამოყენების საშუალება გაჩნდა.

2000 წლიდან დასავლეთ საქართველოს ლოჯისტიკის უზრუნველყოფის ქუთაისის ბაზაში დამხმარე პერსონალის მოვალეობას ალტერნატიულ სამსახურში მყოფნი ასრულებდნენ, მაგრამ ოქრუაშვილის მინისტრობის დროს ეს კარგი პრაქტიკა გაუქმდა.

ამ კატეგორიის წვევამდელთა თანხმობისას მათი გამოყენება შეიძლება სამხედრო ტექნიკისა და აპარატურის სარემონტო სამუშაოებშიც, მაგრამ ასეთ შემთხვევებში წვევამდელთათვის მოსამზადებელი სპეციალური ტექნიკური კურსების ორგანიზება იქნება საჭირო.

ვფიქრობ, მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს არასამხედრო ალტერნატიული სამსახურის გაშუქებას, რაშიც განსაკუთრებული როლი მედიას აკისრია. ჩემი აზრით, მიზანშეწონილია სპეციალური ჟურნალის გამოშვებაც, რომელიც ამ სამსახურის მუშაობასა და მასთან დაკავშირებული საჭირბოროტო საკითხების დაძლევაზე იქნება ორიენტირებული.

არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის კიდევ ერთი და უმნიშვნელოვანესი დანიშნულება წვევამდელთა მორალურ-ფსიქოლოგიური აღზრდა და მათში მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებაა. ამასთან, ამ კონტინგენტის მიერ გაწეული სამუშაო სახელმწიფოსთვის საბიუჯეტო თანხების დაზოგვის კარგი საშუალებაა".

ალტერნატიული სამსახურმოვლილი ბევრი პირი თავისი მუშაობით კმაყოფილია. როგორც ამბობენ, მათ აქვთ იმის პირობები, რომ ქვეყანას ემსახურონ იმ ფორმით, რა ფორმითაც შეუძლიათ და იმავდროულად სინდისის თავისუფლება არ ეზღუდებათ.

ეს უკანასკნელი იმითაც არის სასარგებლო, რომ ადამიანებს შეუძლიათ ქვეყნის დაცვაში მიიღონ მონაწილეობა ისე, რომ საბრძოლო იარაღთან შეხება არ ჰქონდეთ.

ამ საკითხებზე ჩვენ ვესაუბრეთ სამხედრო ექსპერტს, ბატონ **ირაკლი სესიაშვილს**, რომელიც ამ სამსახურის მუშაობით კმაყოფილია, განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიაჩნია ერთი დეტალი: კერძოდ, სამხედრო-სარეზერვო და არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურებს ბუნებრივი კატასტროფების დროს სამაშველო ოპერაციებში ერთი და იგივე დანიშნულება ეკისრებათ. მისივე აზრით, ეს საკითხი დაზუსტებას მოითხოვს და მიაჩნია, რომ ბუნებრივ კატასტროფებსა თუ სხვა მსგავს შემთხვევებში უმჯობესი იქნება არასამხედრო ძალის გამოყენება.

**ქეთი ადეიშვილი**

# „საქართველოს ლეგიონის“ საზოგადოებრივი და სამხედრო მიზნები



„თუ სახელმწიფოს დისციპლინირებული მოსახლეობა არ ეყოლება, ვერც ერთი უწყება ვერ იმუშავებს“

## „ოფიცერთა ნაწილებისა და მძლავრი სამოქალაქო რეზერვის შერწყმა უნდა მოხდეს“

„სპა“ საუკუნეების წინანდელ საქართველოში სამხედრო-პატრიოტულ ალმანახს, ლეგიონს ან რაინდთა ჯარს ნიშნავდა. ძველ ქართულ სამხედრო წოდებებში გვხვდება სპასალარისა და ამირსპასალარის სტატუსებიც.

„საქართველოს ლეგიონს“ უდიდესი ისტორია აქვს. პირველად იგი 1817 წელს შეიქმნა. შემდეგ ლეგიონერები ყირიმის ომის (1853-1856 წ.წ.) დროს შეიკრიბნენ. XIX საუკუნეში, როცა კავკასიაში სამხედრო სიტუაცია მოითხოვდა, ლეგიონი პერიოდულად რუსეთის საიმპერიო ჯარის შემადგენლობაშიც შედიოდა. შემდეგ კი ისევ იშლებოდა... მისი მომდევნო აღდგენა პირველი მსოფლიო ომის დროს, 1915 წელს მოხდა. ლეგიონი მხოლოდ XX საუკუნეში, ქართული ემიგრაციისა და ბაგრატოვანთა სახლის მონაწილეობით იქცა სერიოზულ პატრიოტულ, ეროვნულ-განმათავისუფლებელ ორგანიზაცია-შენაერთად.

2002 წელს მსგავსი ტიპისა და პრინციპების, თანამედროვე პრობლემებზე ორიენტირებული ორგანიზაციის ჩამოყალიბების აუცილებლობა საქართველოში ისევ გაჩნდა და ენთუზიასტებიც შეიკრიბნენ. რამდენიმეწლიანი არსებობის შემდეგ, ლეგიონმა არსებობა შეწყვიტა, თუმცა არ დაშლილა. ორგანიზაციის აღდგენის ინიციატივით ლეგიონის პოლკოვნიკი თეიმურაზ თუმანიშვილი და ლეგიონის სამეფო გვარდიის მეთაური სიმონ კოპაძე გამოდიან და მის მნიშვნელობაზე გვესაუბრებიან.

ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ ᲗᲣᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ: — „სამხედრო პატრიოტული ალიანსის“ — „საქართველოს ლეგიონის“ მიზანია ახალგაზრდა თაობის აღზრდა-განათლება, სარწმუნოების განმტკიცება, ნიჰილისტური განწყობის დაძლევა საზოგადოებაში, ტრადიციების, კულტურული მემკვიდრეობისა და ძეგლების დაცვა-აღორძინება და სხვა.

**— ვინ არიან „საქართველოს ლეგიონის“ დამფუძნებლები?**

— ენთუზიასტთა ჯგუფი, რომელიც როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო პირებისაგან შედგებოდა და ძალოვანი უწყებების მთელ სპექტრს მოიცავდა. ჩვენ ვაწარმოებდით ბავშვთა სახლებისა და საშუალო სკოლების დირექტორებთან მოლაპარაკებას, რა თქმა უნდა, განათლების სამინისტროს ნებართვით, და ვარჩევდით მათ. სრულყოფილ ოჯახში გაზრდილ და ქუჩის სკოლაგავლილ ბავშვთა ინტეგრაცია ჩვენი პროგრამის დიდ პლუსად მიმაჩნია.

**— სახელმწიფო უწყებები, განსაკუთრებით – თავდაცვის სამინისტრო თუ თანამშრომლობდა თქვენს ორგანიზაციასთან?**

— დიახ, თუმცა ორგანიზაციის იურიდიული მისამართი დღემდე თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბია. ჩვენი სამხედრო სწავლა და შეკრებებიც კოჯრის სპეცბატალიონის ტერიტორიაზე იმართებოდა. თავდაცვის სამინისტრომ ჩვენთან თანამშრომლობა 2006 წელს, ირაკლი ოქრუაშვილის მინისტრობისას გაწყვიტა. ალბათ, იმ მიზეზით, რა მიზეზითაც კადეტთა ლიცეუმი დახურეს. სხვათა შორის, ლიცეუმის დახურვის შემდგომ კადეტთა ნაწილი ლეგიონში გადმოვიდა.

**— მაინცდამაინც ახლა რატომ გახდა ლეგიონის აღდგენის საკითხი აქტუალური?**

— 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა ცხადყო, რომ ლეგიონს საქმიანობა უნდა განეახლებინა და მას შემდეგ ვცდილობთ, ყველა შესაბამის უწყებას ხმა მივაწვდინოთ და მისი მნიშვნელობა ავუხსნათ.

**— რაც შეეხება კრიტერიუმს...**

— საქართველოში არსებობს მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა 50-ზე მეტი დაწესებულება. ყოველ მათგანში 40-60 ბავშვია. ეს ბავშვები სრულწლოვნების ასაკის მიღწევის შემდგომ საკუთარი თავის რეალიზაციას ვერ ახდენენ და გარემოება მათ ქუჩის, ე.წ. შავი სამყაროსკენ უბიძგებს. თავის დროზე, ჩვენ შევიმუშავეთ ორგანიზაციის მოდელი, გეგმა, რომელიც ამ ბავშვების სამხედრო და არა მხოლოდ სამხედრო სისტემით აღზრდას ითვალისწინებდა. მთელ მსოფლიოში ძალოვანი სტრუქტურების ძირითადი ბირთვი ამ კატეგორიის ახალგაზრდები არიან. სწორედ ეს იყო ჩადებული საქართველოს ლეგიონის იდეაშიც. ოფიცრები უნდა 10-12 წლიდან გაზარდო. ამისთვის კი უნდა იყვნენ სულიერად და მორალურად ჯანსაღი ადამიანები, რომლებსაც ძლიერი რწმენა და რაინდული მანერები ექნებათ. როცა ჯარისკაცი ბანკომატიდან ხელფასს ვერ აიღებს, იგი ნაწილიდან არ უნდა გაიქცეს, თავისი საქმე სისხლსა და ხორცში უნდა ჰქონდეს გამჯდარი. რეგულარული ჯარი ქვეყნისთვის დიდი ფუფუნებაა და ოფიცერთა ნაწილებისა და მძლავრი რეზერვის შერწყმა უნდა მოხდეს.

**— რას გულისხმობთ?**

— ქვეყნის მოსახლეობის მომზადება-მონაწილეობას ქვეყნის თავდაცვით სისტემაში, რაც ჩვენნაირი პატარა სახელმწიფოსთვის გამოსავალია. სახელმწიფოს დახმარებით ამ ორგანიზაციას ეს პრობლემა შეეძლო 15-20 წლის განმავლობაში მოეგვარებინა და დღესაც შეუძლია. ამიტომაც ვცდილობთ ეს პროგრამა განვახორციელოთ.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმონ კოპაძე: — ორგანიზაციის შექმნის მიზანი საზოგადოების სულიერი და ზნეობრივი იდეალები, ქრისტიანობის და რაინდობის პრინციპები და მორალი, ასევე წინაპართა ტრადიციების აღდგენა და შენარჩუნება იყო. „სპას“ წევრთა ინიციატივით, ყოველგვარი ფინანსური დახმარების გარეშე, სწავლებები ტარდებოდა სკოლებსა და ბავშვთა სახლებში. ტრენინგები მოიცავდა სხვადასხვა სპორტულ-გამაჯანსაღებელ და პატრიოტულ დისციპლინასა და საგანს.

ორგანიზაცია „სამხედრო პატრიოტულმა ალიანსმა“, ანუ „საქართველოს ლეგიონმა“, 8 წელი იარსება და ამ ხნის განმავლობაში არაერთი გასამხედროებული შეკრება-ლაშქრობა და ბანაკები მოაწყო. ამასთან, ისინი მონაწილეობდნენ წინაპართა მემკვიდრეობის დაცვასა და აღდგენაში; ჰუმანიტარული დახმარების შეგროვება-მიწოდებაში ევროპის სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით (Wspolnota Polska — პოლონეთის თავდაცვის სამინისტრო); საგანმანათლებლო და უსაფრთხოების პროგრამების შედგენა-განხორციელებაში; თავდაცვითი (მოხალისეთა და პროფესიონალთა მონაწილეობით) NATO-ს ქვეყნებში ორგანიზებული ტრენინგებისა და შეჯიბრებებში (ERNA-2008); პატრიოტული დღესასწაულების აღორძინება-მოწყობაში (საქართველოს იუნკერთა ხსოვნის დღე).

2004 წელს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მხარდაჭერით (შტაბის უფროსი გენერალი-მაიორი გივი იუკურიძე და შემდგომ კი შტაბის უფროსი ბრიგადის გენერალი ვახტანგ კაპანაძე) და საზღვრის დაცვის დეპარტამენტის დახმარებით (შტაბის უფროსი გენერალი კორნელი სალია), ჩატარდა საბანაკო-საბაზო რამდენიმეკვირიანი შეკრება-სწავლებები: გადარჩენის ხელოვნებაში, ორიენტირებაში, პირველი დახმარების კურსში, საერთო სკაუტინგში.

აგრეთვე, კოჯრის ბანაკში ჩატარდა ლეგიონერის სრული კურსი, რომლის დასრულების შემდეგაც ლეგიონერებმა NATO-ს ინსტრუქტორებისგან სერტიფიკატი მიიღეს და 12 ახალგაზრდა სამხედრო სკოლაში (კადეტთა კორპუსი) აიყვანეს. 6 მათგანი ქართული ჯარის ელიტურ ქვედანაყოფში ჩაირიცხა. მას შემდეგ, რაც სამხედრო სკოლამ შეწყვიტა ფუნქციონირება, კადეტები ინსტიტუციებსა და ჩვენს ორგანიზაციაში ახალგაზრდა ინსტრუქტორების სტატუსით დაბრუნდნენ.

არადა, ლეგიონმა საკმაოდ რთული გზა განვლო: გასულ წლებში დამყარდა საზოგადოებრივ-დიპლომატიური და პარტნიორული ურთიერთობა ისეთ ორგანიზაციებთან, როგორიც არის ბაგრატოვანთა სამეფო სახლი, ბაგრატოვანთა არწივისა და უფლის კვართის ორდენი, NATO-ს სამხედრო მისიები საქართველოში (საფრანგეთი, ესტონეთი, გერმანია, ამერიკის შეერთებული შტატები)...

**— როგორც ვხვდები, თქვენი ჩანაფიქრის შესასრულებლად ლეგიონთან სხვადასხვა სახელმწიფო უწყებამ უნდა ითანამშრომლოს.**

— დიახ, ამისთვის სახელმწიფოს კეთილი ნებაა საჭირო და თითქმის ყველა უწყებამ, თავდაცვის და შს, კულტურისა და განათლების, ასევე, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროებმა უნდა ითანამშრომლონ, უნდა ჩამოყალიბდეს შტაბი, რათა საზოგადოებაში ინფორმირებული და მომზადებული იყოს. ღმერთმა ყველანაირი უბედურებისგან დაგვიფაროს, მაგრამ ამ ორგანიზაციის მუშაობა, მაინცდამაინც ომზე არ არის გათვლილი. სტიქიური უბედურებების დროსაც საჭიროა საზოგადოება მზადყოფნაში იყოს.

**— რაც შეეხება ლეგიონის კონცეფციას...**



„ლეგიონერებმა NATO-ს ინსტრუქტორებისგან სერტიფიკატები მიიღეს“

თეიმურაზ თუმანიშვილი: — ჩვენი კონცეფცია რამდენიმეწლიანი მუშაობის გამოცდილებაზეა დამყარებული. გარდა ამისა, მჭიდრო კავშირი გვაქვს უცხოელ სპეციალისტებთან, რომლებიც ორგანიზაციის აღდგენის შემთხვევაში ჩვენთან თანამშრომლობას განაგრძობენ. სხვადასხვა სისტემასთან ერთად, ჩვენ შემუშავებული გვაქვს სამოქალაქო თავდაცვაც, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოების ფართომასშტაბიან დაცვით და თვითდაცვით სისტემას ომისა და სტიქიური უბედურებების დროს. ჩვენი კონცეფციის მიზანია საზოგადოების წევრთა, მოქალაქეთა ჯგუფური ჩართვა და უშუალო მონაწილეობა ფორსმაჟორულ სიტუაციაში. 1992-93, 2004, 2008 წლებში ქართველი საზოგადოების მოუმზადებლობის არაერთი მაგალითი გვიძევს წინ. როგორც წესი, ასეთი შემთხვევების მსხვერპლი ყველაზე დაუცველი და ფიზიკურად სუსტი ადამიანები — ქალები, ბავშვები და მოხუცები არიან. დასავლეთის ქვეყნებში სამოქალაქო თავდაცვას როგორც ხელისუფლება, ასევე საზოგადოება დიდ ყურადღებას უთმობს. იქნება საომარი მდგომარეობა თუ ბუნებრივი კატასტროფა, ვერც ერთი სახელმწიფო სტრუქტურა ვერ იმუშავებს, თუ დისციპლინირებული და სისტემურად შეკრული მოსახლეობა არ ეყოლება. ამისთვის ევროპისა და დასავლეთის ქვეყნებში სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზაციები არსებობენ. მაგალითად, ესტონეთის „კაიცელიტი“.

***ლალი პაპასკირი***



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ეგვიპტე რთული პროცესების მოლოდინში

## ეგვიპტის ყოფილმა პრეზიდენტმა ნასერმა წყალტუბოში იმკურნალა

11 თებერვლის გვიან საღამოს ასიათასობით მომიტინგემ პრეზიდენტის სასახლის იერიშით აღება დააპირა, რის შემდეგაც მუბარაქმა პრეზიდენტის პოსტი დატოვა. მან თავისი უფლებამოსილება ეგვიპტის არმიის უმაღლეს საბჭოს გადასცა, რომლის თავმჯდომარე თავდაცვის მინისტრი მუჰამედ ტანტავია.

ალ-ბარადეიმ მოუწოდა ეგვიპტის არმიას, ხელში აიღოს ძალაუფლება და იგი მუბარაქის „ტყუპს“ — ომარ სულეიმანს არ დაუტოვოს. ჩანს, ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი, რომელიც წლების განმავლობაში ატომური ენერგიის საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელი გახლდათ და ნობელის პრემიაც მიიღო, თავადაც უმიზნებს ეგვიპტის პრეზიდენტის სავარძელს.

ეგვიპტელმა სამხედროებმა უკვე დაიწყეს ბარიკადების დაშლა ქალაქების ქუჩებში. გენერალი ტანტავი მოსახლეობას შეჰპირდა, რომ სამხედროები ძალაუფლების უზურპაციას არ მოახდენენ და ქვეყანაში დემოკრატიული არჩევნები ჩატარდება. თუმცა აშშ-ისა და ისრაელის დაზვერვებს ეჭვი ეპარებათ 75 წლის გენერალ ტანტავის დემოკრატიულობაში, რომელიც ისრაელის წინააღმდეგ სამ ომში იბრძოდა და სავარაუდოდ რევანშის სურვილი დღესაც არ გაჰქრობია...

„არსენალის“ მკითხველს შევახსენებთ, რომ ეგვიპტეში არეულობა პრეზიდენტის გადადგომისა და პოლიტიკურ-ეკონომიკური რეფორმების გატარების მოთხოვნით 25 იანვარს დაიწყო. შეტაკებების დროს, სულ მცირე, 300 კაცი დაიღუპა, 5000-ზე მეტმა კი სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანება მიიღო.

ეგვიპტეში მიმდინარე დრამატულ პროცესებს ზოგი შიშით, ზოგი კი დიდი მოლოდინით აკვირდება. არაა გამორიცხული, რომ სახალხო დემონსტრაციების უკან რომელიმე ქვეყნის ან ისლამისტური დაჯგუფების სპეცსამსახურები იდგნენ.

ეს ქვეყანა გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამო ერთდროულად ორი, მსოფლიოს ყველაზე „ცხელი რეგიონის“: აზიისა და აფრიკის გასაყარზეა, ამიტომაც იყვნენ ეგვიპტე და მისი ხელისუფლება — უპირველესად პრეზიდენტები: გამალ აბდელ ნასერი, ანვარ სადათი და ჰოსნი მუბარაქი — მრავალი ქვეყნის სპეცსამსახურის ოპერატიულ-აგენტურული ოპერაციების მთავარი ობიექტი.

ისრაელის „მოსადი“, საბჭოთა კავშირის კა-გე-ბე და გე-ერ-უ, აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო, დიდი ბრიტანეთის საგარეო დაზვერვა (მი-6) და კიდევ რომელი ერთი ჩამოვთვალოთ, ყველა ცდილობდა ეგვიპტის პოლიტიკური და სამხედრო ელიტის გადაბირებას და ამ ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური კურსის შეცვლას. განსაკუთრებით საბჭოთა სპეცსამსახურები გამოირჩეოდნენ.

50-იანი წლების ბოლოს კა-გე-ბე ცდილობდა განხეთქილება ჩამოეგდო ეგვიპტე-ლიბანის ურთიერთობაში და ეგვიპტის ზოგიერთი გაზეთის საშუალებით ავრცელებდა ვითომდა ლიბანი-ისრაელის ფარული მეგობრობის დამადასტურებელ „დოკუმენტებს“.

ეგვიპტის ყველაზე ლეგენდარული პრეზიდენტი გამალ აბდელ ნასერი იმდენად იყო დაახლოებული კრემლთან, რომ სამკურნალოდაც საბჭოთა კავშირში, მათ შორის — საქართველოში, ჩამოდიოდა.

ეგვიპტის ქუჩებში ტანკები პატრულირებენ



## ეგვიპტის პრეზიდენტი საქართველოში

ეგვიპტის პრეზიდენტმა გამალ აბდელ ნასერმა 50-იანი წლების ბოლოს გეოსტრატეგიული არჩევანი გააკეთა და მთავარ სამხედრო-პოლიტიკურ მოკავშირედ საბჭოთა კავშირი აირჩია. ნასერის პირველი ჩამოსვლა მოსკოვში მართლაც საინტერესო იყო. ზორბა ეგვიპტის პრეზიდენტი საბჭოთა ლიდერებთან – ნიკიტა ხრუშჩოვსა და კლიმენტ ვოროშილოვთან შედარებით ისე გამოიყურებოდა, როგორც გულივერი ლილიპუტების ქვეყანაში.

მაგრამ ცხოვრება წარმავალია და 60-იანი წლების მეორე ნახევარში ნასერი იმდენად დაძაბუნდა, რომ დამოუკიდებლად კიბეზე ასვლაც კი არ შეეძლო.

მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სპეცსამსახურები დიდ ყურადღებას უთმობდნენ ეგვიპტის პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის დადგენას, რათა მათთვის მოულოდნელი არ ყოფილიყო მისი დიდი პოლიტიკიდან წასვლა. ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო (აშშ), მი-6 (დიდი ბრიტანეთი), ისრაელის „მოსადი", საფრანგეთისა და დასავლეთ გერმანიის დაზვერვის სამსახურები თავს არ ზოგავდნენ, რომ ხელში ჩაეგდოთ ნასერის ავადმყოფობის შესახებ ინფორმაცია.

ეგვიპტის ხელმძღვანელები (უპირველესად კი ვიცე-პრეზიდენტი ანვარ სადათი) ხსნას მხოლოდ საბჭოთა კავშირში ხედავდნენ და 1968 წლის ივლისის დასაწყისში საბჭოთა ლიდერ ლეონიდ ბრეჟნევს მიმართეს. საკითხის დიდი მნიშვნელობიდან გამომდინარე, საქმეში კა-გე-ბეს შეფი იური ანდროპოვი ჩაერთო, რომელმაც პირადად დაავალა ე.წ. „ლეჩკომბინატის" უფროსს და საბჭოთა პოლიტბიუროს მესაიდუმლე აკადემიკოს ევგენი ჩაზოვს ეგვიპტის პრეზიდენტის მკურნალობის ორგანიზაცია.

ახლო აღმოსავლეთში მდგომარეობა, როგორც ყოველთვის, უკიდურესად დაძაბული იყო, ამიტომაც ოფიციალურ კაიროს ნასერის დაავადების შესახებ ინფორმაციის გაჟონვის პანიკურად ეშინოდა.

1968 წლის 6 ივლისს ეგვიპტის პრეზიდენტი გამალ აბდელ ნასერი მოსკოვში ჩაფრინდა. ისე იყო გატანჯული ტკივილით, რომ სიარული აღარ შეეძლო. საინტერესოა, რომ ნასერის თანმხლებ პირებთან ერთად „ამინის" ფსევდონიმით მოსკოვში პირველად ჩავიდა პალესტინის გამათავისუფლებელი ფრონტის ლიდერი, ზოგისთვის ტერორისტი და ზოგისთვის პარტიზანი იასერ არაფატი.

საბჭოთა ექიმების გადაწყვეტილებით გამალ აბდელ ნასერს მკურნალობის კურსი საქართველოში, კერძოდ კი წყალტუბოს ბალნეოლოგიურ კურორტზე უნდა ჩაეტარებინა. მდგომარეობის დასაზვერად წყალტუბოში ჯერ ექიმები და კა-გე-ბეს მე-9 (ე.წ. სამთავრობო დაცვის) სამმართველოს ოფიცრები ჩავიდნენ. აღმოჩნდა, რომ წყალტუბოს სანატორიუმებში არ იყო არც ერთი „საპრეზიდენტო ნომერი", ამიტომაც ეგვიპტის პრეზიდენტის და მისი დაცვისთვის სტანდარტული — 12-14 კვმ-იანი სამი პალატა გამოყვეს.



ეგვიპტის ყოფილი პრეზიდენტი (1956-1970წ.წ.) გამალ აბდელ ნასერი

კა-გე-ბე ცდილობდა ნასერის ვიზიტი საიდუმლოდ შეენახა, თუმცა, როგორც ევგენი ჩაზოვი მემუარებში იხსენებს, მთელმა წყალტუბომ რამდენიმე საათით ადრე იცოდა ნასერის ჩასვლის დრო და გადაადგილების ზუსტი მარშრუტი.

საბჭოთა ექიმების გასაკვირად, ნასერის მდგომარეობა მალე გამოსწორდა: ტკივილი გაქრა, თანდათანობით განგრენის სიმპტომებმაც დაიწყო გაქრობა.

ერთი წლის შემდეგ ნასერის მდგომარეობა კვლავ გაუარესდა და იური ანდროპოვმა ევგენი ჩაზოვს ეგვიპტეში სასწრაფოდ ჩასვლა დაავალა, თან თურმე დასძინა, ისრაელის დაზვერვა კაიროში ძალიან კარგად მუშაობს, ამიტომ რომ არ გიცნონ, შავი სათვალითა და ქუდით იარეთო.

საბჭოთა კა-გე-ბეს შეფისა და ეგვიპტის ყველა მმართველის უპირველესი თავსატეხი ისრაელი და მისი სპეცსამსახურები იყო.

## ისრაელის სპეცსამსახურები ეგვიპტის წინააღმდეგ

დღემდე ეგვიპტის არმიისა და სპეცსამსახურების ყველაზე დიდ მარცხად 1967 წლის ივნისში „ექვსდღიანი ომის" დროს ჩატარებული სპეცოპერაცია ითვლება, — ისრაელის სამხედრო დაზვერვა „ამანმა" შეძლო ეგვიპტის, სირიისა და იორდანიის შეიარაღებული ძალების (სამხედრო-საჰაერო და საზღვაო შენაერთების, რადიოლოკატორების, აეროდრომების) შესახებ ზუსტი ინფორმაციის მოპოვება.

პარალელურად, ისრაელის სამხედრო დაზვერვა ეგვიპტის პრეზიდენტ ნასერისა და იორდანიის მეფე ჰუსეინის სატელეფონო საუბრებს უსმენდა. სადაზვერვო ინფორმაციის ანალიზმა აჩვენა, რომ არაბული სამყარო ომისთვის ემზადებოდა. ისრაელმა დაასწრო და გაიმარჯვა, რაც დიდად განაპირობა „ამანის" შეფის, არონ იარივის ახლებურმა მიდგომამ სადაზვერვო ოპერაციების დაგეგმვისა და ჩატარებისადმი. მისმა თანამშრომლებმა დაამუშავეს სპეციალური კომპიუტერული პროგრამა, სადაც დიდი მოცულობის სადაზვერვო ინფორმაციის ანალიზის შედეგად დაწვრილებით იყო მოცემული არაბული ქვეყნების შეიარაღებული ძალების თითოეული დანაყოფის დისლოკაციის ზუსტი კოორდინატი, მორიგეობისა და პატრულირების წესი, გათვლილი იყო სამხედრო ოპერაციათა შესაძლო განვითარების სხვადასხვა სცენარი და სიტუაციური მოდელი. ეს მიდგომა რადიკალურად განსხვავდებოდა ათწლეულით ადრე ისრაელის სპეცსამსახურების მუშაობის რომანტიკულ-ავანტიურისტული სტილისგან. „ამანისგან" მიღებული ზუსტი ინფორმაციის წყალობით ისრაელის ავიაციამ და არტილერიამ ზუსტი დარტყმებით ექვს საათში(!) გაანადგურეს ეგვიპტის საჰაერო ძალების, სატანკო შენაერთებისა და საზღვაო ხომალდების დიდი

ნაწილი, სირიისა და იორდანიის ჯარები კი ხუთ დღეში თითქმის აღარ არსებობდნენ.

## როდის საუზმობენ ეგვიპტელი მფრინავები?

ისრაელის გამარჯვება „ექვსდღიან ომში“ მნიშვნელოვნად განაპირობა „ამანის“ მიერ მოპოვებულმა ერთმა, თითქოსდა უმნიშვნელო ინფორმაციამ. სამხედრო დაზვერვის აგენტი, რომელიც ეგვიპტის ერთ-ერთ სამხედრო-საავიაციო ბაზაში მოქმედებდა, იტყობინებოდა, რომ უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში ეგვიპტელი მფრინავები უჩვეულოდ ადრე, დილის 7.20 სთ-ზე საუზმობდნენ და შემდეგ დასაძინებლად ყაზარმებში მიდიოდნენ. ამ ფაქტმა დააინტერესა „ამანის“ ანალიტიკოსები. მათ სხვადასხვა სადაზვერვო წყაროსგან მიღებული ინფორმაციის შეჯერების შედეგად დაადგინეს, რომ ეგვიპტის მთავარსარდლობის გადაწყვეტილებით ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალები საბრძოლო მზადყოფნის რეჟიმში გადასულიყვნენ და საჰაერო სივრცეს დილის ოთხიდან შვიდ საათამდე პატრულირებდნენ, შემდეგ სადილობდნენ და დასაძინებლად მიდიოდნენ. ანალოგიურ რეჟიმში მოქმედებდნენ სირიისა და იორდანიის სამხედრო-საჰაერო ძალებიც. ეს ცნობები საკმარისი გახდა იმისთვის, რომ ისრაელის ავიაციას შეტევა დილის 7.45 სთ-ზე დაეწყო. ამ ტაქტიკის შედეგად ომის პირველივე დღეს ეგვიპტემ 419-დან 304 თვითმფრინავი დაკარგა, სირიამ –53 (112-დან), ხოლო იორდანიამ 28 –28-დან! არაბული ქვეყნების სამხედრო ავიაციის 70-80% ომის პირველივე საათებში განადგურდა.




ისრაელმა დაიკავა მდინარე იორდანეს დასავლეთი სანაპირო, სინაის ნახევარკუნძული, ღაზის სექტორი და სირიის გოლანის სიმაღლეები. სირიის დედაქალაქ დამასკომდე 25 კმ (ანუ იმდენივე, რაც თბილისიდან მცხეთამდეა) იყო დარჩენილი. საბჭოთა კავშირი რომ არ ჩარეულიყო, ისრაელი ამ არაბული ქვეყნების დედაქალაქებში გამართავდა გამარჯვების აღლუმებს.

## საბჭოთა რადარის მოტაცება

„ამანის“ სპეცოპერაციებიდან ერთ-ერთია განსაკუთრებით საინტერესო. 60-იანი წლების ბოლოს ისრაელის შეიარაღებულ ძალებს დიდ ზიანს აყენებდა სუეცის არხის ახლოს მდებარე ეგვიპტის რადიოლოკაციური სადგური, რომელიც საბჭოთა კავშირმა დაამონტაჟა. 1969 წლის 26 დეკემბრის ღამეს „საიერეთის“ მებრძოლებმა ეგვიპტელი ჯარისკაცების დაცვა „მოხსნეს“ და სადგურის ტერიტორიაზე შეიჭრნენ. რადარის აფეთქება და უკან დაბრუნება მათთვის დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა, მაგრამ სამხედრო დაზვერვის მებრძოლებმა უფრო მეტი გააკეთეს – 7-ტონიანი რადარი ორი შვეულმფრენით ადგილს მოსწყვიტეს და ისრაელის ტერიტორიაზე დაუზიანებლად გადაიტანეს. სამხედრო ბაზაში ებრაელმა სპეციალისტებმა დაწვრილებით შეისწავლეს უახლესი საბჭოთა ტექნიკა და შემდეგ ინფორმაციის ნაწილი ამერიკელებსაც კი უწყალობეს.

## დაბნეული დასავლეთი

დასავლეთისთვის ჰოსნი მუბარაქი წლების მანძილზე იყო პოლიტიკური სტაბილურობის გარანტია არაბულ სამყაროში.

ჰოსნი მუბარაქი თანამედროვე ეგვიპტის ყველა წარმატების თუ მარცხის თანამონაწილეა, რადგანაც 1952 წლის შემდეგ, თითქმის 60 წელი, ყოველთვის მოვლენების შუაგულში უხდებოდა ყოფნა.

მუბარაქი 30 წლის მანძილზე იყო ეგვიპტის შეიარაღებული ძალების, პირველ რიგში სამხედრო-საჰაერო შენაერთების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ხოლო 1981 წლის შემდეგ, კიდევ 30 წელი – ქვეყნის პრეზიდენტი.

***ბესიკ ალადაშვილი***

*ექსპერტი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, უშიშროების გადამდგარი პოლკოვნიკი*

(დასასრული შემდეგ ნომერში)

# ინდოეთი კა-გე-ბეს არქივებში



## ინდოეთის „ერთგული შვილი" — ინდირა განდი კა-გე-ბეს აგენტი იყო?!

„არსენალის" წინა ნომერში კა-გე-ბეს არქივებში არსებული იმ „სრულიად საიდუმლო" დოკუმენტის შესახებ გიამბეთ, რომელიც იტალიის სხვადასხვა პარტიის ბოევიკებისთვის პორტატიული რადიოგადამცემების, ყალბი დოკუმენტებისა და გარეგნობის შეცვლისთვის აუცილებელი ნივთების გადაცემას ეხებოდა. დღეს კი გვინდა მკითხველს მორიგი „სრულიად საიდუმლო" დოკუმენტი გავაცნოთ, რომელიც ინდოეთსა და მის პოლიტიკურ ლიდერებს ეხება.

გამორჩეული გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამო ინდოეთი ყოველთვის იყო საბჭოთა კავშირის საოცნებო „ლუკმა". თუმცა 1947 წლის შემდეგ, როცა ინდოეთი ორ სახელმწიფოდ — პაკისტანად და ინდოეთად გაიყო, საბჭოთა იმპერიის ბელადი იოსებ სტალინი, ცოტა არ იყოს, ცინიკურად და ირონიულად უყურებდა ინდოეთის ხელმძღვანელობაში მოსულ „კაბებში" გამოწყობილ გაძვალტყავებულ ასკეტურ კაცებს და „საერთაშორისო იმპერიალიზმის" წინააღმდეგ მშვიდობიანი ბრძოლის მათეულ ლიბერალურ და ჰუმანურ მეთოდებს. დიდი დიქტატორი ვერ იტანდა ჯავაჰარლალ ნერუს და მას „იმპერიალიზმის მარიონეტს" ეძახდა. მისი დავალებით საბჭოთა სპეცსამსახურები ინდოეთში ფარულად ავრცელებდნენ პროკლამაციებს და ინდოელ კომუნისტებს „ნერუს რეაქციული მთავრობის" ჩამოგდებისკენ მოუწოდებდნენ. მხოლოდ სტალინის გარდაცვალების შემდეგ, 1953 წელს დაიწყო ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის დათბობა და საბჭოთა კავშირში ნერუს ქალიშვილი — ინდირა განდი ჩამოვიდა.

მცირე დოსიე: ინდირა განდი (1917-1984), ინდოეთის პრემიერ-მინისტრი 1966-1977 და 1980-1984 წლებში. 1964 წლიდან ინდოეთის მთავრობაში ეკავა მინისტრის პოსტი. პარტია „ინდოეთის ეროვნული კონგრესის" (იეკ) ლიდერი, ხოლო ამ პარტიის დაშლის შემდეგ, 1978 წელს თავისი მომხრეებისგან შექმნა ახალი პარტია — „იეკ(ი)". 1984 წელს გახდა ტერორისტ-თვითმკვლელის მსხვერპლი. ერთი წლის შემდეგ მიენიჭა საბჭოთა კავშირის უმაღლესი — საერთაშორისო ლენინური პრემია. იყო მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი. სიკვდილის შემდეგ მოსკოვში მისი ძეგლი აღმართეს.

ინდირა განდი გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან აქტიურად იყო ჩართული საბჭოთა კავშირ-ინდოეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობაში, რაც განსაკუთრებით 1955 წლიდან, საბჭოთა ექსცენტრიკული ლიდერის, ნიკიტა ხრუშჩოვის ინდოეთში ვიზიტის შემდეგ გაღრმავდა. საბჭოთა იმპერია ინდოეთ-პაკისტანის მრავალწლიან დაპირისპირებაში თავიდანვე ინდოეთის მხარეს დადგა და ყოველმხრივ (ეკონომიკურად, პოლიტიკურად და შეიარაღებით) ეხმარებოდა სტრატეგიულ პარტნიორს. პაკისტანი, თავის მხრივ, ამერიკას „ჩაეხუტა" და დაიწყო მასთან მჭიდრო სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობა. დახმარების ზრდის კვალობაზე საბჭოთა ხელმძღვანელობას უკვე აღარ აკმაყოფილებდა ინდოეთის პრემიერ-მინისტრის, უკვე ხანში შესული ნერუს „ერთგულების ფიცი". ამიტომაც საბჭოთა სპეცსამსახურებმა მიიღეს კონკრეტული დავალება — ნერუს გარდაცვალებამდე მაქსიმალურად გაეკაფათ გზა მისი ქალიშვილის — ინდირა განდისთვის და მომავალში ის საბჭოთა საგარეო პოლიტიკის მხარდამჭერად ექციათ. პოლიტიკური კარიერა რთული საქმეა. საკმარისი არ არის მხოლოდ ნიჭი, ფოტოგენურობა და მჭევრმეტყველება, აუცილებელია ინფორმაციული უზრუნველყოფაც და დიდი ფულიც. ახალგაზრდა ინდირას სწორედ აქ ჰქონდა პრობლემები. როგორც ამჟამად ირკვევა, ინდოეთის მომავალ პრემიერ-მინისტრს დახმარების ხელი საბჭოთა კა-გე-ბემ გაუწოდა.

ახალგაზრდა პერსპექტიული პოლიტიკოსის ოპერატიული დამუშავება 50-იანი წლებიდან დაიწყო. ოპერაციას, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ინდოეთში სხვადასხვა დროს კა-გე-ბეს რეზიდენტები: რადომირ ბოგდანოვი (რეზიდენტი 1957-1967 წწ.), დმიტრი ეროხინი (1967-1970წწ.), იაკობ მედიანიკი (1970-1975წწ.) და ლეონიდ შებარშინი (1975-1977წწ.) ხელმძღვანელობდნენ. ზესაიდუმლო ოპერაციის ესტაფეტა წარმატებით გადაეცემოდა ერთი რეზიდენტიდან მეორეს და ინდირა განდიც „ხელიდან ხელში გადადიოდა". ყველა კმაყოფილი იყო — საბჭოთა მზვერავები გენერლის ვარსკვლავებს იღებდნენ (მაგალითად, დმიტრი ეროხინი 1970 წელს „ცენტრში" — მოსკოვში კა-გე-ბეს ყველაზე ახალგაზრდა გენერლად დაბრუნდა), ხოლო ინდოეთის „ერთგული ქალიშვილი" ხელისუფლებაში ყოფნის რეკორდს ამყარებდა. მიღწეული შედეგების გათვალისწინებით საბჭოთა უშიშროების შეფის, იური ანდროპოვის ბრძანებით ინდოეთში კა-გე-ბეს რეზიდენტურა გაფართოვდა და შეიქმნა: დელის (მთავარი), ბომბეის, კალკუტისა და მადრასის რეზიდენტურები.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბანგლადეშის პაკისტანისგან გამოყოფა და დამოუკიდებლობის მიღება საბჭოთა კა-გე-ბესა და ინდოეთის ხელისუფლების დიდ გამარჯვებად იქცა

მათი საქმიანობის მთავარი მიმართულებები იყო: პოლიტიკური დაზვერვა; სამეცნიერო-ტექნიკური დაზვერვა და შიდა კონტრდაზვერვა. ასევე გაიზარდა ინდოეთში საბჭოთა მზვერავების რიცხვიც. 70-იანი წლების დასაწყისისთვის ინდოეთში მომუშავე სამასი საბჭოთა დიპლომატისგან, ნახევარი, ანუ 150(!) კაცი კა-გე-ბესა და გე-რე-უს ოფიცრები იყვნენ.

## პაკისტანის გაყოფაში საბჭოთა ხელი ერია

იმ პერიოდში კა-გე-ბეს საიდუმლო ოპერაციებიდან ერთი იყო განსაკუთრებული — 1971 წლის ბოლოს საბჭოთა სპეცსამსახურების დიდი მცდელობის შემდეგ ინდოეთის მთავარ სამხედრო და პოლიტიკურ მოწინააღმდეგე პაკისტანს ჩამოსცილდა აღმოსავლეთი ბენგალია და შეიქმნა ახალი სახელმწიფო – ბანგლადეში. პაკისტანის ორად გაყოფა საბჭოთა კავშირ-ინდოეთის დიდი გამარჯვება და იმავდროულად მათი მოწინააღმდეგეების — აშშ-ისა და ჩინეთის მარცხი იყო.

ეს მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან ინდოეთში წლების განმავლობაში აშშ-ის დაზვერვის პასიურობის გამო, ბურთი და მოედანი საბჭოთა სპეცსამსახურებს დარჩათ.

1955 წლის შემდეგ ინდოეთში საბჭოთა კავშირის აქტიურ დიპლომატიურ და უფრო ძლიერ, ფარულ მოქმედებებს აშშ-ის ადმინისტრაცია ადეკვატურად ვერ პასუხობდა. გარდა დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის მიმართ ისტორიულად არსებული სიძულვილისა, ინდოეთის მოსახლეობა იმ ფაქტითაც იყო აღშფოთებული, რომ ამერიკა ცალსახად უჭერდა მხარს პაკისტანს და იარაღითაც ამარაგებდა. ამასთან, აშშ-ის ადმინისტრაცია თანდათან ეფლობოდა სამხრეთ აზიის პრობლემებში. ამერიკის პასიურობას დიპლომატიური კადრების შერჩევის მავნე, სუბიექტური ფაქტორი აგვირგვინებდა. თავად განსაჯეთ, 1961-1963 წლებში ინდოეთში აშშ-ის ელჩად დანიშნული იყო ცნობილი ეკონომისტი, „ახალი ინდუსტრიული საზოგადოებისა“ და კონვერგენციის თეორიის ავტორი, იმავდროულად პრეზიდენტ კენედის ე.წ. „ტვინის ტრესტის“ წევრი ჯონ კენეტ გელბრაითი. ეს უკანასკნელი რამდენადაც ეკონომიკურ თეორიებში ერკვეოდა კარგად, იმდენად პროფანი იყო საიდუმლო ოპერაციებისა და სპეცსამსახურების საქმიანობის აუცილებლობაში. ელჩად დანიშვნისთანავე გელბრაითმა პრეზიდენტი დაარწმუნა ამერიკის დაზვერვის მიერ ინდოეთში აქტიურობის მიზანშეუწონლობაში და მიაღწია იმას, რომ 1961 წლის მაისიდან აშშ-ის დაზვერვა იძულებული შეიქნა რამდენიმე წლით შეეწყვიტა ან შეემცირებინა „აქტიური მოქმედებები“ (პარტიების, პოლიტიკოსებისა და გაზეთების დაფინანსება, აგენტურის გადაბირება და სხვ.) ინდოეთში. საბჭოთა კავშირმა კი დაუყოვნებლივ ისარგებლა ამ საჩუქრით და ინდოეთში პოზიცია გაიმყარა.

ინდირა განდი, რომელიც საერთაშორისო პოლიტიკაში მიუმხრობლობისა და ნეიტრალიტეტის იდეებს ქადაგებდა, სინამდვილეში საბჭოთა საგარეო პოლიტიკის აქტიური მხარდამჭერი და გამტარებელი იყო. ქვეყნის შიგნით კი მან საბჭოთა სპეცსამსახურებს მოქმედების სრული თავისუფლება მისცა. ინდოეთი იქცა საბჭოთა დეზინფორმაციის მსოფლიოში გავრცელების ფორპოსტად და ძირითად არხად.

ამას ადასტურებს ის საარქივო მასალაც, რომელიც კა-გე-ბეს არქივებში ინახება.

1969 წელს იერუსალიმში დაიწვა მეჩეთი „ალ-აქსა“. მუსლიმანურმა სამყარომ მომხდარში ისრაელი დაადანაშაულა და საბჭოთა კავშირსაც მეტი რა უნდოდა? სწრაფად აიტაცა ეს ვერსია და თავის სასარგებლოდ გამოყენებას შეუდგა.

სუკ-ის შეფმა იური ანდროპოვმა საბჭოთა ლიდერ ლეონიდ ბრეჟნევს 1969 წლის 28 აგვისტოს სრულიად საიდუმლო მოხსენებითი ბარათით მიმართა, რომლის ტექსტსაც ქვემოთ გთავაზობთ:

**„ისრაელის მიერ იერუსალიმში „ალ-აქსას“ მეჩეთის დაწვამ ინდოეთის საზოგადოებაში მძაფრი რეაქცია გამოიწვია. მიმდინარე წლის 26 აგვისტოს ეს საკითხი განიხილებოდა ინდოეთის პარლამენტში, სადაც საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ: „ინდოეთის მთავრობა და ხალხი შეძრულია ამ შემთხვევით“.**

**ამასთან დაკავშირებით ინდოეთში სუკ-ის რეზიდენტურას აქვს შესაძლებლობა ორგანიზება გაუკეთოს 20 ათასი მუსლიმანის საპროტესტო დემონსტრაციას ინდოეთში აშშ-ის საელჩოს წინ. დემონსტრაციის ჩატარების ხარჯები შეადგენს 5 ათას ინდურ რუპიას და დაიფარება 1969-1971 წლებში ინდოეთში სპეცღონისძიებების ჩატარების მიზნით სკკპ ცკ-ის მიერ გამოყოფილი თანხებიდან. გთხოვთ განიხილოთ“.**

**„დავეთანხმოთ“ – ასეთი იყო ბრეჟნევის რეზოლუცია.**

დეზინფორმაციის საბჭოთა „დიდოსტატების“ მიერ 1945-1991 წლებში ჩატარებული ოპერაციები დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა.

50-იანი წლებიდან კა-გე-ბეს მრავალწლიანი „აქტიური“ ღონისძიებები მიმართული იყო ინდოეთის პოლიტიკური წრეებისა და მოსახლეობის დასარწმუნებლად აშშ-ის „ვერაგულ“ გეგმებში, რომლებიც ვითომდა ინდოეთის დაშლას ითვალისწინებდა.

1983 წელს ინდოეთის ერთ-ერთ პატარა „პროგრესულ“ (როგორც საბჭოთა პროპაგანდა უწოდებდა) გაზეთში „პატრიოტი“ დაიბეჭდა სტატია, სადაც ავტორი ამტკიცებდა, რომ შიდსის ვირუსი ამერიკელებმა შექმნეს როგორც ბაქტერიოლოგიური იარაღი და შემდგომ მის გავრცელებას შეუწყვეს ხელი. რამდენიმე თვის შემდეგ საბჭოთა

„ლიტერატურნაია გაზეტამ“ აიტაცა ეს თემა, უფრო განავრცო და გამოაქვეყნა სუპერსენსაციური მასალა, რომელშიც აღმოსავლეთგერმანელი ბიოფიზიკოსი იაკობ სეგალი „მეცნიერულად“ ასაბუთებდა, რომ ბუნებაში არსებული ვირუსების სინთეზის გზით აშშ-ის მეცნიერებმა ხელოვნურად მიიღეს შიდსის ვირუსი.

ამ პუბლიკაციებმა, რომელთაც კა-გე-ბეს ხელი აშკარად ეტყობოდა, დაუდეს საფუძველი მრავალწლიან დისკუსიებს ამ თემაზე. ყველა ამერიკელებს აგინებდა და, ბუნებრივია, ყოველივე ამან აშშ-ის საერთაშორისო ავტორიტეტი ძალზე შელახა.

1987 წელს კა-გე-ბეს „ჯადოქრებმა“ გააყალბეს ცსს-ს დირექტორის უილიამ უებსტერის წერილი, სადაც ვითომ საუბარი იყო ინდოეთის პრემიერ-მინისტრ რაჯივ განდის დისკრედიტირებისა და ინდოეთის საწინააღმდეგო ოპერაციებზე.

## ინდოეთის „ერთგული შვილი“ კა-გე-ბეს აგენტი იყო?!

ინდირა განდი 1984 წლის 31 ოქტომბერს ტერორისტ-თვითმკვლელმა მოკლა, მან თავი აიფეთქა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრიც იმსხვერპლა. ინდირა განდი საბჭოთა „გავლენის აგენტი“ რომ იყო, ეს მისი საქმიანობითაც აშკარად ჩანდა, მაგრამ საჯაროდ ამის შესახებ პირველად ინდირას რძალმა, მისი უმცროსი ვაჟის სანჯაის (დაიღუპა 1980 წელს ავიაკატასტროფაში) ქვრივმა, მანეკამ განაცხადა 1984 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს. მან რაჯივ განდისაც დასდო ბრალი საბჭოთა აგენტობაში. ძნელია ითქვას, რა დოკუმენტებით სარგებლობდა მანეკა, მაგრამ დღეს ყოფილი სკკპ ცკ-ის არქივებიდან გამოჟონილ სრულიად საიდუმლო მასალებსა და რუსი პოლიტიკოსების საჯარო განცხადებებზე დაყრდნობით უკვე დადასტურებულ ფაქტად უნდა ჩაითვალოს დედა-შვილი განდების საბჭოთა აგენტობა.

საბჭოთა სპეცსამსახურები განდების ოჯახის დასაფინანსებლად სხვადასხვა წყაროს იყენებდნენ. 1983 წლის 12 თებერვალს სუკ-ის მაშინდელი შეფი ვიქტორ ჩებრიკოვი ასეთ მოხსენებით ბარათს აგზავნის სკკპ ცკ-ში:

**„სსრკ სუკ-ს კონტაქტები აქვს ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ვაჟ რაჯივ განდისთან (სსრკ სუკ-ის 14.07.1980წ. N1413-ა/ოვ წერილზე სკკპ ცკ-ს თანხმობის საფუძველზე). რაჯივ განდი გამოხატავს დიდ მადლიერებას იმ დახმარების გამო, რომელსაც პრემიერ-მინისტრის ოჯახი იღებს მათი კონტროლის ქვეშ მოქმედი ფირმისა და საბჭოთა საგარეო-სავაჭრო ორგანიზაციების კომერციული ოპერაციების შედეგად. რაჯივ განდიმ გაგვანდო, რომ ამ თანხების მნიშვნელოვანი ნაწილი მისი პარტიის დასაფინანსებლად გამოიყენება“.**

ინდირა განდის გარდაცვალების შემდეგ, რათა ჰიპოთეტურადაც არ დაეშვათ მისი ვაჟის, რაჯივ განდის ოდნავი „შებრუნება“ ამერიკისკენ, საბჭოთა სპეცსამსახურებმა უფრო გაააქტიურეს მუშაობა. ინდოეთის ახალ პრემიერ-მინისტრთან კონტაქტზე უკვე უშუალოდ საბჭოთა დაზვერვის შეფი ვლადიმერ კრიუჩკოვი გადიოდა. გაძლიერდა ფსიქოლოგიური ზეწოლა პოლიტიკურად გამოუცდელ რაჯივზე. ამერიკელთა „ბოროტებაში“ რომ დაერწმუნებინათ, კვლავ ნაცად ხერხს მიმართეს: როგორც ზემოთ ითქვა, 1987 წელს საბჭოთა სპეცსამსახურებმა გააყალბეს აშშ-ის ცენტრალური დაზვერვის დირექტორის უილიამ უებსტერის წერილი, სადაც ვითომ საუბარი იყო ინდოეთის პრემიერ-მინისტრ რაჯივ განდის დისკრედიტირებასა და ინდოეთის საწინააღმდეგო ოპერაციებზე.

საბჭოთა კავშირის მრავალმხრივი დახმარებით რაჯივ განდიმ შეძლო 1984-1989 წლებში შეენარჩუნებინა ინდოეთის პრემიერ-მინისტრის პოსტი. „პერესტროიკის“ შემდგომი ორი წელი გორბაჩოვს მისთვის არ ეცალა, რამაც ინდირას ვაჟის პოლიტიკურ კარიერაზე აშკარად უარყოფითად იმოქმედა და მან დაკარგა პრემიერ-მინისტრობა. დედის მსგავსად რაჯივ განდიც ტერორიზმის მსხვერპლი გახდა, ის 1991 წელს მოკლეს, როგორც ამჟამად ირკვევა „ტამილელი ვეფხვების“ ტერორისტული ორგანიზაციის ბოევიკებმა.

ინდირა განდის კა-გე-ბეს აგენტობა კიდევ ერთხელ საჯაროდ დაადასტურა რუსეთის 90-იანი წლების „დემოკრატიული ტალღის“ პოლიტიკოსმა, თავის დროზე ელცინთან საკმაოდ დაახლოებულმა მიხეილ პოლტორანინმა, რომელიც ელცინის დავალებით 90-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კომპარტიისა და სპეცსამსახურების არქივების გასაიდუმლოების საკითხებზე მუშაობდა. 2007 წლის ივლისის ბოლოს ცნობილ რუს ჟურნალისტ ანდრეი კარაულოვთან საუბარში პოლტორანინმა ინდირა განდი საბჭოთა აგენტად სახალხოდ დაასახელა, რაც მოულოდნელი არ ყოფილა, მაგრამ კიდევ ერთი და საკმაოდ მნიშვნელოვანი მტკიცებულება გახლდათ.

განდების ოჯახის პოლიტიკური ტრადიცია რაჯივ განდის ქვრივმა, იტალიელმა სონიამ განაგრძო და წარმატებითაც. საინტერესოა, აგრძელებს თუ არა აგენტობის ოჯახურ ტრადიციასაც, ამჟამად უკვე რუსეთის სასარგებლოდ?

**ბესიკ ალადაშვილი**

რაჯივი განდი, მისი მეუღლე სონია და თავად ინდირა განდი



ეროვნული ბიბლიოთეკა



„ასალას“ მომხრეები თურქეთის დროშას წვავენ

„სომხეთის გათავისუფლების საიდუმლო სომხური არმია“, რომელიც უფრო მეტად „ასალას“ (ASALA აბრევიატურაა ორგანიზაციის ინგლისური დასახელებისა — Armenian Secret Army for the Liberation of Armenia) სახელით არის ცნობილი, ლიბანელმა სომხებმა გასული საუკუნის 70-იან წლებში შექმნეს. ის ორდენული ტიპის გასამხედროებული გაერთიანებაა, რომელსაც ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი ტერორისტულ ორგანიზაციად მიიჩნევს. 1991-1992 წლების შემდეგ „ასალას“ არც ერთი გახმაურებული ტერორისტული აქტი აღარ ჩაუტარებია. სამაგიეროდ, მისმა აქტივისტებმა თავი ისახელეს ყარაბაღის კონფლიქტში — 500-მდე „ასალელს“ იქ კალიფორნიელი სომეხი, მონტე მელქონიანი ხელმძღვანელობდა. იგი 1993 წლის 12 ივნისს ყარაბაღის სოფელ მარზილიში, გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა და დღეს ერევანში, ერაბლურის გმირთა სასაფლაოზეა დაკრძალული.

აზერბაიჯანული მასმედიის ცნობებით, მას შემდეგ, რაც აშშ-ის კონგრესში სომეხთა გენოციდის შესახებ ახალი რეზოლუცია არც კი განიხილეს, „ასალამ“ ტერორისტულ ქმედებათა განახლებისთვის დაიწყო მზადება.

# სომხეთის გათავისუფლების საიდუმლო სომხური არმია („ასალა“)

# უჩინარი ტერორისტები

## სომეხთა გენოციდი, სევრის ხელშეკრულება, თურქეთ-სომხეთის ომი და „გურგენ იანიკიანის საქმე“

ოსმალეთის იმპერიის მესვეურების მიერ 1915 წელს მოწყობილი სომეხთა გენოციდი, რომელსაც მილიონზე მეტი კაცი ემსხვერპლა, მასშტაბურობით მაშინდელ მსოფლიოში უანალოგო მოვლენა იყო. მისი ერთ-ერთი უმთავრესი საბაბი XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიებში სომეხ ტერორისტთა გააქტიურება გახლდათ — 1890 წელს თბილისში სიმონ ზავარიანის, ქრისტეფორე მიქაელიანისა და როსტომ ზორიანის მიერ ჩამოყალიბებულმა „სომეხი რევოლუციონერების თანამეგობრობამ“ („ჰაი ჰელაპოქაკან დაშნაკცუთიუნ“) ანუ, როგორც მას შემდგომში უწოდებდნენ, „დაშნაკცუთიუნმა“, სულ რაღაც 10-15 წელიწადში უზომო სისხლის ღვრის სიყვარულით მთელ მსოფლიოში გაითქვა სახელი. პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში „დაშნაკცუთიუნის“ აქტივისტებმა ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე რუსეთის სასარგებლოდ დივერსიების მოწყობას მიჰყვეს ხელი. საპასუხოდ სტამბოლმა ქვეშევრდომ სომხებს (რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი, სხვათა შორის, ზემოთ ხსენებულ გაერთიანებას სულაც არ თანაუგრძნობდა) სასტიკი განაჩენი გამოუტანა.

1919 წლის ოქტომბერში „დაშნაკცუთიუნის“ IX სხდომამ გენოციდის ორგანიზატორთა და უშუალო შემსრულებელთა ლიკვიდაციის გადაწყვეტილება მიიღო. დაიგეგმა ოპერაცია „ნემეზისი“ და მოკლე ხანში პარტიას დაქვემდებარებულმა ტერორისტებმა დამნაშავეთა უმრავლესობა (მათ შორის — ოსმალეთის იმპერიის ყოფილი ფაქტობრივი მმართველები: თალაათ-ფაშა და ჯემალ-ფაშა) ჯოჯოხეთის გზას გაუყენეს.

„ნემეზისის“ მიმდინარეობისას, „დაშნაკცუთიუნი“ სომხეთის პირველი რესპუბლიკის მმართველი პარტია იყო და ტრადიციულად, ანტანტის ქვეყნებს ემხრობოდა. იმ პერიოდში სომხური შეიარაღებული ძალები, რომელთაც გენერალი ანდრანიკ ოზანიანი მეთაურობდა, ოსმალეთის იმპერიის ვანის ვილაიეთს (ანუ, დასავლეთ სომხეთს) აკონტროლებდა. შესაბამისად, სომხეთის რესპუბლიკის წინაშე იდგა მეტად მნიშვნელოვანი ამოცანა — ამ ტერიტორიაზე საკუთარი უფლებები როგორმე ოფიციალურად დაემტკიცებინა. „დაშნაკცუთიუნის“ მესვეურებს ამ საქმეში ამერიკის შეერთებული შტატების იმჟამინდელი პრეზიდენტის, ვუდრო უილსონის დახმარების იმედი ჰქონდათ — ეს უკანასკნელი „დიდი სომხეთის“ შექმნის იდეას მხარს ხალისით დაუჭერდა, რადგან თავის დროზე საარჩევნო კამპანია ამერიკის სომხურმა ლობიმ დაუფინანსა. გარდა ამისა, სომხებს დიდი ბრიტანეთიც აღუთქვამდა მხარდაჭერას.

1919 წლის დასაწყისში პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე ვუდრო უილსონმა გაახმაურა თავისი „სომხური გეგმის“ ძირითადი პუნქტები, რომელთა მიხედვით სომხეთს უნდა შეერთებოდა არათუ ვანის, არამედ ერზინჯანისა და ტრაპიზონის ვილაიეთებიც, რის შედეგადაც ქვეყანა ზღვაზე გასასვლელს მიიღებდა. უილსონის აზრით, ეს ყველაფერი სომხებისათვის გენოციდის ერთგვარი კომპენსაცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა ყოფილიყო და „ისტორიული სამართლიანობა“ მხოლოდ ამის შემდეგ აღდგებოდა. რამდენადაც ამერიკა დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთთან ერთად პარიზის სამშვიდობო კონფერენციის ერთ-ერთი ინიციატორი და მთავარი წარმმართველი იყო, უილსონმა თავისი იდეა გაიტანა და საერთაშორისო საზოგადოებრიობა სომხეთის რესპუბლიკის საზღვრების გადასინჯვას დათანხმდა.

1920 წლის 10 აგვისტოს, ერთი მხრივ, ოსმალეთის იმპერიასა და მეორე მხრივ, ანტანტასა და მის მოკავშირეებს შორის საფრანგეთის ქალაქ სევრში გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის ძალითაც სომხეთმა ახალი ტერიტორიები შეიერთა და შავ ზღვაზე გასასვლელიც მიიღო. ოსმალეთის მხრიდან ხელშეკრულებას ხელი სულთნის წარმომადგენლებმა: რიზა თევფიქმა, დამათ ფერიდ ფაშამ, რეშიდ ჰალისმა და ჰადი ფაშამ მოაწერეს. ოსმალეთის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი მაშინ ანტანტისა და მისი მოკავშირეების მიერ იყო ოკუპირებული და ფაქტობრივად, ორი ხელისუფლება არსებობდა: სულთანი — სტამბოლში და თურქეთის დიდი ეროვნული კრება — ანკარაში; ამ უკანასკნელმა, რომელსაც მუსტაფა ქემალ-ფაშა ხელმძღვანელობდა, ხელშეკრულების რატიფიკაციაზე უარი თქვა და ქვეყნის დაშლის შესაჩერებლად დახმარებისათვის საბჭოთა რუსეთს მიმართა.

ანკარასა და მოსკოვს შორის მჭიდრო ურთიერთობა 1920 წლის აპრილიდან დამყარდა, როდესაც საბჭოთა რუსეთის მიერ დე ფაქტო ცნობის საფასურად მუსტაფა ქემალ-ფაშამ აზერბაიჯანის გასაბჭოებაზე თვალი დახუჭა. მაშინ ქემალისტები დასავლეთ თურქეთში შემოჭრილ ბერძნებს ებრძოდნენ და ბოლშევიკთა კეთილგანწყობა ჰაერივით სჭირდებოდათ, ხოლო ბოლშევიკები კავკასიის „გაწითლებას“ და სურდათ, ქემალ-ფაშას ამ პროცესისათვის ხელი არ შეეშალა. შესაბამისად, სევრის ხელშეკრულების გაფორმებისთანავე, ანკარამ მოსკოვთან სომხეთის გაყოფის თაობაზე საიდუმლო მოლაპარაკება დაიწყო. მას კოორდინირებას აღმოსავლეთის ფრონტის სარდალი ქიაზიმ ქარაბექირ-ფაშა უწევდა. მან ბოლშევიკებთან შეთანხმება კი მოახერხა, მაგრამ სომხეთთან საბრძოლო მოქმედებების წამოწყება არ დააჩქარა — საქმე ის იყო, რომ დაპირისპირებაში საქართველოს ჩართვის დიდი ალბათობა არსებობდა და სანამ ოფიციალური ტფილისის პოზიცია არ გაირკვეოდა, ქემალ-ფაშა ომს ვერ დაიწყებდა.

1919-1920 წწ. პარიზის კონფერენციაზე ქართველთა დელეგაციამ ოსმალეთის ყოფილი სამფლობელოს — ლაზისტანის სანჯაყის გადაცემა მოითხოვა, რის გამოც მუსტაფა ქემალ-ფაშა ფიქრობდა, რომ სომხეთთან ომის დაწყების შემთხვევაში თურქთა წინააღმდეგ ქართველებიც გამოვიდოდნენ და აღმოსავლეთის ფრონტზე არმიის დამატებითი ნაწილების გადმოსროლა გახდებოდა საჭირო. ამიტომაც ქემალ-ფაშამ რუს მოკავშირეთა დახმარებით საკითხის დიპლომატიურად მოგვარება სცადა — 1920 წლის 14 სექტემბერს ერევანში საბჭოთა რუსეთის საგარეო



„ასალას“ მიერ წამებულად შერაცხული გურგენ იანიკიანი

საქმეთა კომისარიატის საგანგებო წარმომადგენელი, ბორის ლეგრანი ჩავიდა და სომხეთის ხელისუფლებას სამპუნქტიანი ულტიმატუმი წაუყენა — მოეხდინათ სევრის ხელშეკრულების დენონსაცია, რესპუბლიკის ტერიტორიაზე წითელი არმიის ნაწილები შეეშვათ და, რაც მთავარი იყო, მეზობლებთან ნებისმიერი სასაზღვრო დავა საბჭოთა რუსეთის შუამდგომლობით გადაეწყვიტათ. რაღა თქმა უნდა, სომხეთის მესვეურებმა ეს ულტიმატუმი უარყვეს.

ამავდროულად, ანკარიდან ტფილისში საგანგებოდ გაგზავნილმა წარმომადგენელმა იუსუფ ქემალ-ბეიმ მუსტაფა ქემალ-ფაშას აცნობა, რომ საქართველო თურქეთ-სომხეთის შესაძლო დაპირისპირებისას ნეიტრალიტეტს დაიცავდა (ნოე ჟორდანია

„ასალას“ წევრები თავს სახალხო შურისმაძიებლებად მიიჩნევენ



Five faces of terror

Four Armenians arrested in Los Angeles, from left: Karnig Sarkissian, Dikran Berberian, Vikan Hovsepian and Viken Yacoubian. A fifth Armenian terror squad suspect, Steven John Dadaian, right, was arrested by the FBI in Boston.

Charged as Armenian avengers

By KEVIN P. CONNEY

1915 killings recalled

By JAMES CONNOLLY

Slain consul's widow 'having a hard time'

By JAMES CONNOLLY

FLASHBACK

Grief-stricken Meral Gunduz at funeral of her husband, Orhan, who was assassinated last May in Somerville.





„ასალას“ ლიდერი ჰაკოფ ჰაკოფიანი (მარჯვნიდან მესამე)

თავის გადაწყვეტილებას შემდგომში იმით ხსნიდა, რომ სევრის ხელშეკრულების პირობები ჩვენთვის ნაკლებად მისაღები იყო; მიუხედავად იმისა, რომ ნეიტრალიტეტის გამოცხადებაც ლაზისტანზე პრეტენზიის უკან წაღებას ნიშნავდა). ამდენად, სომხეთის ბედი გადაწყვეტილი იყო — ქემალისტებს წინ ვერავინ დაუდგებოდა.

1920 წლის 23 სექტემბერს ქემალისტური არმია ქიაზიმ ქარაბექირფაშას მეთაურობით სომხეთში ომის გამოუცხადებლად შეიჭრა, ხოლო ზუსტად ორ თვეში — 23 ნოემბერს, საბრძოლო მოქმედებები სომხების დამარცხებით დასრულდა. ამით, ცხადია, ისარგებლეს რუსებმა და „მათი წილი“ სომხეთიც თოფის გაუსროლელად „გააწითლეს“ — 29 ნოემბერს მე-11 არმიამ ქალაქი იჯევანი დაიკავა და თანმხლებ სომეხ ბოლშევიკებს სომხეთის სსრ-ის შექმნის თაობაზე განცხადება გააკეთებინა. თურქებთან ომით ძალზე დაუძლურებულმა „დაშნაკცუთიუნის“ მთავრობამ 2 დეკემბერს სასიკვდილო განაჩენს ხელი თავადვე მოაწერა და სომხეთის გასაბჭოება ცნო.

ამდენად, დასავლეთ სომხეთის ის მოსახლეობა, რომელიც 1915 წლის გენოციდს სასწაულებრივად გადაურჩა, 1920 წელს უკვე ქემალისტურმა არმიამ ააწიოკა. სამაგიეროდ, ვანიდან, ყარსიდან და თურქთა მიერ დაკავებული სხვა სომხური მიწებიდან ლტოლვილი ხალხი აწ უკვე გასაბჭოებულ სომხეთში შეიფარეს და ყველა პირობა შეუქმნეს იმისთვის, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები შეეთვისებინათ. სხვებთან ერთად გამოიქცა საბჭოთა სომხეთში იმ დროს 25 წლის არზრუმელი გურგენ მკრტიჩ იანიკიანიც, რომელიც მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში საინჟინრო ფაკულტეტზე ჩაირიცხა. გასაგებ მიზეზთა გამო მისი პერსონით საბჭოთა სპეცსამსახურები იმთავითვე დიდად დაინტერესდნენ. იანიკიანსაც თანამშრომლობაზე უარი არ უთქვამს, რაც მოგვიანებით დაუფასდა — მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა არმიის მიერ ოკუპირებულ ჩრდილოეთ ირანში რკინიგზის გაყვანას სწორედ ის ხელმძღვანელობდა და კრემლშიც დიდად ემადლიერებოდნენ.

1946 წელს გურგენ მკრტიჩ იანიკიანმა საბჭოთა კავშირი მოულოდნელად დატოვა და საცხოვრებლად ამერიკაში გადავიდა, სადაც ლიტერატურულ საქმიანობას მიჰყო ხელი. 1950-1966 წლებში მან სომეხთა 1915 წლის გენოციდზე ხუთი რომანი გამოაქვეყნა, რომელთაგან სამი ბესტსელერადაც იქცა. გარდა ამისა, იანიკიანი აშშ-ის სომხურ დიასპორაში მემარცხენე-რადიკალური იდეების პროპაგანდასაც ეწეოდა, თუმცა საბჭოთა კავშირის მიმართ უარყოფითად იყო განწყობილი: „მოსკოვში მე ყველა იმედი გამიცრუვდა და ამერიკაშიც სწორედ ამიტომ წამოვედი!“ — აცხადებდა ის. თავის მხრივ, საბჭოთა კავშირშიც იანიკიანის სახელს ტაბუ დაედო. ოფიციალურად, კრემლი მწერალს „სომხური ბურჟუაზიული ნაციონალიზმის“ მთავარ თეორეტიკოსად თვლიდა.

1973 წლის 27 იანვარს ლოს-ანჯელესში მდებარე სასტუმრო „ბალტიმორის“ ფოიეში გურგენ მკრტიჩ იანიკიანმა, რომელიც იმხანად უკვე ცნობილი მწერალი იყო და 78 წლის გახლდათ, თურქეთის მთავარი კონსული, 49 წლის მეჰმეთ ბაიდური და ვიცე-კონსული, 31 წლის ბაჰადირ დემირი „პარაბელუმის“ ორ-ორი გასროლით მოკლა. ამის შემდეგ აუღელვებლად გავიდა სასტუმროდან და პოლიციის უახლოეს განყოფილებას ჩაბარდა. „მე ადამიანები კი არა, ბოროტი სულები დავხოცე“, — განუცხადა მან პოლიციელებს, მერე კი დუმილის უფლება გამოიყენა და სასამართლომდე აღარაფერი უთქვამს.

გურგენ მკრტიჩ იანიკიანის სასამართლო პროცესი 1973 წლის ივნისში დაიწყო და ერთი თვე გაგრძელდა. პირველივე სხდომაზე განსასჯელმა განაცხადა, რომ მკვლელობა მან სულიერი აღელვების ნიადაგზე ჩაიდინა: „რაღა თქმა უნდა, მოკლულები 1915 წლის სომეხთა გენოციდში არ მონაწილეობდნენ, მაგრამ მიაჩნდათ, რომ სინამდვილეში არავითარი გენოციდი არ ყოფილა და ყველაფერი ჩვენი ფანტაზიის ნაყოფია“, — ასე იმართლებდა თავს იანიკიანი. სასამართლო პროცესს არა მარტო აშშ-ის, არამედ მთელი მსოფლიოს სომხური დიასპორა გამოეხმაურა, რის გამოც იანიკიანის საკითხი კონგრესშიც კი განიხილეს. მაშინ კონგრესმენებმა გენოციდის აღიარებისაგან თავი შეიკავეს, ხოლო სასამართლომ კი გურგენ მკრტიჩ იანიკიანს თავისუფლების უვადოდ აღკვეთა მიუსაჯა.

ასე რომ, სწორედ „იანიკიანის საქმე“ და აშშ-ის კონგრესის მიერ სომეხთა 1915 წლის გენოციდის ცნობისგან თავის შეკავება გახდა „ასალას“ ჩამოყალიბების ერთ-ერთი მიზეზიც — 1973 წლის ბოლოს, ერაყელმა სომეხმა, „პალესტინის გათავისუფლების სახალხო ფრონტის“ აქტივისტმა ჰაკოფ ჰაკოფიანმა (ცნობილი იყო აგრეთვე, არუთიუნ ტაგუშიანისა და მიგრან მიგრანიანის სახელებითაც) ლიბანის დედაქალაქ ბეირუთში გამომავალ სომხურ გაზეთ „ჰაირენიქში“ გამოაქვეყნა სტატიების სერია, სადაც ყველა სომეხს მოუწოდებდა, ებრძოლათ ე. წ. „უილსონის სომხეთის“ აღდგენისათვის და აეძულებინათ თურქეთი, 1915 წლის გენოციდის გამო ბოდიში მოეხადა: „მხოლოდ ამის შემდეგ დაგვაფასებს ჩვენ საერთაშორისო საზოგადოებრიობა და იანიკიანის პრეცედენტის მსგავსი მოვლენები აღარ გამეორდება!“ — წერდა ჰაკოფ ჰაკოფიანი. მოგვიანებით მანვე, პასტორ ჯეიმს კერნუსიანსა და ჟურნალისტ გევორქ აჯემიანთან ერთად, დააარსა იანიკიანის მხარდამჭერ მემარცხენე-რადიკალთა სომხური კლუბიც, რომლის ბაზაზე 1975 წელს „სომხეთის გათავისუფლების საიდუმლო სომხური არმია“ შეიქმნა. დაჯგუფებამ თავდაპირველად ანკარას სომეხთა გენოციდის აღიარება მოსთხოვა, მაგრამ თურქეთში ეს სასაცილოდაც არ ეყოთ. პასუხად, 1976 წლის 16 თებერვალს, ბეირუთში, თურქეთის საელჩოში აფეთქება მოხდა, რაზეც პასუხისმგებლობა „ასალამ“ აიღო.

## „ასალას“ სტრუქტურა, ტაქტიკა და იდეოლოგია

„ასალას“ სტრუქტურის თაობაზე დასავლურ და რუსულ პრესაში პირველი ცნობები გასული საუკუნის 80-იანი წლების შუახანებიდან გამოჩნდა, როდესაც ორგანიზაცია ორ — მარგინალურ და ზომიერ ფრთებად დაიყო. როგორც გამოირკვა, „ასალა“ ე.წ. ორდენული პრინციპით არის ორგანიზებული. ჩვეულებისამებრ, ამგვარი ტიპის გაერთიანებებს ჰყავთ ერთი ქარიზმატული ლიდერი, რომელიც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე აშკარად ჩანს, ანუ ორგანიზაციის „სახეა“. გაერთიანების სხვა წევრები — როგორც რიგითი აქტივისტები, ისე ხელმძღვანელობაც — ჩრდილში რჩებიან და ლიდერის უსიტყვო მორჩილება ევალებათ. ორდენული პრინციპებიდან გამომდინარე, „ასალას“ წევრებად მხოლოდ სომხური წარმოშობის პირებს იღებენ, თანაც მხოლოდ და მხოლოდ გამოცდის გავლის შემდეგ. თუკი კანდიდატის მორალურ-ფიზიკური მდგომარეობა ხელმძღვანელობას აკმაყოფილებს, მას ერთგულების ფიცს ადებინებენ და ფარულად ისეთ პირობებს უქმნიან, რომ „თამაშიდან გასვლა“ ვერ გაბედოს. 1984 წელს „ასალას“ გაყოფა სწორედ ამ ორდენულმა პრინციპებმა და ჰაკოფ ჰაკოფიანის ერთპიროვნულმა მმართველობამ განაპირობა — ორგანიზაციის ერთ-ერთი მესვეური, მონტე მელქონიანი თვლიდა, რომ თუ ხელისუფლების გადანაწილება და დაბალანსება არ მოხდებოდა, „ასალა“ დასამარცხებლად იყო განწირული; სხვათა შორის, მოვლენათა განვითარებამ ცხადყო, რომ იგი არ ცდებოდა.

„ასალას“ პირადი შემადგენლობა დაყოფილია 30 ან 50-კაციან რაზმებად ანუ „ხუმბებად“, რომელთაც „ხუმბაპეტები“ მეთაურობენ. თავის მხრივ, ხუმბაპეტები ქმნიან რევოლუციურ კომიტეტს („ჰეღაპოქაკან კომიტე“), რომლის მეთაურსაც, ტრადიციულად, „ჰრამანატარი“ ეწოდება. ჰრამანატარები უმაღლეს მეთაურს („პარაგლუქ“) ემორჩილებიან და მას პერიოდულად ანგარიშს აბარებენ. ასე რომ, „ასალას“ სტრუქტურა მარტივია და მთელი ხელისუფლება ერთი კაცის ხელშია თავმოყრილი. ორგანიზაციის ზომიერ ფრთას, რომელიც ამჟამად ევროპასა და ამერიკაში მოქმედებს, პარაგლუქი ჰრამანატართა საბჭოსთან ერთად მართავს. ამასთან, პარაგლუქის გადაწყვეტილებებს საბჭოს დასტურის გარეშე ძალა არა აქვს.

„ასალას“ საბრძოლო ტაქტიკა კლასიკური ტერორისტულია — ორგანიზაცია ძალოვან სტრუქტურებთან აშკარა და ფართომასშტაბიან დაპირისპირებას თავს არიდებს. ყველა აქტივისტი ვალდებულია, კანონმორჩილი მოქალაქე იყოს, თავისი მრწამსი კი მხოლოდ თანამებრძოლებთან გამოავლინოს. ტერორისტული აქციების დროს „ასალელები“, ტრადიციულად, შავ ნიღბებს ატარებენ. საინტერესოა ისიც, რომ თითოეული აქტივისტი იცნობს მხოლოდ თავისი ხუმბის წევრებსა და ხუმბაპეტს. მსგავსი რამ მეტად დამახასიათებელია კლასიკური ტერორისტული დაჯგუფებებისათვის.

რაც შეეხება „ასალას“ იდეოლოგიას — ორგანიზაციის მესვეურები მიიჩნევენ, რომ ისტორიული სამართლიანობა, რომელიც ძალადობრივი გზით დაირღვა, კვლავაც ძალის გამოყენებით უნდა აღდგეს. ჰაკოფ ჰაკოფიანი თავის სტატიებში წერდა, რომ სომეხი ხალხისათვის, რომელსაც ბედმა მრავალრიცხოვან და აგრესიულ მეზობლებთან დაპირისპირება არგუნა, ტერორიზმი თავდაცვის ერთადერთი საშუალებაა: „ჩვენ თურქებთან ფართომასშტაბიან საბრძოლო მოქმედებებში სასტიკად დავმარცხდით და მართალი რომ ვთქვა, დაშნაკების შეცდომა სწორედ ის იყო, რომ ომში ჩაბმას თავი არ აარიდეს... მიუხედავად იმისა, რომ სომეხი ერი შედარებით მცირერიცხოვანია, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ მას მტრისთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება არ შეუძლია — ჩვენ ამ მიზნით ტერორისტული მეთოდები უნდა გამოვიყენოთ“, — წერდა ჰაკოფიანი. მისივე შეხედულებით, სომეხთათვის ყველაზე ოპტიმალური სოციალისტური სახელმწიფოს შექმნა იყო: „სომხეთი უნდა იყოს სახელმწიფო, სადაც ყველა თანასწორი იქნება და მდიდრები და ღარიბები არ იარსებებენ... ყველა სომეხმა, რომელ ქვეყანაშიც უნდა ცხოვრობდეს, ხშირად უნდა იფიქროს ამაზე და ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ ჩვენი დიდი ხნის ოცნება ასრულდეს — სომხეთი სევრის ხელშეკრულების საზღვრებში აღდგეს და იქ სოციალისტური წყობილება დამყარდეს“. სხვათა შორის, მისი მემარცხენე-ნაციონალისტური შეხედულებები კარგად აისახა „ასალას“ დროშაზე, რომელიც წითელია, ცენტრში კი თეთრ ფონზე წითელი ვარსკვლავი და „დიდი სომხეთის“ რუკაა გამოსახული.

ამასთან, „ასალა“ ცნობილი იყო ანტისემიტური, ანტიამერიკული და NATO-ს წინააღმდეგი განწყობითაც — ჰაკოფ ჰაკოფიანი არაერთგზის წერდა, რომ ისრაელიცა და ამერიკაც სიონისტების მიერ შექმნილი სახელმწიფოები იყო და სოციალიზმი მსოფლიოში მხოლოდ მათი დამხობის შემდეგ გაიმარჯვებდა. რაც შეეხება NATO-ს, ჰაკოფიანის აზრით, ეს ბლოკი დასავლეთში ებრაელების ინტერესების დასაცავად შეიქმნა და მისი მესვეურების მთავარ მიზანს მსოფლიოში მემარცხენე-რადიკალური მოძრაობის დამარცხება წარმოადგენდა: „თურქეთი ისეთივე მოძალადე სახელმწიფოა, როგორიც თავის დროზე ოსმალეთის იმპერია იყო... ანკარა ფეხქვეშ ეგება ებრაელებს და მათი დახმარებით ჩაგრავს დაპყრობილ ერებს“, — ეს სტრიქონები ამოღებულია ჰაკოფიანის ერთ-ერთი სტატიიდან, რომელიც მან გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში პალესტინურ პრესაში გამოაქვეყნა.

„ასალას“ მეთაური საბჭოთა კავშირის მიმართ გარკვეულწილად ლოიალურად იყო განწყობილი. საყურადღებოა, რომ მისი აზრით, თუ მოსკოვი სომხეთის სსრკ-დან გასვლას არ შეეწინააღმდეგებოდა, გაცილებით მოგებული დარჩებოდა. სწორედ ამგვარი შეხედულებების გამო ოფიციალური თურქეთი მიიჩნევდა, რომ „ასალა“ საბჭოთა კა-გე-ბეს ერთ-ერთი პროექტი იყო, ისევე როგორც, მაგალითად, „ქურთისტანის მუშათა პარტია“ ან ბერძნული „17 ნოემბრის მოძრაობა“.

***მიხეილ ლაბაძე***

**(დასასრული შემდეგ ნომერში)**



ორგანიზაციის ზომიერი ფრთის ლიდერი, ცნობილი სომეხი საველე მეთაური მონტე მელქონიანი




# CH-46E Sea Knight

არსენალი

# შვეულმფრენები

## ვიეტნამური გამოცდა

**(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „არსენალი“ N25, 2010-N2-3, 2011)**




ვიეტნამში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებს „შვეულმფრენთა ომი“ 1962 წელს ეწოდა, როდესაც რეგიონში მათ ფართომასშტაბიან გამოყენებამდე ჯერ კიდევ შორს იყო. შვეულმფრენი ამ ომის სიმბოლო გახდა და სამხედრო სპეციალისტთა ერთსულოვანი აზრით, ამერიკულ არმიას ვიეტნამის ომში არც ერთი მსხვილი საბრძოლო ოპერაცია არ ჩაუტარებია, რომ მასში მონაწილეობა შვეულმფრენებს არ მიეღოთ.

პირველი შვეულმფრენები, რომლებიც ინდოჩინეთში გამოჩნდნენ, ფრანგებს ეკუთვნოდათ, თუმცა მათი დებიუტი საკმაოდ მოკრძალებული იყო. 1950 წლის 12 მაისს საიგონში საკათედრო მოედანზე დაჭრილთა საევაკუაციოდ ორი H-23-ის ტიპის შვეულმფრენი დაეშვა. ეკიპაჟების შემადგენლობაში ერთ-ერთი ვალერია ანდრე იყო — შვეულმფრენის პირველი ფრანგი პილოტი ქალი, რომელიც შემდგომში საფრანგეთის სამხედრო-საჰაერო ძალების პირველი ქალი-გენერალი გახდა.

ორი წლის განმავლობაში ამ შვეულმფრენებმა 590-ზე მეტი საათი იფრინეს და 300-ზე მეტი დაჭრილი გადაიყვანეს. შემდგომ წლებში ფრანგული საშვეულმფრენო პარკი გაიზარდა.



ვალერია ანდრე საფრანგეთის სამხედრო ავიაციის პირველი გენერალი ქალი

დაჭრილების ევაკუაციის გარდა, ფრანგული შვეულმფრენები ჩამოგდებული მფრინავების ძებნა-ევაკუაციასაც ახდენდნენ. ომის ბოლოსთვის მათი რიცხვი 38-ს, ხოლო ევაკუირებულ დაჭრილთა რაოდენობამ 10000-ს მიაღწია. ეს საფრენი აპარატები მტრის ზურგში დივერსიული ჯგუფების გადასროლისთვისაც გამოიყენებოდა, მაგრამ სულ მალე რეგიონში ამერიკელებიც გამოჩნდნენ.

1961 წლის 11 დეკემბერს, დამხმარე ავიამზიდ „კარდმა“ საიგონში ამერიკული სატრანსპორტო შვეულმფრენების პირველი პარტია ჩაიყვანა და უკვე ორი დღის შემდეგ მათ პირველი საბრძოლო გაფრენა შეასრულეს. მიზანს საიგონი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან აღმოსავლეთით 15 კმ-ის მოშორებით მდებარე პარტიზანების ბაზისა და რადიოსადგურის განადგურება წარმოადგენდა. ოპერაციაში 30 შვეულმფრენი მონაწილეობდა, რომლებსაც 1000 მედესანტე უნდა გადაესროლათ.

ამდენი შვეულმფრენის ერთბაშად გამოჩენამ პარტიზანები დააბნია, მაგრამ მოულოდნელობის ეფექტი ვერც ამერიკელებმა გამოიყენეს, — დესანტი შეცდომით ჭაობიან ადგილზე გადასხეს. ამასობაში პარტიზანები გონს მოვიდნენ და ამერიკელებს ცეცხლი გაუხსნეს. ყველა შვეულმფრენი მაშინვე აფრინდა, ხოლო ერთი ალმოდებული CH-21 მიწაზე ჩამოვარდა – ის ვიეტნამში დაკარგული პირველი ამერიკული შვეულმფრენი იყო.

ძალიან მალე შვეულმფრენის სილუეტი ვიეტნამის ცაში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. თითქმის მთელი სამხრეთ ვიეტნამის ტერიტორიაზე მიმოფანტული სატრანსპორტო შვეულმფრენები სხვადასხვა დავალებას ასრულებდნენ. სამხრეთ ვიეტნამის არმიის სარდლობაც მათ სულ უფრო აქტიურად იყენებდა.

მალე პარტიზანებიც შეეჩვივნენ შვეულმფრენთა გამოჩენას და სულ უფრო ხშირად უხსნიდნენ ცეცხლს. გასაგები გახდა, რომ სატრანსპორტო შვეულმფრენებს დაცვა სჭირდებოდა და ამ მიზნით ჯერ კიდევ 1961 წელს რეგიონში საერთო დანიშნულების საშვეულმფრენო ასეული გადაისროლეს. ეს ნაწილი მომზადებას ოკინავასა და ტაილანდში გადიოდა, სადაც ნათელი შეიქნა, რომ შვეულმფრენების გამოყენება მოიერიშეებადაც შეიძლებოდა. ეს ერთ-ერთი პირველი რეგულარული ნაწილი იყო, რომლის განკარგულებაშიც ახალი UH-1A-ის ტიპის შვეულმფრენები იყო.

მასზე მუშაობა Bell Helicopter Company-მ 50-იანი წლების დასაწყისში დაიწყო, როდესაც აშშ-ის არმიამ მრავალმიზნობრივი შვეულმფრენის შექმნაზე კონკურსი გამოაცხადა. კონკურსის პირობების თანახმად, საჭიროების შემთხვევაში შვეულმფრენი შეიარაღებასაც მიიღებდა.

1955 წელს კონკურსში გაიმარჯვა Bell Helicopter Company-ის Model 204-მა. მისი პროტოტიპი ჰაერში 1956 წლის 22 ოქტომბერს აფრინდა. მალე პროტოტიპებს სერიული შვეულმფრენებიც მოჰყვა, რომლებსაც უკვე ოფიციალური ნიშნული HU-1 Iroquois-ი (1962 წლიდან UH-1) ჰქონდათ.

ეს შვეულმფრენი შეიარაღებაში 1959 წლიდანაა და გამოდის, რომ მწყობრში უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია — დღემდე სერიულ წარმოებაში მყოფი შვეულმფრენებიდან ის ყველაზე ხანდაზმულია. მოდიფიკაციებმა სერიული თუ საცდელი ვარიანტების ჩათვლით 30-ს უკვე გადააბიჯა და 75 ქვეყნის და მათ შორის საქართველოს არმიის შეიარაღებაშია. ასეთი პოპულარობა შვეულმფრენს მაღალმა საიმედოობამ და სიცოცხლისუნარიანობამ მოუტანა. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ გამოშვებული „იროკეზების" რაოდენობამ 10000-ს უკვე გადააჭარბა.


საბრძოლო ოპერაციები, რომლებშიც ერთდროულად რამდენიმე ათეული შვეულმფრენი გამოიყენებოდა, ვიეტნამში მიღებული პრაქტიკის შედეგი იყო

ვიეტნამის ომი „იროკეზის" საბრძოლო ნათლობად იქცა, „ახალწვეულმა" თავი ნამდვილად არ შეირცხვინა. სატრანსპორტო შვეულმფრენთა ესკორტირებით დანაკარგი განახევრდა. გარდა ამისა, მსუბუქმა და მანევრულმა „იროკეზებმა" თანდათან შედარებით მოუქნელი „ბანანები" შეცვალეს. 1963 წელს ვიეტნამში მოქმედი ყველა სატრანსპორტო ასეული დაიშალა და მათ ბაზაზე ჩამოყალიბდა მსუბუქი აერომობილური ასეულები, რომლებიც UH-1B-ებით იყო დაკომპლექტებული. თუმცა ახალი შვეულმფრენის მოწოდებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, „ბანანების" სრული გაყვანა მხოლოდ 1964 წელს მოხერხდა.

რა თქმა უნდა, შვეულმფრენების გამოყენება უდანაკარგოდ არ ხდებოდა და ჩამოგდებულების ევაკუაციას ახდენდა ცალკეული საავიაციო ასეული, რომლის განკარგულებაშიც 1963 წლის მაისიდან სიკორსკის CH-37 Mojave იყო. 4500 კგ-იანი ტვირთამწეობის წყალობით, მან მხოლოდ 1964 წლის ოქტომბრამდე 33 ჩამოგდებული შვეულმფრენის ევაკუაცია შეძლო. საკუთარმა დანაკარგმა მხოლოდ ერთი საფრენი აპარატი შეადგინა.

მსგავს სატრანსპორტო კონტეინერებში ამერიკელები მფრინავ საკომანდო პუნქტებს ან საოპერაციოებს აწყობდნენ



ეროვნული ბიბლიოთეკა



შეები გადმოსხმის ზონის თავზე წრიულად დაფრინავდნენ და მოწინააღმდეგეს ემებდნენ.

ამგვარი ოპერაციების დროს მთავარ ფაქტორს სატრანსპორტო და მოიერიშე შვეულმფრენებს შორის ურთიერთშეთანხმებული მოქმედებები წარმოადგენდა. ჯავშნითა და შეიარაღებით გადატვირთული მოიერიშე შვეულმფრენები სატრანსპორტოებს ვერ ეწეოდნენ, მაგრამ პრობლემები არც ამ უკანასკნელთ აკლდათ, – ტროპიკული კლიმატი მათ სასარგებლო დატვირთვას ამცირებდა და საწყის ეტაპზე თითოეულს მხოლოდ 10 ჯარისკაცი გადაჰყავდა. 1964 წელს მომხდარი ერთი შემთხვევის გამო, როცა 900 მ სიმაღლეზე კუდის ძელის მოტეხამ შვეულმფრენის ბორტზე მყოფი 12 ჯარისკაცის დაღუპვა გამოიწვია, მედესანტეთა რაოდენობა 7-8 კაცამდე შემცირდა.

მეტი ეფექტურობისთვის, ვიეტნამ-

საბრძოლო მოქმედებათა ინტენსივობის მატებასთან ერთად შვეულმფრენების გამოყენებაც უფრო გააქტიურდა. 1964 წლისთვის სამხედრო ოპერაციებში ერთდროულად რამდენიმე ათეული შვეულმფრენი მონაწილეობდა. თავის მხრივ, ეს შესაბამისი ტაქტიკისა და სწორ ხელმძღვანელობას საჭიროებდა, ხოლო მასობრივად გამოყენებისას დამატებითი რადიოსადგურებით აღჭურვილი მინიმუმ ერთი შვეულმფრენი საკომანდო პუნქტის როლს ასრულებდა.

გამოცდილებამ ცხადყო, რომ 20-25 სატრანსპორტო შვეულმფრენის დასაცავად 5-7 მოიერიშე აპარატი საკმარისი იყო. ესკორტირებისას მოიერიშე შვეულმფრენებიდან 1-2 წინ მიფრინავდა, დასაჯდომ მოედანს ზვერავდა და მის გარშემო ტერიტორიას უმისამართო ცეცხლით ამუშავებდა. მხოლოდ ამის შემდეგ გადასხამდნენ დესანტს. მოიერი-

**შვეულმფრენების წყალობით ამიერიდან ამერიკელებს არტილერიის გამოყენება ნებისმიერი წერტილიდან შეეძლოთ**






ში სწრაფი რეაგირების ჯგუფები Eagle Flightsე-ი შეიქმნა. მართალია, ოპერატიული მოქმედებებით ისინი პარტიზანების გეგმებს ხშირად შლიდნენ, მაგრამ ვიეტნამში მიმდინარე მოვლენებმა შეუქცევადი ხასიათი მიიღო.

1964 წლისთვის აშშ-ის კონტინგენტის 25 ათასამდე (259 შვეულმფრენი) გაზრდის მიუხედავად, მათ მუდმივად უკან დახევა უწევდათ. ტონკინის ინციდენტის შემდეგ კი პრეზიდენტმა ლინ-

**ტრადიციისამებრ, ამერიკელები საფრენ აპარატებს ვიტნამშიც აფერადებდნენ, თუმცა ყველაზე ხშირად შვეულმფრენებზე სწორედ კავალერიის ლოგოს, გადაჯვარედინებული ხმლების ნახვა შეიძლებოდა**

დონ ჯონსონმა სრულმასშტაბიანი სამხედრო კამპანიის დაწყების გადაწყვეტილება მიიღო.

პირველი ოპერაცია, რომელშიც უკვე აშშ-ის შვეულმფრენები ოფიციალურად მონაწილეობდნენ, 1965 წლის 28 ივნისს ჩატარდა. იმ პერიოდისთვის მსოფლიო პრაქტიკაში ეს ყველაზე დიდი საშვეულმფრენო დესანტი იყო. მასში 144, მათ შორის 77 სატრანსპორტო შვეულმფრენი მონაწილეობდა. მედესანტეთა ხუთი ბატალიონის ოპერატიულ გადასხმას მოულოდნელობის ეფექტი ჰქონდა და თითქმის უდანაკარგოდ ჩაიარა.

მალევე გამომჟღავნდა „იროკეზის" ახალი მოდიფიკაცია UH-1D-ს საუკეთესო საბრძოლო შესაძლებლობები. დაგრძელებული ფიუზელაჟისა და უფრო მძლავრი ძრავას წყალობით მას 10 მედესანტის გადაყვანა შეეძლო.

ომის მსვლელობისას, აშშ-ის საშვეულმფრენო დაჯგუფებამ სახელწოდება შეიცვალა და 1965 წლის 1-ელი ივლისიდან მე-11 საავიაციო-მოიერიშე და მე-2 ქვეითი დივიზიების ბაზაზე 1-ელი აერომობილური საკავალერიო დივიზია ჩამოყალიბდა. ახალი სახის ამ შენაერთს ჯავშანტექნიკა არ ჰყავდა. სამაგიეროდ, ჰყავდა 443 შვეულმფრენი და თვითმფრინავი, რომლებიც 8 ქვეით ბატალიონსა და 105 მმ-იანი ჰაუბიცების სამ დივიზიონს ემსახურებოდნენ.

ისეთი რთული მექანიზმის მართვაში, როგორიც აერომობილური დივიზიაა, წამყვანი როლი სწორ ხელმძღვანელობას უკავია და მალე ნათელი გახდა, რომ სახმელეთო საკომანდო პუნქტები დაკისრებულ ამოცანებს თავს ვერ ართმევდნენ. ამიტომაც დივიზიების სამართავად CH-54-ის ტიპის შვეულმფრენებისთვის განკუთვნილ სატრანსპორტო კონტეინერებში მობილური საკომანდო პუნქტები მოეწყო. ანალოგიურ კონტეინერებში ეწყობოდა მობილური საჰაერო ჰოსპიტლებიც, თავისი საოპერაციო მაგიდებით.


ტვირთის გადატანასთან ერთად, ვიეტნამში სატრანსპორტო შვეულმფრენებს ჩამოგდებული საფრენი აპარატების ევაკუაციაც ევალებოდათ

1965 წლიდან ვიეტნამში CH-47-ის ტიპის სატრანსპორტო შვეულმფრენების გამოყენება დაიწყო. Boeing Vertol-ის ეს ქმნილება პირველად ჰაერში 1961 წლის 21 სექტემბერს აფრინდა. სამხედროებს ის ძალიან მოეწონათ და მალე საცდელმა ნიმუშებმა ოფიციალური ნიშნული YCH-47A მიიღეს, სერიულმა მანქანებმა კი — CH-47A (CH - Cargo Helicopter). სახელი Chinook-ი შვეულმფრენმა ჩრდილოამერიკელი ინდიელების ერთ-ერთი ტომის პატივსაცემად მიენიჭა.

ვიეტნამში ამ შვეულმფრენების მთავარი ამოცანა ტვირთის გადატანა იყო და პირველ რიგში ასეთი ტვირთი გარე საკიდარზე ჩამოკიდებული 105 მმ-იანი ჰაუბიცები იყო. შვეულმფრენთა წყალობით ამიერიდან არტილერიის განთავსება ნებისმიერ ადგილზე და მათ შორის მთის ფერდობებზეც შეიძლებოდა.

ცოცხალი ძალის გადასაყვანად შვეულმფრენები გაცილებით იშვიათად გამოიყენებოდნენ და ისიც მხოლოდ უსაფრთხო რაიონებში. სხვა შვეულმფრენების მსგავსად ვიეტნამში „ჩინუკის" სასარგებლო დატვირთვა პასპორტში მითითებულზე ნაკლები აღმოჩნდა. 7 ტონის ნაცვლად, საბაზო ვარიანტს 3,5-ის წაღება შეეძლო. სასარგებლო დატვირთვის წონას ჯავშანიც ამცირებდა.

კიდევ ერთ დავალებას, რომელსაც ეს შვეულმფრენი ომის მთელი პერიოდის განმავლობაში ასრულებდა, ჩამოგდებული ტექნიკის ევაკუაცია იყო. ომის ბოლომდე ამ მფრინავმა „ინდიელმა" ჯუნგლებიდან 11500-ზე მეტი ჩამოგდებული თვითმფრინავი და შვეულმფრენი გამოიტანა, საერთო ღირებულებით 3.5 მლრდ დოლარი. მთლიანობაში კი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის კონფლიქტი 550-მა Chinook-მა გამოიარა (იმ პერიოდში აშენებული 684-დან). მათ 2.6 მილიონ შვეულმფრენ-გაფრენა შეასრულეს, გადაიყვანეს 8.5 მილიონი კაცი და 4.5 მლნ ტონა ტვირთი. საბრძოლო მოქმედებებს 136 შვეულმფრენი შეეწირა.

საკმაოდ უჩვეულო ამპლუას, რომელშიც ამ სატვირთო შვეულმფრენის გამოყენება ხდებოდა, „განშიპი" წარმოადგენდა. მათი ისტორია 1964 წელს და-



სიკორსკის მფრინავი ამწე ჩამოგდებული „ფანტომის" ევაკუაციისას

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვიეტნამის ომის ერთ-ერთი სიმბოლოდ შვეულმფრენი UH-1 ითვლება



სატრანსპორტო შვეულფმრენის დამრტყმელად გამოყენების ნათელი მაგალითი. „განშიპის“ ვარიანტში შესრულებული „ჩინუკი“

იწყო, როცა აშშ-ის არმიის ხელმძღვანელობამ შეიარაღებული UH-1A/B-ს შემცვლელის ძებნა დაიწყო. Chinook-მა ყურადღება იმით მიიქცია, რომ დიდი ტვირთამწეობის წყალობით მასზე ჯავშნისა და მრავალფეროვანი შეიარაღების დაყენება შეიძლებოდა.

შემსუბუქების მიზნით, შვეულმფრენიდან რაც კი შეიძლებოდა, ყველაფერი მოხსნეს, სანაცვლოდ კი დაამაგრეს ტონაზე მეტი ჯავშანი, რომელიც სასიცოცხლო მნიშვნელობის კვანძებსა და ეკიპაჟს იცავდა. შვეულმფრენის არსენალში შემდეგი შეიარაღება შევიდა:

— ფიუზელაჟის ბორტებზე დაყენებული ორი 20 მმ-იანი ქვემეხი, 800-ჭურვიანი საბრძოლო კომპლექტით თითოზე, და 19 უმართავი საავიაციო რაკეტების გამშვები ორი ბლოკი;

— კაბინის წინ, მოძრავ ტურელში დაყენებული 40-მმ-იანი ავტომატური ყუმბარსატყორცნი, 600-ყუმბარიანი საბრძოლო კომპლექტით;

— M-2-ის ტიპის 12,7 მმ-იანი (700 ვაზნა ლულაზე) ან M-60D-ის ტიპის 7.62 მმ-იანი (3000 ვაზნა ლულაზე) ტყვიამფრქვევების დასაყენებლად განკუთვნილი ხუთი გადასატანი დაზგა.

ჩამოთვლილი შეიარაღება, რომელიც საბრძოლო კომპლექტთან ერთად 1,5 ტ-ზე მეტს იწონიდა, წრიული დაფარვის ზონას იძლეოდა.

ACH-47 პირველად 1966 წლის ზაფხულში მედესანტეთა მხარდასაჭერად გამოიყენეს და დასაჯდომი მოედნების დაცვა დაავალეს. თუმცა ამ ტაქტიკის უპერსპექტივობა მალევე გამოჩნდა. შვეულმფრენს დიდი ხნის განმავლობაში მოწინააღმდეგის ცეცხლის ქვეშ უწევდა ყოფნა და არ შეეძლო თავისი მთავარი შეიარაღების — ქვემეხებისა და რაკეტების გამოყენება. ამიტომაც ამ მეთოდზე უარი ითქვა. „განშიპების“ გამოყენების სხვა ვარიანტს ქვეითთა უშუალო მხარდაჭერა წარმოადგენდა. ერთ-ერთ ბრძოლაში შვეულმფრენმა ალყიდან 1-ელი ქვეითი დივიზიის ქვედანაყოფები გამოიყვანა.

4 აგვისტოს „განშიპებმა“ პირველი დანაკარგი განიცადეს, როცა ჰაერში ერთმანეთს ორი შვეულმფრენი შეეჯახა. ეფექტური შეიარაღების მიუხედავად, არავინ იცოდა, როგორ გამოეყენებინათ ეს შვეულმფრენები. ამიტომაც ხშირად მათ „სანადიროდ“ უშვებდნენ. საეჭვო რაიონის თავზე გაფრენისას შვეულმფრენის ბორტიდან უმისამართო ცეცხლი იხსნებოდა და თუ მოწინააღმდეგე საპასუხოს გახსნიდა, შვეულმფრენი რაკეტებისა და ქვემეხების გამოყენებით იერიშზე გადადიოდა. 1967 წლის 5 მაისს, ვიეტკონგელების პოზიციაზე იერიშის

„ლიგა“
სამკურნალო გაერთიანება
სექსოპათოლოგია
– ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
– სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
– ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
– სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე
მის: თაბუკაშვილის №19ა ☎ 890 32-21-21; 32-21-21, 72-59-39
www.league.ge

დროს, ერთ-ერთ „განშიპზე“ ქვემეხის დამაგრების კვანძი გატყდა. ლულა 90°-ით მოტრიალდა და ჯერმა მჭიდი ხრახნი გადაჭრა. უმართავი შვეულმფრენი ჩამოვარდა და მთელი ეკიპაჟი დაიღუპა.

ერთი წლის შემდეგ ამ ტიპის შვეულმფრენების გამოყენება ვიეტნამში შეწყვიტეს. ჯავშნისა და ძლიერი შეიარაღების მიუხედავად, ნელ და მოუქნელ შვეულმფრენს ეფექტური მოქმედება არ შეეძლო, თანაც „ჩინუკი“ სატრანსპორტო სახით უფრო საჭირო იყო, ვიდრე როგორც მოიერიშე.

1965 წლისთვის ვიეტნამში უკვე 660 ამერიკული შვეულმფრენი მოქმედებდა, შემდეგი წლისთვის კი მათი რიცხოვნობის გაზრდა 2000-მდე იგეგმებოდა. მაგრამ ამერიკელები მიხვდნენ, რომ ეფექტური მოქმედებისთვის მათ სპეციალიზებული დამრტყმელი შვეულმფრენი და არა მოდიფიცირებული სატრანსპორტო „განშიპები“ სჭირდებოდათ.

„იროკეზებს“, რომლებსაც ომის მთელი ტვირთი დააწვათ, გადაჰყავდათ დესანტი, აწარმოებდნენ დაზვერვას, ახდენდნენ დაჭრილთა ევაკუაციას და სწორედ მაშინ გამოვლინდა ამ შვეულმფრენების როგორც შეიარაღების პლატფორმის ნაკლოვანებები. მფრინავი არ იყო დაცული, სატვირთო კაბინა კი დამრტყმელი ოპერაციების შესასრულებლად ზედმეტი იყო. საჭირო გახდა სრულიად ახალი დამრტყმელი შვეულმფრენის შექმნა, რომლის მთავარი დანიშნულებაც სახმელეთო ჯარების მხარდაჭერა და მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალისა და მსუბუქი ტექნიკის განადგურება იქნებოდა.

ამიტომაც პენტაგონმა 1964 წელს Bell-თან 1 მლნ დოლარის ღირებულების კონტრაქტი დადო, რომელიც ექვს თვეში მსუბუქი დამრტყმელი შვეულმფრენის შექმნას ითვალისწინებდა. ახალი აპარატი რადიკალურად განსხვავდებოდა წინამორბედებისგან. ეკიპაჟის ორი წევრი ტანდემური სქემით განათავსეს: მსროლელი — წინ, მფრინავი — უკან. ფიუზელაჟი მაქსიმალურად შეავიწროეს, შეიარაღება კი პატარა ფრთებზე დაკიდეს. ამ სახით შვეულმფრენი ჰაერში 1964 წლის 7 სექტემბერს აფრინდა. თავდაპირველად, ნიშნული UH-1H მიიღო, მაგრამ მალე აშშ-ის არმიის სარდლობამ შვეულმფრენების ახალი კლასი გამოყო – დამრტყმელი (Attac), რომლის შესაბამისადაც UH-1H გადაიქცა AH-1G-დ (Attac Helicopter-1 Gunship), სახელად კი Cobra დაერქვა.

შვეულმფრენის ცხვირა ნაწილში განათავსეს მოძრავი ტურელი, რომელიც სამ ვარიანტად კომპლექტდებოდა: ორი 7.62მმ-იანი ექვსლულიანი ტყვიამფრქვევი, ორი 40მმ-იანი ავტომატური ყუმბარსატყორცნი ან კომბინირებული ვარიანტი ზემოთ ჩამოთვლილი იარაღის თითო ეგზემპლარით. ტყვიამფრქვევისთვის საბრძოლო კომპლექტი 4000 ვაზნით, ყუმბარსატყორცნისთვის კი 321 ყუმბარით განისაზღვრებოდა. შვეულმფრენის სასიცოცხლო მნიშვნელობის კვანძები (ტრანსმისია, ძრავა, ეკიპაჟის კაბინა) 122 კგ საერთო მასის ჯავშანფურცლებით იყო დაფარული.

Cobra-ს მოუთმენლად ელოდნენ ვიეტნამში. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ამერიკული ჯარების სარდალი გენერალი უესტმორლენდი ყველანაირად აჩქარებდა მის რეგულარულ არმიაში გადაცემას. 1967 წლის აგვისტოს ექსპერიმენტული დაჯგუფება NETT-ი საიგონის მახლობელ ავიაბაზა „ბიენ-ხოაში“ გადაისროლეს. ვიეტნამის ცაში Cobra პირველად 1967 წლის 31 აგვისტოს აფრინდა, პირველი საბრძოლო გაფრენა კი 8 ოქტომბერს შედგა, როცა ორ Cobra-ს 10 „იროკეზის“ ესკორტირება დაევალა.

***თემურ კულუხაშვილი***




მსოფლიოში პირველი სერიული დამრტყმელი შვეულმფრენი AH-1G Cobra



ვიეტნამში „კობრას“ გამოჩენის მიუხედავად, „განშიპის“ ვარიანტში „იროკეზის“ გამოყენება ომის ბოლომდე ხდებოდა

ჩინური



# ტანკები

„არსენალში" მოსული წერილებისა და კითხვების პასუხად ჟურნალი აქვეყნებს პუბლიკაციების ციკლს, რომელიც ეძღვნება ტანკების განვითარებას, ტენდენციებსა თუ პერსპექტივებს, შეიარაღებისა და დაცვის ელემენტების თავისებურებებს, სხვადასხვა ქვეყნის ტანკების კონსტრუქციულ სიახლეებს, ტანკმშენებლობის დღევანდელ მდგომარეობასა და ა.შ.

ჩვენ უკვე განვიხილეთ ჰოლანდიის, ბრაზილიის, არგენტინის, ირანის, ინდოეთის, პაკისტანის, ავსტრალიის, სამხრეთ აფრიკის, კანადის, იაპონელთა, არაბთა, კორეელთა ტანკმშენებლობის ისტორია, ამ ნომერში ჩინელთა მიღწევებზე გიამბობთ...

ტანკების შექმნის იდეა ინგლისში პირველი მსოფლიო ომის დროს, 1915 წლის ზაფხულში დაიბადა, როცა გერმანელთა კარგად დაცული პოზიციების გარღვევა ცოცხალი ძალის უზარმაზარ დანაკარგს იწვევდა. ამიტომაც მსხვერპლის შესამცირებლად სამხედროები მექანიკური, მუხლუხებიანი, დაჯავშნული საშუალების შექმნის საჭიროებამდე მივიდნენ.

იდეის ხორცშესხმამ ერთ წელზე ცოტა მეტი მოითხოვა და 1916 წლის 15 სექტემბერს მდინარე სომის მახლობლად, სოფელ ფლერთან ბრძოლებში ბრიტანელთა ტანკებმა მოწინააღმდეგის პოზიციებს პირველად შეუტიეს.

ახალი ტექნიკა სხვა ქვეყნების სამხედროებსაც მოეწონათ და მალე საკუთარი კონსტრუქციის ტანკების წარმოების ორგანიზება გერმანიამ და საფრანგეთმა შეძლეს, ხოლო ომის შემდგომ წლებში ამ ქვეყნებს შეუერთდნენ იაპონია, იტალია, პოლონეთი, საბჭოთა კავშირი, ჩეხოსლოვაკია, შვედეთი და სხვ.



შანხაის სახელოსნოებში დაჯავშნული ერთ-ერთი ავტომობილი

„ტიპი 59": წონა - 36 ტონა, ძრავა - 520-ცხ.ძალიანი, სვლის მარაგი - 440 კმ, სიჩქარე - 50 კმ/სთ-ში, შეიარაღება - 100 მმ-იანი ქვემეხი, 7,62 მმ-იანი და 12,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევები



თითქმის ორი ათასი წელი მოანდომეს ჩინელმა იმპერატორებმა საზღვრების გასწვრივ მომთაბარე ტომების თავდასხმებისგან თავდასაცავი უზარმაზარი კედლის მშენებლობას. დღეს კედელს მხოლოდ ისტორიული ღირებულება აქვს, რადგან მის უკან მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი სახელმწიფოს მძლავრი სამხედრო პოტენციალი დგას.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელობა სამამულო წარმოების თანამედროვე შეიარაღების წარმოებას დიდ ყურადღებას უთმობს და შედეგიც სახეზეა — ერთ დროს ჩამორჩენილი, აგრარული ქვეყანა ამჟამად ყველა სახის მაღალტექნოლოგიურ იარაღს აწარმოებს და მათ შორის არცთუ მცირე ადგილი ჯავშანტექნიკას უკავია.

ჩინეთში პირველი ტანკები რუსეთიდან მოხვდა. 1918 წლის აგვისტოში ვლადივოსტოკში ფრანგული კოლონიური ჯარების რამდენიმე ასეული „რენო" FT-17-ის თანხლებით გადმოიყვანეს.

ფრანგების გასვლის შემდეგ ტანკები მუკდენის სამხედრო გუბერნატორმა ჩჟან ცზო-ლინმა მანჯურიის არმიისათვის იყიდა და „რენოებს" შიდა თუ გარეშე მტრებთან ბრძოლაში იყენებდა.

1924-25 წლებში მანჯურიის არმიას კიდევ 14 „რენო" დაემატა, ხოლო ჩჟან ცზო-ლინის მკვლელობის შემდეგ ტანკები ჩან კაიშის ნაციონალურ-რევოლუციური არმიის ხელში გადავიდა და 1-ლი საკავალერიო ბრიგადის შემადგენლობაში შევიდა.

1931 წელს იაპონიამ მანჯურია დაიპყრო და ალაფად დარჩენილი თითქმის ყველა ტანკი იაპონიის კვანტუნის არმიამ დაიტოვა.

ჩინეთში შექმნილმა შიდაპოლიტიკურმა დაპირისპირებამ და იაპონიასთან კიდევ ერთი ომის მოლოდინმა ჯავშანსატანკო ქვედანაყოფების შექმნის აუცილებლობა წარმოშვა, მაგრამ ქვეყნის ხისტ მრეწველობას ამის შესაძლებლობა არ ჰქონდა.

სამაგიეროდ ბევრი იყო წვრილ-წვრილი სახელოსნო, სადაც მსუბუქ და სატვირთო ავტომობილებს ფოლადის ფურცლებით კუსტარულად მოსავდნენ და საცეცხლე საშუალებებად ტყვიამფრქვევებსა და წვრილკალიბრიან ქვემეხებს უკეთებდნენ.

1929-30 წლებში ჩან კაიშმა 24 ბრიტანული ტანკეტი Carden Loyd MkVI იყიდა და ჯავშანსატანკო ქვედანაყოფთა ორგანიზებისათვის გერმანელი სამხედრო მრჩევლები მოიწვია.

სამოქალაქო ომის გამო ჩინეთისათვის შეიარაღების მიწოდებაზე ემბარგო იყო დაწესებული, მაგრამ იმ წლებში გერმანელთა დახმარებით ჩან კაიშის არმიამ მიიღო იტალიური ტანკეტები — CV-33 (10 ცალი) და CV-35, ფრანგული ტანკეტი UE (10 ცალი), ბრიტანული ტანკეტები — Vickers MkE (20 ცალი) და Vickers MkF (4 ცალი), მცურავი ტანკეტი Vickers M1931 (29 ცალი), გერმანული — მსუბუქი ტანკი Pz.Kpfw.I Ausf.A (10 ცალი), მსუბუქი ჯავშანავტომობილები Sd Kfz 221 (18 ცალი) და Sd Kfz 222 (12 ცალი).

# წითელი დრაკონის დაჯავშნული ბრჭყალები



„ტიპი 85": წონა – 39,5 ტონა, ძრავა - 730-ცხ.ძალიანი, სვლის მარაგი - 500 კმ, სიჩქარე - 57 კმ/სთ-ში, შეიარაღება - 105 მმ-იანი ქვემეხი, 7,62 მმ-იანი და 12,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევები

ამ ტექნიკით გერმანელებმა სამბატალიონიანი ჯავშანსატანკო ბრიგადა ჩამოაყალიბეს და ჩინელმა ტანკისტებმა 1937 წელს იაპონელებს შანხაისა და ნანკინის ქუჩებში ბრძოლები გაუმართეს. უთანასწორო ბრძოლებში ბრიგადამ 50 ტანკი დაკარგა, ბევრი იაპონელებს გამართულ მდგომარეობაში დარჩათ.

ტოკიოს მოთხოვნით გერმანელმა მრჩევლებმა ჩინეთი 1937 წელს დატოვეს და მათი ადგილი საბჭოთა სამხედრო სპეციალისტებმა დაიკავეს. საბჭოთა დახმარების პროგრამით 1937-39 წლებში ჩინეთის არმია 87 მსუბუქი ტანკი T-26-ითა და ჯავშანავტომობილებით (ФАИ და БА-6) გაძლიერდა.

1941 წლის დასაწყისში ჩან კაიში ლენდ-ლიზის პროგრამას შეუერთდა და პირველი დახმარება 36 მსუბუქი ჯავშანავტომობილი M3A1 Scout Car იყო, რომლებსაც შემდგომში მსუბუქი ტანკები M3A3 Stuart-ი და საშუალო ტანკები M4A4 Sherman-ი დაემატა.

1945-49 წლებში ქვეყანა ისევ შიდა ომებმა მოიცვა და საბჭოთა კავშირის სამხედრო დახმარების წყალობით 1949 წელს ჩინეთის სათავეში კომუნისტები მოვიდნენ.

„ტიპი 88": წონა - 41 ტონა, ძრავა - 730-ცხ.ძალიანი, სვლის მარაგი - 500 კმ, სიჩქარე - 57 კმ/სთ-ში, შეიარაღება - 125 მმ-იანი ქვემეხი, 7,62 მმ-იანი და 12,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევები





„ტიპი 98“: წონა - 46 ტონა, ძრავა - 1200-ცხ.ძალიანი, სვლის მარაგი - 500 კმ, სიჩქარე - 72 კმ/სთ-ში, შეიარაღება - 125 მმ-იანი ქვემეხი, 7,62 მმ-იანი და 12,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევები

ამ მოვლენამ ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მრავალმხრივი, მათ შორის სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა სულ სხვა სიბრტყეზე გადაიტანა — საბჭოთა დახმარებით სამხედრო საწარმოები აშენდა, სადაც საბჭოთა ტექნიკური დოკუმენტაციისა და სპეციალისტთა დახმარებით სხვადასხვა სახის შეიარაღების ათვისება და სერიული წარმოება დაიწყო.

1956 წელს ჩინეთმა T-54A ტიპის ტანკები მიიღო და მალე ლიცენზიური წარმოებისათვის ნიჟნიტაგილელ სპეციალისტთა დახმარებით ქალაქ ბაიტოუში პირველი სატანკო ქარხანა აიგო.

1957 წელს ქარხნის საამწყობო საამქრო საბჭოთა კავშირიდან შემოტანილი აგრეგატებით ჩინეთში აწყობილმა პირველმა ტანკმა დატოვა.

ტანკი ინდექსით „ტიპი 59“ არმიამ შეიარაღებაში მიიღო და სერიული წარმოება სამ ქარხანაში 1987 წლამდე გაგრძელდა. მაგრამ მეგობრობა 60-იანი წლების დასაწყისში ურთიერთობათა გაუარესებამ შეცვალა და ჩინელმა სპეციალისტებმა ტანკების პროექტირება-სრულყოფა დამოუკიდებლად, დასავლეთის ქვეყნებთან თანამშრომლობით განაგრძეს.

მუშაობის პირველი შედეგი ისრაელის 105 მმ-იანი ქვემეხით აღჭურვილი „ტიპი 59-II“ და „ტიპი 59-IIA“ იყო.

მომდევნო, „ტიპ 69“-ში ჩინური კონსტრუქციის გლუვლულიანი 100 მმ-იანი ქვემეხი მოისინჯა, მაგრამ სროლის სიზუსტე დაბალი გამოდგა და „ტიპი 69-II“-დან ტანკებზე ისევ კუთხვილიანი 100 მმ-იანი ქვემეხი გამოჩნდა, ოღონდ ორსიბრტყიანი სტაბილიზატორითა და ცეცხლის მართვის ახალი სისტემით.

1984 წლის ოქტომბერში სამხედრო აღლუმის დროს ყურადღების ცენტრში ტანკი „ტიპი 79“ მოექცა.

ტანკს 105 მმ-იანი ქვემეხი (ინგლისური L7A3-ის ანალოგი) ჰქონდა და წინამორბედ „ტიპ 69-II“-ისაგან კოშკურის გარშემო დამაგრებული ცხაურები და ინგლისური კომპანია Markoni-s დახმარებით შექმნილი ცეცხლის მართვის სისტემა განასხვავებდა.

T-54-ის მრავალრიცხოვან ჩინურ მოდიფიკაციათა ბოლო წარმომადგენელი „ტიპი 80“ ჩინურმა კომპანია Norinko-მ 1984 წელს წარმოადგინა. კომპონირების კლასიკური სქემით აგებული ტანკის ერთ-ერთი დამახასიათებელი შემცირებული დიამეტრის 6 საყრდენი გორგოლაჭია. „ტიპი 80-III“-დან კოშკურაზე გამოსაცდელად მთავარი ადგილი საბჭოთა 125 მმ-იანი 2A46 ტიპის ქვემეხის ჩინურმა ანალოგმა დაიკავა.

ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ტანკი ჩინეთში წარმოებული მასალებითა და აგრეგატებით იყო დამზადებული და თითოეულს კონსტრუქციული სიახლეებიც ჰქონდა, მაგრამ მაინც საბჭოთა T-54-ის ხაზს აგრძელებდა.

ამიტომაც არაერთგვაროვან შეფასებას იმსახურებდნენ და სახელად „გაფუჭებული საბჭოთა ტანკიც“ მოუგონეს. ამის მიუხედავად, ჩინურმა ტანკებმა აფრიკა-აზიის მრავალ ქვეყანაში შეაღწიეს,




„ტიპი 99“: წონა - 54 ტონა, ძრავა - 1500-ცხ.ძალიანი, სვლის მარაგი - 600 კმ, სიჩქარე - 80 კმ/სთ-ში, შეიარაღება - 125 მმ-იანი ქვემეხი, 7,62 მმ-იანი და 12,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევები

ხოლო რუმინეთმა თავისი T-55-ისათვის ჩინეთში წარმოებული ლაზერული მანძილმზომები და ბალისტიკური გამომთვლელები გამოიყენა.

1986 წლის სამხედრო აღლუმზე განსხვავებული გარეგნობის სატანკო კოლონამ ჩამოიარა და ექსპერტებმა ტანკები „ტიპ 80"-ის ერთ-ერთ საცდელ მოდიფიკაციად ჩათვალეს. თუმც პრინციპული სხვაობა სახეზე იყო — კოშკურას ტრადიციული მომრგვალებულ-მოკვერცხილი ფორმის ნაცვლად, დასავლური ტანკების მსგავსად, კოშკურის კიჩოს ნაწილი დაგრძელებული ჰქონდა.

ტანკს აღნიშვნა „ტიპი 85" მიენიჭა და ჩინურ ტანკმშენებლობაში დასაბამი მისცა ახალ ეტაპს, რითაც „ტიპი 59"-ის დაუსრულებელი გაუმჯობესების პროცესი დასრულდა.

„ტიპი 85"-ის შედუღებით დამზადებულ კოშკურას მრავალშრიანი დაჯავშნა აქვს და საჭიროების შემთხვევაში შუბლის პროექციაზე დინამიკური დაცვის დამატებითი ელემენტების დაყენება არის გათვალისწინებული.

პირველი პროტოტიპები 105 მმ-იანი კუთხვილიანი ქვემეხებით იყო აღჭურვილი, ხოლო „ტიპი 85-IIM"-იდან შეიარაღება 125 მმ-იანი გლუვლულიან ქვემეხზე გადავიდა.

ქვემეხი საბჭოთა 2A46-ის ანალოგია. არის ვარაუდი, რომ ჩინელებმა ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთ ქვეყანაში ნაყიდი T-72 შესწავლის მიზნით დაშალეს და შემდეგ შეიარაღებასა და საინტერესო აგრეგატ-კვანძებს კოპირება გაუკეთეს.

„ტიპი 85-IIM" პაკისტანის შეკვეთით შეიქმნა, ხოლო ჩინეთმა საკუთარი არმიისათვის ანალოგის („ტიპი 88C") კონსტრუქციულ სრულყოფისა და სერიული წარმოებისათვის ტექნოლოგიური ხაზების გამართვას კიდევ რამდენიმე წელი მოანდომა.

მესამე თაობის ტანკი „ტიპი 90" ჩინეთ-პაკისტანის ერთობლივი პროექტია და მისი დემონსტრირება 1991 წელს შედგა. პროექტში ბრიტანული და ფრანგული ფირმებიც მონაწილეობდნენ. ტანკის საბოლოო ვარიანტი პაკისტანში აიწყო.

კონსტრუქციაში T-72M-ის შასი და ჯავშანკორპუსია გადმოტანილი და რაც ყველაზე საინტერესოა, პრაქტიკულად, ყველა მოწყობილობა და შეიარაღება (მცირე გამონაკლისის გარდა) ოფიციალურად ან ლიცენზიის უფლებით არის ნაყიდი. სპეციალისტთა დასკვნით, ტანკში 55% სიახლეა, ხოლო დანარჩენი კი ძველი მოდელებიდან არის აღებული.


ZBD-97: წონა - 20 ტონა, სვლის მარაგი - 500კმ, სიჩქარე - 65 კმ/სთ-ში, შეიარაღება – 100 მმ-იანი ქვემეხი, 30 მმ-იანი ავტომატი და 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი, ტევადობა – 10 კაცი

1995 წელს რუსეთიდან I-80m-ების პარტია შემოვიდა და აირტურბინიანმა ამ ტანკმა ადგილობრივ სპეციალისტებს ახალი იდეებისკენ უბიძგა, რაც რამდენიმე წელიწადში მომდევნო ტანკში — „ტიპ 98"-ში აისახა.

დასავლური თანამედროვე ტექნოლოგიებისა და რუსული ტანკების დაღებით მხარეთა შერწყმით შექმნილი „ტიპი 98" პირველად 1999 წლის 1-ელ ოქტომბერს პეკინში ტიანმინის მოედანზე აღლუმში გამოჩნდა.

ტანკს T-72M-ის მსგავსი კორპუსი აქვს. მსგავსება განსაკუთრებით წინა ნაწილშია შესამჩნევი. კოპირებულია მართვის ორგანოები და სავალი ნაწილიც, თუმც საყრდენ გორგოლაჭებს შორის მანძილი ოდნავ არის გაზრდილი.

ტანკში ულიცენზიო საბჭოთა 125 მმ-იანი ქვემეხი და მექანიზებული დატენის ავტომატია გამოყენებული. ავტომატურ რეჟიმში ქვემეხი 8, ხოლო ხელით დატენისას კი 1-2 გასროლას აკეთებს.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ ჩინეთმა ისრაელის დახმარებით 125 მმ-იანი ქვეკალიბრიანი ურანისგულანიანი ჭურვების წარმოებაც აითვისა, რომელიც ტანკის გასროლებში შედის.

მოდულური სქემით შესრულებულ დაჯავშნაში დაზიანებული ბლოკების შეცვლა შეიძლება, გათვალისწინებულია ასევე დასაკიდი დინამიკური დაცვის ელემენტების გამოყენება.

ყველაზე საინტერესო ნაწილს ტანკის ლაზერული დაცვის აქტიური სისტემა JD-3 წარმოადგენს.

კოშკურის უკანა ნაწილზე დამაგრებული სოკოსმაგვარი გადამწოდი 360 გრადუსის დიაპაზონში ლაზერულ დასხივებაზე რეაგირებს და ინფორმაცი-


105 მმ-იანი ქვემეხით აღჭურვილი ZBD-2000




„ტიპი 92A“ — წონა - 15 ტონა,
ძრავა - 320 ცხ.ძალიანი, სვლის მარაგი - 600 კმ,
სიჩქარე - 85 კმ/სთ-ში, შეიარაღება - 12,7 მმ-იანი
ტყვიამფრქვევი, ტევადობა - 12 კაცი

ას ეკიპაჟს ატყობინებს. ამის შემდეგ ირთვება გამაფრთხილებელი სისტემა და დასხივების წყაროსკენ ლოკაციური დანიშნულების სუსტი სიმძლავრის ლაზერული სხივი იგზავნება. სამიზნის ზუსტი მდებარეობის განსაზღვრისთანავე სხივის სიმძლავრე მომენტალურად მატულობს — შედეგად მოწინააღმდეგის დამიზნების სისტემა მწყობრიდან გამოდის და ოპერატორი ბრმავდება.

ხელის რეჟიმში სისტემა მოულოდნელად აღმოჩენილი ტანკსაწინააღმდეგო განწესის ან ჯავშანტექნიკისა თუ დაბალ სიმაღლეებზე მფრენ შვეულმფრენთა ეკიპაჟის დასაბრმავებლად გამოიყენება.

სისტემა ასევე მორგებულია ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტების სამიზნეებზე გასაყვანად.

სამხედრო გამოფენებზე ჩინელებმა რამდენჯერმე წარადგინეს მსგავსი ლაზერები და ირწმუნებიან, რომ 10 კმ-ზე ადამიანის თვალების დაზიანება შეუძლიათ.

ტანკის დაცვის სისტემებში აგრეთვე შედის რუსებისაგან ნაყიდი ოპტიკურ-ელექტრონული ჩახშობის სისტემა ТШУ-2 Штора-ს ჩინური ანალოგი.

2001 წელს ჩინეთის მთავრობამ ახალი ტანკის „ტიპი 99“-ის შექმნის თაობაზე განცხადება გააკეთა და იმავე წლის ბოლოს ტანკების პირველი პარტია არმიას გადაეცა.

ტანკის შეიარაღება, ქვემეხის დატენის მექანიზმი და სავალი ნაწილი „ტიპი 98“-ის იდენტურია. შედუღებით დამზადებულ კოშკურას განსხვავებული კონფიგურაცია აქვს და შუბლის პროექცია ძირითადი ჯავშნის ზევიდან ჩაშენებული დინამიკური ელემენტებით არის გაძლიერებული. კოშკურის კიჩოს კალათის ცხაური ასევე დინამიკური ელემენტებით არის დაცული.

ელექტრონულ აღჭურვილობაშია ლაზერული დაცვის აქტიური სისტემა JD-3, რომელიც გაეროს 1995 წლის 13 ოქტომბრის კონვენციის თანახმად აკრძალულ იარაღთა რიცხვს მიეკუთვნება.

სპეციალისტები „ტიპ 99“-ს მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო ტანკად თვლიან. მისი ღირებულება დაახლოებით 2 მილიონი დოლარია.

ჩინეთის ტერიტორიაზე ბევრი წყალუხვი მდინარე მიედინება, რომელთა სწრაფი ფორსირება და აგრეთვე სანაპიროზე საზღვაო ქვეითთა დესანტირება



მსუბუქ ჯავშანტექნიკას მოითხოვს. ამიტომ გასაკვირი არც არის, რომ ჩინური ტანკმშენებლობის ერთ-ერთი მიღწევა მცურავი და მსუბუქი ტანკებია.

მცურავი ტანკების გამოშვება 50-იანი წლების ბოლოდან დაიწყო, როცა ერთ-ერთმა ქარხანამ საბჭოთა ПТ-76-ის სერიული წარმოება აითვისა.

ტანკმა ჩინური აღნიშვნა „ტიპი 60“ მიიღო. რამდენიმე ხნის შემდეგ კონსტრუქტორებმა მისი გაუმჯობესებული ვერსია — „ტიპი 63“ შექმნეს, რისთვისაც „ტიპი 62“-ის ნახევრად სფერული ფორმის სამკაციანი საბრძოლო კოშკურა გამოიყენეს. აქვს სტაბილიზირებული 85 მმ-იანი ქვემეხი და ცურვისას მსუბუქად დაჯავშნულ თუ დაუჯავშნავ სამიზნეებთან ბრძოლა თავისუფლად შეუძლია.

„ტიპი 63“-ის შასიზე კი მცურავი ჯავშანტრანსპორტიორები, 122 მმ-იანი თვითმავალი ჰაუბიცები, 35 მმ-იანი შეწყვილებული საზენიტო თვითმავალი დანადგარები და სხვა საბრძოლო ტექნიკაა დამზადებული.

მაგრამ ყველაზე საინტერესო მაინც საშუალო ტანკის „ტიპი 59“-ის მსუბუქ „ტიპი 62“-ად გადაკეთების პროექტია, სადაც ჩინელმა ინჟინრებმა საკმაოდ ორიგინალური გზა მოძებნეს და თავის კლასში საცეცხლე შესაძლებლობებით ყველაზე ძლიერი ტანკი დაამზადეს.

პროტოტიპის თითქმის მასშტაბურად შესამცირებლად და კონსტრუქციის გასამარტივებლად რთული სისტემების გამოყენებაზე უარი ითქვა. კორპუსი-კოშკურის ჯავშნის სისქის შემცირებით, ნაკლები წონა-გაბარიტების აგრეგატების გამოყენებითა და უფრო კომპაქტური კომპონირებით ტანკის წონამ 15 ტონით დაიკლო.

ტაივანთან დაძაბული ურთიერთობის გამო „ტიპი 63“-ის საფუძველზე შექმნილ მცურავ ტანკ „ტიპი 99“-ს ახალი კოშკურა და სტაბილიზირებული 105 მმ-იანი კუთხვილიანი ქვემეხი აქვს.

ცვლილებებმა წონის გაზრდა გამოიწვია და ცურვადობის შესანარჩუნებლად კორპუსს ცხვირსა და კიჩოში ახალი სექციები დაემატა. სიგრძეში მომატებული ტანკისთვის პრობლემად იქცა დასერილი რელიეფის დაძლევა.

ქვეითთა საბრძოლო მანქანებზე პროექტირებაზე ჩინეთმა მუშაობა შედარებით გვიან დაიწყო და Norinko-ს პირველი პროექტი 1980-იანი წლების მეორე ნახევარში შექმნილი „ტიპი 86“ იყო.

ეს საბრძოლო მანქანა ეგვიპტიდან ჩამოტანილი საბჭოთა БМП-1-ის კოპირების ჩინურ ტექნოლოგიათა კიდევ ერთი სერიული ნიმუშია და მაინც შუალედური მნიშვნელობის პროექტად დარჩა.



ZBD-2000: სვლის მარაგი - 500 კმ, სიჩქარე - 65 კმ/სთ-ში, შეიარაღება - 30 მმ-იანი ავტომატი და 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი

გასული საუკუნის ბოლო წლებში ახალი საბრძოლო მანქანის პროექტირებისას ჩინეთმა დახმარებისათვის რუსეთს მიმართა და БМП-3-ის საექსპორტო ორქვემეხიანი შეიარაღებით შეიძინა.

2003 წელს გამოჩნდა საბრძოლო მანქანა „ტიპი 97“, რომელსაც რუსულ БМП-3-თან მსგავსება საკმარისზე მეტი ჰქონდა, მით უფრო, რომ ორივე ერთნაირ შეიარაღებას ატარებს.

საზღვაო ქვეითთა ნაპირზე სწრაფად და უფრო დაცულად დესანტირებისათვის „ტიპი 97“-ის ბაზაზე საბრძოლო მანქანა ZBD-2000 შეიქმნა. მანქანა 30 მმ-იანი ავტომატით არის აღჭურვილი, ხოლო თხელი ჯავშანი ტყვიებისგან დაცვაზეა გათვლილი.

ZBD-2000-ის შასი გამოყენებულია დესანტის მხარდასაჭერი 105 მმ-იანი მცურავი ტანკის დასამზადებლად.

საჰაერო მედესანტეთა შეიარაღებაში შემავალი მედესანტეთა საბრძოლო მანქანა ZLC-2000 ჩინურ კონსტრუქციად ითვლება, მაგრამ რუსული БМД-ის ტექნიკურ გადაწყვეტათა გამეორებით.

ჩინეთის არმიის განკარგულებაში შემავალ ბორბლებიან ჯავშანტრანსპორტიორებს „ტიპი 90“-ს (6X6), „ტიპი 92A“-ს (6X6), „ტიპი 93“-ს (6X6) და სხვ. ტყვიებსაწინააღმდეგო დაჯავშნა აქვს და წვრილკალიბრიანი სხვადასხვა სახის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით არის აღჭურვილი.

**შალვა გოგიბერიძე**

„ტიპი 63“: წონა - 18,5 ტონა, ძრავა - 240-ცხ.ძალიანი, სვლის მარაგი - 260 კმ, სიჩქარე - 50 კმ/სთ-ში, შეიარაღება - 85 მმ-იანი ქვემეხი, 7,62 მმ-იანი და 12,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევები



ეროვნული ბიბლიოთეკა



# სიმაგრე „ჰოლანდიის“ დაცემა

1940 წლის 10 მაისს გერმანელ პარაშუტისტთა ცალკეული საიერიშო ჯგუფის 438-მა მებრძოლმა კაპიტან ვალტერ კოხის მეთაურობით მოულოდნელი იერიშით ბელგიის თავდაცვით სიმაგრეთა ცენტრალური ფორტი ებენ-ემაელი დაიკავა. მინიმალური დანაკარგით ჩატარებული ეს ბრწყინვალე ოპერაცია სპეცდანიშნულების ნაწილების ისტორიაში სამაგალითოდ შევიდა და გერმანიის საპარაშუტო-ეგერული ჯარების სავიზიტო ბარათად იქცა.

ამ წარმატებამ დიდი ხნით ჩრდილში მოაქცია იმავე დღეს ჰოლანდიაში დაწყებული პირველი სტრატეგიული საჰაერო-სადესანტო ოპერაცია, რომელიც გეგმა „გლების“ (Gleb — ყვითელი) შემადგენელი ნაწილი იყო და საფრანგეთის, ბელგიის, ჰოლანდიისა და ლუქსემბურგის ოკუპაციას გულისხმობდა. ამ ოპერაციაში პირველად გადაწყდა ავიასადესანტო ნაწილების (15 ათასი მებრძოლი) გამოყენება.

1935 წლის სექტემბერში კიევის, სკვირისა და ბერდიჩევის მიდამოებში ჩატარდა წითელი არმიის „სიღრმისეული ოპერაციების“ თეორიის დამუშავებაზე გათვლილი მანევრები. მანევრებს დამკვირვებლების სტატუსით ესწრებოდნენ ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, გერმანიისა და ჩეხოსლოვაკიის სამხედრო წარმომადგენლები. სწავლების დროს პირველად განხორციელდა მსხვილი საპარაშუტო-სადესანტო ძალების — ათას კაცზე მეტი მოწინააღმდეგის ზურგში დესანტირება — ორი მსროლელი პოლკის ორი ათას ხუთასი მებრძოლის ტყვიამფრქვევებით, მცურავი ტანკებითა და ქვემეხებით გადმოსხდომა.

სწავლებებმა გერმანიის სამხედრო ხელმძღვანელობაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და უკვე 1936 წელს მესამე რაიხის ავიაციის მინისტრმა ერიხ მილხმა საპარაშუტო-საეგერო ნაწილების შექმნის ბრძანება გასცა. მაშინდელ გერმანიაში ჯერ კიდევ არ არსებობდა, ასე თუ ისე, ნათელი კონცეფცია საჰაერო-სადესანტო ნაწილების გამოყენების შესახებ.

1937 წლისათვის გერმანია საფრანგეთის აღმოსავლეთით მაჟინოსა და ჩეხეთ-გერმანიის საზღვართან სუდეტების მთებში, ლიბერეცის მძლავრ თავდაცვით ხაზებს შორის იყო მოქცეული. ამიტომ პარაშუტისტთა გამოყენების თაობაზე აზრთა სხვადასხვაობა გაჩნდა.

შეიარაღებული ძალები — ვერმახტი პრობლემის „ვერტიკალური გადაჭრისაკენ“ იხრებოდა. საჰაერო ძალების — ლუფტვაფეს შტაბისტები მხარს უჭერდნენ დესანტის 1891-1905 წლებში გერმანიის ჯარების გენერალური შტაბის უფროსის, ფონ შლიფენის კონცეფციას, რომელიც მცირე სადივერსიო ჯგუფების კონკრეტული მიზნისთვის მტრის ღრმა ზურგში გამოყენებას გულისხმობდა. ასეთ სამიზნეებად კი შეიძლება ყოფილიყო შტაბები, მართვის პუნქტები და სხვ. ვერმახტის სახმელეთო ჯარების მთავარსარდლობა კი პირიქით, შეტევით ოპერაციაში მსხვილი სადესანტო ძალების გამოყენების მომხრე იყო.

1938 წელს გენერალ-მაიორი შტუდენტი ჯერ ლუფტვაფეს საჰაერო-სადესანტო ჯარების სარდლად დაინიშნა, ხოლო მცირე ხნის შემდეგ კი მე-7 ავიასადესანტო დივიზია ჩაიბარა. შტუდენტმა სერიოზულად მოჰკიდა საქმეს ხელი და მოკლე ხანში თავის დივიზიას პატრიოტული სული შთაბერა. თუმც მსხვილი სადესანტო ძალების არმიული შეხედულებით გამოყენების მომხრე იყო.

1939 წლისთვის გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალების საპარაშუტო ჯარები მე-7 ავია და 22-ე ქვეითთა დივიზიებს აერთიანებდა. ამ უკანასკნელის დანიშნულება მოწინააღმდეგის ზურგში პლანერებისა და სატრანსპორტო თვითმფრინავების დაჯდომის მეთოდით გადასროლა იყო. ამ ძალების შემადგენლობაში „გენერალ გერინგის“ პოლკის სადესანტო ბატალიონიც შედიოდა.

საპარაშუტო დესანტის გამოყენება ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის ოკუპაციისას იგეგმებოდა, მაგრამ ბოლო მომენტში სარდლობამ გეგმა უარყო.

გერმანიის საჰაერო-სადესანტო ძალების რამდენიმე ასეულმა საბრძოლო ნათლობა 1940 წელს დანიისა და ნორვეგიის ოპერაციებში მიიღო.

## გერმანელთა გეგმები

გეგმა „გლების“ პირველი ვარიანტი გულისხმობდა ნეიტრალურ ჰოლანდიაში გერმანული ჯარების შეჭრას სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სექტორიდან, რომელიც ნეიტრალურ ჰოლანდიასა და ქალაქ მაასტრიხტს შორის მდებარეობდა. გერმანელთა ვარაუდით, ამ ტერიტორიის ხელში ჩაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებით ნიდერლანდების მთავრობა დახმარებისთვის საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს მიმართავდა. ამიტომაც გეგმის მეოთხე ვარიანტში ნიდერლანდების მთლიანად ოკუპაციის პუნქტი გაჩნდა.

ქვეყნის მრავალრიცხოვანი მდინარისა თუ არხის სანაპიროები და ხიდები ჰოლანდიელთა თავდაცვისათვის მოსახერხებელი იყო, რასაც გერმანიის უმაღლესმა სარდლობამ მსხვილი საჰაერო დესანტი დაუპირისპირა. ოპერაცია პარაშუტისტთა გამოყენებით მურდეიკსა და როტერდამ-ჰაგას შორის ხიდებისა და სტრატეგიული მნიშვნელობის აეროდრომების დაკავებას ითვალისწინებდა, რაც მე-18 არმიას როტერდამისა და ჰააგის სწრაფად დაკავების საშუალებას აძლევდა.

ოპერაციის უშუალო ხელმძღვანელობა გენერალ შტუდენტს დაევალა, ხოლო მართვისთვის შეიქმნა საგანგებო ორგანო — ავიასადესანტო კორპუსის შტაბი, რომელიც მე-2 საჰაერო ფლოტის სარდალს, გენერალ-ფელდმარშალ ადოლფ კესელრინგს დაემორჩილა.

სამხედრო-სატრანსპორტო ავიაციის 1-ელ და მე-2 საგანგებო დანიშნულების ბომბდამშენთა ესკადრებს (430 თვითმფრინავი) ავიაციის გენერალი ვილჰელმ შპაიდელი მეთაურობდა.

პარაშუტისტთა ჰაერიდან მხარდასაჭერად საგანგებოდ ამ ოპერაციისთვის გენერალ-მაიორ რუდოლფ პუტცირის მეთაურობით სპეცდანიშნულების საავიაციო კორპუსი (250 გამანადგურებელი და 170 ბომბდამშენი) გამოიყო.

ოპერაციის პირველივე საათებში მე-7 საავიაციო დივიზიის 3,5 ათასი პარაშუტისტი მდინარეების ვაალისა და მაასის ნაპირებთან დაეშვებოდა და ხიდებსა და ოთხ მნიშვნელოვან აეროდრომს დაიკავებდა.

მომდევნო ეტაპზე აეროდრომები სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავებით გადმოყვანილ 22-ე ქვეითთა დივიზიის (მეთაური გენერალ-ლეიტენანტი ჰუგო ფონ შპონეკი) 12 ათას ჯარისკაცს მიიღებდა.

ავიასადესანტო კორპუსში მომზადებული ოპერაცია ასევე მოიცავდა ჯგუფ „ზიუდის“ მიერ მურდეიკში, დორდრეხტსა და როტერდამში ხიდებისა და ვაალხავენის აეროპორტის დაკავებას.

დღის ბოლოსთვის როტერდამის მიდამოებში გენერალ შტუდენტის მეთაურობით ოთხი ათას ექვსასი ჯარისკაცისა და ოფიცრის გადაყვანა იყო დაგეგმილი.

ფონ შპონეკის მეთაურობით ჯგუფი „ნორდი“ ჰააგის მახლობლად სამ აეროდრომს დაიკავებდა, ქალაქს ალყაში მოაქცევდა და სამეფო ოჯახთან ერთად ქვეყნის ხელისუფლებას დაატყვევებდა. ოპერაციისათვის სამ ჯგუფად გაყოფილი 9 ათას 300 ჯარისკაცისა და ოფიცრის დესანტირება იყო დაგეგმილი.

## ჰოლანდიელთა გეგმები

1940 წლისთვის ჰოლანდიის შეიარაღებულ ძალებს მხოლოდ ათამდე დივიზია ჰყავდა და მიზანი მხოლოდ ქვეყნის ნაწილის, ე.წ. „ჰოლანდიის სიმაგრის“ დაცვა იყო, რომელიც სახელმწიფოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენდა.

ქვეყნის ეს ნაწილი მოიცავდა ჩრდილოეთ ჰოლანდიის, სამხრეთ ჰოლანდიისა და უტრეხტის პროვინციების ქალაქებს: ამსტერდამს, ჰააგას, როტერდამსა და თავად უტრეხტს. დაცვას ექვემდებარებოდა აგრეთვე პროვინცია ზელანდია, რომელიც ომის შემთხვევაში საფრანგეთიდან და ინგლისიდან დახმარების მიღების შესაძლო მიმართულებად განიხილებოდა.

ჰოლანდიის შეიარაღებული ძალების სარდალმა, გენერალმა ვინკელმანმა მე-2 და მე-4 საარმიო კორპუსის 4 დივიზია ეისელმერის ტბასა და მდინარე ლეკს შორის განალაგა. ლეკსა და მდინარე მაასს შორის სექტორს ორი ბრიგადა იცავდა. მაასსა და ბელგიის საზღვარს შორის მე-3 საარმიო კორპუსი და მსუბუქი დივიზია განლაგდა, ხოლო 1-ელი საარმიო კორპუსის ორი დივიზია ჰააგა-როტერდამ-ამსტერდამის სამკუთხედში რეზერვად იდგა.

## შეჭრა

1940 წლის 10 მაისს, გამთენიისას დაიწყო გერმანელების შეჭრა ჰოლანდიაში. პირველივე საათებში ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში, ვალკენბურგში „ნორდის“ პარაშუტისტებმა აეროდრომი დაიკავეს, მაგრამ დაჯდომის დროს მოწინავე „იუნკერსები“ ტალახში ჩაეფლნენ.

ამის გამო თვითმფრინავების ერთი ნაწილი იძულებით ჰააგის ჩრდილოეთით პლაჟზე დაჯდა, ხოლო მეორე კი, ვინც ეს ვერ შეძლო, უკან, გერმანიაში გაბრუნდა.

აეროდრომს ჰოლანდიურმა ავიაციამ და არტილერიამ შეუტია, რის გამოც დაახლოებით 600-მა პარაშუტისტმა უკან დაიხია და ახლომდებარე სოფელში, ხოლო მეორე — 350-კაციანი ჯგუფი კი აეროდრომის დასავლეთით რამდენიმე კილომეტრში გამაგრდა.

რთული მდგომარეობა შეიქმნა იპენბურგში, სადაც პარაშუტისტები ისე გაიფანტნენ, რომ აეროდრომის გაკონტროლებას ვერ ახერხებდნენ.

იერიშის პირველივე საათებში გერმანელებმა 12 „იუნკერსი“ დაკარგეს, ხოლო დანარჩენები კი ვალკენბურგის მახლობლად მინდვრებში, ქალაქ ბერკელის რაიონსა და როტერდამ-ჰააგის გზატკეცილზე სხდებოდნენ.

იმავე დღის ბოლოს ჰოლანდიელთა ძალებმა ბრიტანეთის სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალების დახმარებით იპენბურგის აეროდრომი მტრისაგან გაწმინდეს.

ძალიან გაუჭირდათ გერმანელებს ოკენბურგშიც. უშუალოდ სამოქმედო



გერმანელ პარაშუტისტთა დესანტირება




გერმანელი მედესანტეები გადაადგილების დროს ველოსიპედებს იყენებდნენ

რაიონში დესანტირება მხოლოდ პარაშუტისტთა მეოთხედმა მოახერხა, ხოლო დანარჩენები ერთმანეთს დიდი მანძილით დაშორდნენ. დესანტს ჰოლანდიელებმა არტილერიითა და ავიაციით შეუტიეს, ტყვედ 130 გერმანელი აიყვანეს და მის ნაშთს სამხრეთისკენ დახევა აიძულეს. დარჩენილი 350 მებრძოლით გენერალი ფონ შპონეკი თავდაცვაზე გადავიდა.

ჰააგის თავზე ჰოლანდიელებმა ჩამოაგდეს ორი თვითმფრინავი, რომელთაგან ერთში გერმანელთა 22-ე ქვეითთა დივიზიის შტაბის მაღალჩინოსნები ისხდნენ. თვითმფრინავის ნამსხვრევებში სამეფო ოჯახის დატყვევების გეგმა იპოვეს.

სამეფო ოჯახმა და ხელისუფლების წარმომადგენლებმა დიდი ბრიტანეთის სამხედრო ხომალდებით ქვეყანა სასწრაფოდ დატოვეს და ინგლისში გაემგზავრნენ. დედოფალ ვილჰელმინას სამშობლოს გასაჭირში მიტოვება არ სურდა, მაგრამ ინგლისელებმა მისი დაყოლიება მოახერხეს.

10 მაისის საღამოსათვის ჯგუფმა „ნორდმა“ დაგეგმილი სამი აეროდრომიდან ვერც ერთი ვერ აიღო, რადგან დაგეგმილი ძალების მხოლოდ ერთი მესამედის გამოყენება შეძლო. მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ ფონ შპონეკს სარდლობამ როტერდამისკენ გადაადგილება და ჯგუფ „ზუდთან“ შეერთება უბრძანა, მაგრამ ცუდი კავშირის გამო ბრძანება დაგვიანებით, მხოლოდ 11 მაისისთვის შესრულდა.

გაცილებით შედეგიანი გამოდგა „ზუდის“ მოქმედება. ჯგუფის მებრძოლები ექვს ადგილას ზუსტად გადმოსხდნენ და მურდეიკში ორი ხიდი თითქმის უბრძოლველად დაიკავეს.

შედეგიანი გამოდგა მურდეიკის ჩრდილოეთით დორდრეხტში ჩატარებული მოქმედებები, თუმც დანაკარგიც მეტი იყო.

როტერდამის ცენტრში მდინარე მაასზე 12 გერმანული ჰიდროთვითმფრინავი დაჯდა და 120 ჯარისკაცი გადმოსხდა. მედესანტეებმა ხიდები, როტერდამის ცენტრში მდებარე აეროპორტი და ვაალხავენის აეროდრომი დაიკავეს.

ჰოლანდიელები ავიაციისა და სამხედრო ხომალდების მხარდაჭერით კონტრშეტევაზე გადასვლას ცდილობდნენ, მაგრამ ჩანაფიქრი ვერ შესრულდა — გერმანელთა ჭარბმა ძალებმა შეტევები ადვილად მოიგერიეს.

10 მაისის საღამოსთვის „ზუდის“ მდგომარეობა საიმედო იყო — ისინი სრულად აკონტროლებდნენ ვაალხავენის აეროპორტს, მურდეიკისა და დორდრეხტის ხიდებს.

როტერდამის ცენტრში გერმანელთა პოზიცია გაცილებით სუსტი იყო, ხოლო 11 მაისის დილიდან ჰოლანდიელთა შეტევა თითქმის ყველა მიმართულებით ერთბაშად გაძლიერდა. იერიშები ბელგიიდან შემოსული ფრანგული ჯარების ავანგარდთან შეერთებაზე იყო გათვლილი.

როტერდამში ქალაქის კომენდანტის, პოლკოვნიკ შაროს მეთაურობით, ავიაციისა და არტილერიის მხარდაჭერით რამდენიმე იერიში მიიტანეს, მაგრამ უშედეგოდ.

11 მაისის საღამოს „ზუდს“ მურდეიკსა და დორდრეხტს შორის პირდაპირ გზატკეცილზე დაშვებული პარაშუტისტთა ორი ასეული დაემატა.

12 მაისის დილას ჰოლანდიელთა მსუბუქმა დივიზიამ გერმანელი პარაშუტისტები ზურგისგან მოწყვიტა, მაგრამ იმავე დღის საღამოს მე-9 სატანკო დივიზიამ ჰოლანდიელები უკუაგდო და პარაშუტისტებს შეუერთდა.

13 მაისს ჰოლანდიელებმა ძალისხმევა გააძლიერეს მურდეიკის ხიდის ჩრდილოეთით გერმანულ პლაცდარმზე, მაგრამ თითქმის მოგებული ბრძოლის დროს ჰოლანდიელმა საზღვაო ქვეითებმა მოულოდნელად უკან დაიხიეს. ამ დროს კი ერთ-ერთ სახლში ბლოკირებულ გერმანელ პარაშუტისტებს თეთრი დროშა უკვე მომზადებული ჰქონდათ.

## „ციხესიმაგრე ჰოლანდიის“ დაცემა

ჰოლანდიის დაპყრობა გაჭიანურდა. 1940 წლის 14 მაისს ჰიტლერმა გამოსცა დირექტივა №11, სადაც აღიარა, რომ ნიდერლანდების არმია გაცილებით უკეთესად მომზადებული იყო და ისეთ შეტევებს გაუძლო, რომელსაც გერმანელები არ მოელოდნენ.

14 მაისის დილას პოლკოვნიკმა შარომ მიიღო გერმანელთა ულტიმატუმი, რომლის ვადა იმავე დღის 12 საათსა და 30 წუთზე იწურებოდა. შარომ დროის მოგების მიზნით დოკუმენტზე ხელის მოწერის უტყუარობაში ეჭვი შეიტანა და სანამ საკითხს ნათელი მოეფინებოდა, გერმანულმა ავიაციამ როტერდამის ცენტრი დაბომბა, რასაც ათასობით მშვიდობიანი მოქალაქე შეეწირა.

პოლკოვნიკმა შარომ ქალაქის ჩაბარების ულტიმატუმს იძულებით ხელი მოაწერა და საღამოს ჰოლანდიის შეიარაღებული ძალების სარდლობამ ჯარებს ცეცხლის შეწყვეტა უბრძანა. იმავე დღეს ბედის ირონიით სს-ს ჯარების სპეცრაზმელებმა შემთხვევით თავში მძიმედ დაჭრეს გენერალი შტუდენტი.

მეორე დღეს კი, 15 მაისს ჰოლანდიის შეიარაღებული ძალების სარდალმა გენერალმა ვილკელმანმა და გერმანიის მე-18 არმიის მეთაურმა გენერალმა გეორგ ფონ კიუხლერმა ხელი დაზავების აქტზე მოაწერეს.

მაგრამ ნიდერლანდებისათვის ომი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული. ზელანდიაში გაშლილი მე-60 და 68-ე ფრანგული ქვეითი დივიზიები ზეიდბეველანდის ნახევარკუნძულს ფლობდნენ. 16-17 მაისს სს-ის პოლკმა „დოიჩლანდმა“ ლუფტვაფეს მხარდაჭერით პორტი ფლისინგენი და პატარა ქალაქი

მიდლბურგი დაიკავა და 68-ე დივიზიის ერთი ბატალიონი დაატყვევა. 17 მაისს, გვიან ღამით, ფრანგული ქვედანაყოფები სამხედრო გემებზე მოთავსდნენ და სამშობლოსკენ გასცურეს.



ჰოლანდიელთა საზენიტო არტილერია

## შედეგები

გერმანელთა ავიასადესანტო კორპუსის სადესანტო ოპერაციამ მიზანს მიაღწია და ნიდერლანდების ოკუპაცია ხუთ დღეში მოხერხდა. მაგრამ ეს ყველაფერი გერმანელებს ძალზე ძვირად დაუჯდათ: დაიღუპა და დაიჭრა 2300 პარაშუტისტი, ხოლო 1600 კი ტყვედ ჩავარდა, მათგან 1200 დიდი ბრიტანეთის კუნძულებზე გაიყვანეს. ოპერაციაში მონაწილე ათასი თვითმფრინავიდან ჰოლანდიელებმა 330 ჩამოაგდეს.

ყველაზე მეტად გაუჭირდა გერმანელთა მე-2 საპარაშუტო პოლკს ვალკენბურგის, იპენბურგისა და ოკენბურგისათვის ბრძოლებში, როცა დაგეგმილ რაიონში გადმოსხდომა ვერ შეძლეს, მიმოიფანტნენ და დიდი დანაკარგიც განიცადეს.

ჰოლანდიელთა მედგარმა წინააღმდეგობამ ბევრი პრობლემა შეუქმნა 22-ე დივიზიასაც. გერმანელმა მედესანტეებმა ვერ მოახერხეს აეროდრომების დასაჯდომი ზოლების დაცვა, რის გამოც „იუნკერსები" გზატკეცილებზე და საავტომობილო გზებზე სხდებოდნენ და მაშინვე ჰოლანდიელთა ცეცხლქვეშ ხვდებოდნენ.

დიდი დანაკარგის მიუხედავად, პარაშუტისტ-ეგერთა ნაწილებმა დასახული ამოცანა მაინც შეასრულეს და ჰოლანდიელთა ჯარების საკომუნიკაციო ხაზებზე პანიკა დათესეს, რითაც მოწინააღმდეგის თავდაცვის დეზორგანიზაცია გამოიწვიეს.

ჰოლანდიის შეიარაღებულმა ძალებმა ვერმახტს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს. განსაკუთრებით დიდი დანაკარგი გერმანელმა მედესანტეებმა ჰოლანდიელთა საზღვაო სამეფო ქვეითთა ნაწილებთან ბრძოლებში განიცადეს.

1940 წლის ივნისში საფრანგეთის ოკუპაციის შემდეგ, გერმანელები პარაშუტისტ-ეგერების გამოყენებას დიდი ბრიტანეთის კუნძულების დასაპყრობადაც აპირებდნენ, მაგრამ ოპერაცია ჰიტლერმა უარყო. სამაგიეროდ, მედესანტეებმა ახალი ბრძანება მიიღეს და მონაწილეობდნენ ოპერაცია „მერკურში", რომელიც ხმელთაშუა ზღვის კუნძულ კრეტის ოკუპაციას გულისხმობდა.

ამ ოპერაციაში მსხვილი საპარაშუტო დესანტის გამოყენების შემდეგ მსგავსი სადესანტო დანაყოფები მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში შეიქმნა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩინური ბალისტიკური რაკეტა ამერიკულ ავიამზიდებს დაემუქრება

## პეკინის განცხადებით, „ჩრდილოეთის ქარს“ აშშ-ის ნებისმიერი ავიამზიდის ჩაძირვა 20 წთ-ში შეუძლია



**გამარჯობა. მე ჟურნალ „არსენალის“ ერთგული მკითხველი, 20 წლის გიორგი მელაძე ვარ. მადლობელი ვიქნები, თუ ჟურნალში დაიწერება მასალა ახალი ჩინური რაკეტა DF-21D-ის შესახებ, რომლის საშუალებითაც, ჩინეთის თქმით, ის აშშ-ის ავიამზიდების განადგურებას შეძლებს.**

რამდენიმე ხნის წინ აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების წყნარი ოკეანის ფლოტის სარდალმა რობერტ უილარდმა ოფიციალურად განაცხადა, რომ ჩინეთმა მოსალოდნელ ვადაზე ადრე ჩაატარა სარაკეტო კომპლექსს Dongfeng 21D-ის გამოცდა და ამჟამად მის საბრძოლო მორიგეობაზე დასაყენებლადაც კი მუშაობს. ამ სარაკეტო კომპლექსის სახელი „აღმოსავლეთის ქარს“ ნიშნავს, მას ნიშნულიც აქვს — DF-21D.

ჩინეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსში შექმნილი „აღმოსავლეთის ქარი“ მნიშვნელოვნად ცვლის წყნარი ოკეანის აუზში ძალთა თანაფარდობას, რადგან მისი დანიშნულება ავიამზიდთა დამრტყმელი ჯგუფების განადგურებაა.

სახმელეთო ბაზირების ამ კომპლექსის უპირატესობა ის არის, რომ ის აშშ-ის ავიამზიდთა შენაერთებს არ მისცემს კონტინენტური ჩინეთის ნაპირებიდან რამდენიმე ასეულ კილომეტრზე მიახლოების საშუალებას. ამ აკვატორიაში შედის ტაივანის სრუტის წყლებიც, რომელიც აშშ-ის მოკავშირეა.

ამგვარად, ჩინეთის „უსაფრთხოების ზონა“ ე.წ. „კუნძულების მეორე რკალამდე“ გაფართოვდება — იაპონიის კუნძულებიდან მარიანის კუნძულებისა და გუამის გავლით პალაუმდე. ამ ზონას ჩინეთი მოსაზღვრე აკვატორიად მიიჩნევს, მაგრამ აქ თავისუფლად მოქმედებს აშშ-ის ფლოტიც, რომელსაც სამხრეთ კორეასა და იაპონიაში საზღვაო ბაზები აქვს.

ჩინეთი ნელ-ნელა უახლოვდება თავის მიზანს, რომ ყვითელ, აღმოსავლეთ ჩინეთისა და სამხრეთ ჩინეთის ზღვებში აშშ-ის შემოჭრა შეუძლებელი გახადოს.

ჯერ კიდევ გასული წლის სექტემბერში განაცხადა აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა, რომ ხომალდსაწინააღმდეგო ბალისტიკური რაკეტების შექმნის სფეროში ჩინეთის წარმატების შემთხვევაში ღია ზღვაში ავიამზიდების გამოყენების ტაქტიკა მთლიანად შესაცვლელი იქნება, რადგან ეს უკანასკნელი ამგვარი სახის შეიარაღებისგან ყოვლად დაუცველია. ამიტომაც კომპლექსი DF-21D ისტორიაში შევა როგორც იარაღი, რომელსაც აშშ-ის სიამაყის ავიამზიდების განადგურება შეეძლება.

ჩინური სარაკეტო სისტემა ჯერ გამოცდის სტადიაშია და მისი ზუსტი დამიზნების სისტემის გამართულობაზე ჯერ კიდევ მუშაობენ. მაგრამ სამხედრო ანალიტიკოსების თქმით, „აღმოსავლეთის ქარი“ აშშ-ისთვის საფრთხეს უკვე დღეს წარმოადგენს — ჩინეთს თანამედროვე თანამგზავრული დაზვერვის უქონ-




სავარაუდოდ სწორედ ასეთი იერი ექნება „ჩრდილოეთის ქარს“. ფოტოზე მისი ბირთვულქობინიანი ბალისტიკური ვარიანტია აღბეჭდილი

ლობის კომპენსირება რაკეტების რაოდენობით შეუძლია.

სამხედრო ექსპერტების თქმით, ამ რაკეტას მართლა შეუძლია რეგიონში სამხედრო ბალანსის შეცვლა, თუმცა რამდენად არის ის ახლო სერიულ წარმოებასთან, უცნობია. ამგვარი იარაღის შექმნა ბევრი ტექნიკური პრობლემის გადაჭრას ითხოვს. ხომალდსაწინააღმდეგო ბალისტიკური რაკეტის შექმნაზე თავის დროზე უარი საბჭოთა კავშირმაც კი თქვა.

60-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირში რაკეტმშენებლობის ნამდვილი ბუმი იყო. ქვეყნის ხელისუფლება არც ერთი სახის იარაღს არ უთმობდა იმდენ ყურადღებას, რამდენსაც ბირთვულქობინიან სტრატეგიულ ბალისტიკურ რაკეტებს. იმ პერიოდში უკვე განიხილებოდა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შექმნის შესაძლებლობა და ბალისტიკურ რაკეტებს მოწინააღმდეგის ამგვარი სისტემის გადალახვაც უნდა შესძლებოდათ. აქედან გამომდინარე, რაკეტის მეორე საფეხურს მანევრირების უნარი უნდა ჰქონოდა. სწორედ მაშინ გაჩნდა ამგვარი მანევრირებადი საბრძოლოქობინიანი საფეხურის, რადიოკონტრასტულ სამიზნეზე დამიზნების იდეა. ასეთი სამიზნის როლში კი, რა თქმა უნდა, აშშ-ის ავიამზიდები გამოდიოდნენ.



წყალქვეშა ნავი K-102 და ბალისტიკური რაკეტა P-27K (ქვედა ფოტო)

მოდიფიკაცია — 4K18
სიგრძე — 9მ
დიამეტრი — 1.5მ
სასტარტო მასა — 13250კგ
სროლის მაქსიმალური მანძილი — 900კმ
საბრძოლო ქობინის ტიპი — მონობლოკური
საწვავის ტიპი — თხევადი
საფეხურების რაოდენობა — 2



„ცივი ომის" დაწყებისთანავე ნათელი გახდა, რომ ავიამზიდები, მათი მობილურობითა და ბორტზე არსებული არც ისე მცირე თვითმფრინავების რაოდენობით დიდ საფრთხეს წარმოადგენენ. თავის მხრივ, აშშ ახალი ავიამზიდების მშენებლობასა და ძველების მოდერნიზაციაში კოლოსალურ თანხებს დებდა. 1956-57 წლებში ქვეყანაში ახალი კლასის ავიამზიდების „კიტი ჰოკისა" და „კონსტელეიშენის" მშენებლობა დაიწყო. ერთი წლის შემდეგ კი მსოფლიოში პირველ ატომურ ავიამზიდ „ენტერპრაიზს" ჩაეყარა საფუძველი. საბჭოთა კავშირს ამ მხრივ ადეკვატური პასუხის გაცემა არ შეეძლო და ძალთა თანაფარდობის შესანარჩუნებლად აქცენტი რაკეტებზე ჰქონდა გადატანილი.

ძალთა თანაფარდობა კი ხომალდსაწინააღმდეგო ბალისტიკურ რაკეტებს უნდა აღედგინდა, რომელთა განთავსებაც წყალქვეშა ნავებზე იგეგმებოდა. 60-იანი წლე-

ბალისტიკური რაკეტების მოქმედების რადიუსები





ავიამზიდების მაღალი სიცოცხლისუნარიანობის დამადასტურებელი ფაქტი

ბის პირველ ნახევარში საბჭოთა კავშირში წყალქვეშა ნავებისთვის განკუთვნილ ახალ ბირთვულქობინიან ბალისტიკურ რაკეტა P-27-ზე დაიწყო მუშაობა. მისი ერთ-ერთი მოდიფიკაცია P-27K იმ ახალი სახის იარაღს წარმოადგენდა, რომელსაც ომის დაწყების შემთხვევაში აშშ-ის ავიამზიდები უნდა გაენადგურებინა.

ორსაფეხურიან რაკეტას, ინდექსით 4K18, დამიზნების აეროდინამიკური და ბალისტიკური სისტემები ჰქონდა. ვარაუდობდნენ, რომ ავიამზიდის ჩასაძირად მცირე სიმძლავრის ბირთვული მუხტიც საკმარისი იქნებოდა.

რაკეტის სახმელეთო გამოცდის შემდეგ (კაპუსტინ იარის პოლიგონზე ჩატარებული 20 საცდელი გაშვებიდან 16 წარმატებულად ჩაითვალა), შემდეგი ეტაპის ფარგლებში რაკეტის წყალქვეშა ნავზე განთავსება გადაწყდა. ამ უკანასკნელის როლში 629-ე პროექტის დიზელ-ელექტრული წყალქვეშა ნავი შეირჩა, რომელიც ხომალდსაწინააღმდეგო ბალისტიკური რაკეტის საბაზო მოდიფიკაცია P-27-ის მატარებელი საშუალება იყო. გადაკეთება 605-ე პროექტის მიხედვით მხოლოდ ერთმა წყალქვეშა ნავმა გაიარა. 1972 წლის დეკემბერში კი K-102-ის ბორტიდან რაკეტის პირველი გაშვება შედგა. საცდელად სულ 31 რაკეტა გაუშვეს, საიდანაც 26-მა სამიზნე გაანადგურა ან განადგურებულად ჩაითვალა. მაგრამ კომპლექსი არ მიიღეს შეიარაღებაში, მიზეზად სხვადასხვა ფაქტორი სახელდებოდა. პირველ რიგში იმ პერიოდში საბჭოთა კავშირს არ გააჩნდა იმდენად ძლიერი კოსმოსური დაზვერვა, რომ აშშ-ის ყველა ავიამზიდის ადგილმდებარეობა გაეკონტროლებინა. საკმაოდ შორს იყო სრულყოფისგან თავად რაკეტის დამიზნების სისტემაც.

1972 წელს „სტრატეგიული შეიარაღებების შემცირება 2“-ის ხელშეკრულებით, 667B-ს პროექტის წყალქვეშა ნავები, რომლებზეც ხომალდსაწინააღმდეგო ბალისტიკური რაკეტების განთავსება იგეგმებოდა, ავტომატურ შემცირებაში მოხვდნენ.

1975 წელს რაკეტა P-27K-ს ექსპლუატაციაში არაოფიციალურად მიღების მიუხედავად, ოთხი ცალი მხოლოდ 605-ე პროექტის წყალქვეშა ნავზე დარჩა. ამ უკანასკნელის ექსპლუატაცია კი 1982 გაგრძელდა.

როგორც ჩანს, დღეს ჩინეთი ცდილობს იმას, რაც თავის დროზე საბჭოთა კავშირმა ვერ შეძლო, მაგრამ მთავარი პრობლემა, როგორც 50 წლის წინ, ისევ და ისევ რაკეტის დამიზნების სირთულეა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ავიამზიდის არც ისე მცირე გაბარიტების მიუხედავად, ის მოძრავი სამიზნეა. თუმცა სახომალდო შენაერთების ძლიერი ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების მიუხედავად, მათ არ შეუძლიათ ბალისტიკური რაკეტების საბრძოლო ქობინებისთვის გზის გადაჭრა.

დღეს აშშ-ს შეიარაღებაში 11 ავიამზიდი ჰყავს. აქედან 10 „ნიმიცის“ კლასის. ერთ-ერთი ბოლო, სახელწოდებით „ჯორჯ ბუში“, მწყობრში 2009 წლის 10 იანვარს ჩადგა. ავიამზიდი „ენტერპრაიზი“ აშშ-ის ფლოტის შემადგენლობაში ყველაზე ხანდაზმული ხომალდია თავის კლასში, რადგან უკვე 50 წელია მწყობრშია. თერთმეტივე ავიამზიდს ძალურ დანადგარად ატომური რეაქტორი აქვს.

„ნიმიცის“ კლასის ავიამზიდების წყალწყვა 97000 ტ-ს შეადგენს. ამ „მცურავი აეროდრომის“ სიგრძე 332.8 მ, სიგანე კი 76.8 მ-ია, ცურვის მაქსიმალური სიჩქარე კი 56 კმ/სთ-ს აღწევს.

უცნობია, ჩინური „აღმოსავლეთის ქარზე“ რა სახის საბრძოლო ქობინი გამოიყენება და სამიზნიდან რა სიდიდის სავარაუდო წრიული გადახრა ექნება. რაკეტის პირველ მოდიფიკაციაზე, რომელსაც 200-300-კილოტონიანი ბირთვული ქობინი ჰქონდა, სამიზნიდან ქობინის მაქსიმალური გადახრა 400 მ-ს შეადგენდა. ძნელი სათქმელია, რამდენად ზუსტი დამიზნების სისტემა აქვს DF-21D-ს, რომ ჩვეულებრივი, თუნდაც საკმაოდ ძლიერი საბრძოლო ქობინით ავიამზიდის ჩაძირვა შეძლოს. არც ის იცის არავინ, ავიამზიდიდან 400 მ-ში ბირთვული ქობინის აფეთქების შემთხვევაში რა ზიანს მიიღებს ავიამზიდი და შეინარჩუნებს თუ არა ცურვის უნარს. თუმცა ავიამზიდის ჩაძირვა არც ისე იოლია.

ამის საილუსტრაციოდ ერთი შემთხვევაც გამოდგება: 1969 წლის 14 იანვარს ავიამზიდ „ენტერპრაიზის“ ბორტზე საწვრთნელი ფრენები მიმდინარეობდა, როცა „ზუნის“ ტიპის უმართავი საავიაციო რაკეტის (წონა 20 კგ) ძრავა თვითნებურად ამუშავდა და ასაფრენად მომზადებულ მოიერიშე A-7-ს მოხვდა, რომელიც მაშინვე აფეთქდა.

გემბანზე ჯერ ძლიერი ხანძარი, ხოლო 9 წუთის შემდეგ საავიაციო ბომბების აფეთქება დაიწყო. სულ 8 ბომბი და რამდენიმე ათეული „ზუნის“ ტიპის რაკეტა აფეთქდა.

ცეცხლი 15 თვითმფრინავსაც მოედო და ხანძარი იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ მისი ჩაქრობა მხოლოდ 1 სთ-ის შემდეგ მოხერხდა.

ბომბების აფეთქებამ გემბანი რამდენიმე ადგილას გაარღვია. ძლიერი ხანძრისა და დაზიანებული გემბანის მიუხედავად, ავიამზიდმა ბრძოლისუნარიანობა მაინც არ დაკარგა.

ასეა თუ ისე, DF-21D-ს გამოყენებით პეკინი წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილზე კონტროლის დამყარებას აპირებს და ტაივანის პრობლემის სამხედრო გზით გადაჭრის შემთხვევაში ახალმა ჩინურმა სარაკეტო სისტემამ აშშ-ის ფლოტს შეიძლება დიდი საფრთხე შეუქმნა.

**თემურ პულუხაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა




# როგორ უნდა მოიპარო „მფრინავი ციხესიმაგრე"...

მეორე მსოფლიო ომის ბოლოს საბჭოთა კავშირი ახალი „პრობლემის" წინაშე დადგა — გერმანია და იაპონია დამარცხებული კი იყო, მაგრამ სტალინის გონებაში უკვე ახალი პოტენციური მოწინააღმდეგეები — აშშ და ინგლისი ისახებოდა. მაგრამ აშშ და ინგლისიც საკმაოდ შორს იყვნენ მოსკოვიდან და მათთან ხელჩართული ბრძოლა თითქმის გამორიცხული იყო. სამაგიეროდ, თავად ვაშინგტონი ემუქრებოდა საბჭოთა კავშირს ახალი, ზემძლავრი გამანადგურებელი იარაღით — ატომური ბომბებით.

„ცივი ომი" ესტაფეტას იღებდა და ასეთ კრიტიკულ მომენტში, მოულოდნელად, საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, შორეულ აღმოსავლეთში, ქ. უსურიისკთან იძულებით დაეშვა იმ დროისათვის მსოფლიოში საუკეთესო ამერიკული ბომბდამშენი B-29 — „მფრინავი ციხესიმაგრე". იაპონიის ერთ-ერთი საზღვაო პორტის დაბომბვისას საზენიტო არტილერიის ცეცხლმა ბომბდამშენს ფრთებში განთავსებული საწვავის ავზები დაუხვრიტა. უბენზინოდ დარჩენილმა ეკიპაჟმა გადაწყვიტა, სასწრაფოდ დაესვა თვითმფრინავი უახლოეს აეროდრომზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ოკეანეში დაშვებულ ბომბდამშენის ეკიპაჟს გარდაუვალი სიკვდილი ელოდა.

ასე ჩაუვარდათ ხელთ საბჭოელებს ამერიკული სუპერსაიდუმლო თვითმფრინავი.

ბომბდამშენის დაშვებიდან სულ რამდენიმე წუთში ინფორმაცია უკვე თავად სტალინს მოახსენეს. მან დაუყოვნებლივ შეკრიბა პოლიტბიურო და განაცხადა, ამერიკული ბომბდამშენი სასწრაფოდ იქნეს გადმოყვანილი მოსკოვში, უახლოეს თვეებში ჩვენმა კონსტრუქტორებმა მისხალ-მისხალ გადაიღონ ყველა დეტალი და დაამზადონ მისი, უკვე საბჭოთა ანალოგიო.

ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა. პოლიტბიუროს ზოგიერთ წევრს ეშინოდა, რომ გაბრაზებული ვაშინგტონი მოსკოვს შეუწყვეტდა ლენდ-ლიზით მისაწოდებელ ამერიკულ „სტუდებეკერებსა" და ჯიპებს, მაგრამ სტალინს მხარი ლავრენტი ბერიამ დაუჭირა და ცოტა ხანში, სწორედ ბერიას საიმედო მეთვალყურეობით საბჭოთა საავიაციო კონსტრუქტორებმა დაიწყეს ამერიკული ბომბდამშენის დეტალ-დეტალ კოპირება.

მკითხველმა იოლად რომ წარმოიდ-


სტალინის ბრძანებითა და ბერიას შიშით ამერიკული „მფრინავი ციხესიმაგრე" ერთი-ერთზე გადაიღეს

ეროვნული ბიბლიოთეკა




ამერიკული B-29-ის უკანონო „ძმა“ — საბჭოთა Ту-4

გინოს, განვმარტავთ, რომ მეორე მსოფლიო ომის ბოლოსათვის სწორედ ეს სტრატეგიული ბომბდამშენი B-29 წარმოადგენდა იმ ერთადერთ საშიშ ხელკეტს, რომლითაც ვაშინგტონი საბჭოთა კავშირის შუაგულ ტერიტორიებს შეიძლებოდა დამუქრებოდა; ერთადერთს კი იმიტომ, რომ 40-იანი წლების ბოლოს ჯერ კიდევ არ არსებობდა სტრატეგიული ბალისტიკური რაკეტები.

„მფრინავი ციხესიმაგრის“ ფრენის სიშორე თითქმის 6000 კმ-ს უტოლდებოდა, რაც ამერიკელებს საშუალებას მისცემდა იტალიის, საბერძნეთის ან თურქეთის სამხედრო აეროდრომებიდან დაებომბა საბჭოთა კავშირის ის შუაგული, სადაც საბჭოთა სამხედრო სამრეწველო კომპლექსის ძირითადი ქარხნები და ფაბრიკები იყო განლაგებული, დასაბომბი ობიექტების სიაში თბილისი პირველ ხუთეულში ხვდებოდა მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის და ბაქოს შემდეგ.

მაგრამ, რაც მთავარია, B-20 „მფრინავ ციხესიმაგრეს“ ერთი უდიდესი დადებითი მხარე ჰქონდა — შეეძლო ეზიდა პირველი თაობის უზარმაზარი ატომური ბომბები. ამერიკელებმა B-29-ის ეს უპირატესობა ორჯერ გამოიყენეს, როდესაც იაპონიის ქალაქებზე — ჰიროსიმასა და ნაგასაკიში ატომური ბომბები ჩამოყარეს.

არადა, 1945 წლისათვის ბერიას ხალხს ამერიკელებისათვის უკვე მოპარული ჰქონდა ატომური ბომბის შექმნის საიდუმლო და საქმეს მხოლოდ ამ ბომბის შორ მანძილზე გადამტანი თვითმფრინავის არარსებობა აფერხებდა.

და, აი, ბედნიერება მოსკოვს პირდაპირ ჰაერიდან ჩამოუფრინდა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

ამერიკული „მფრინავი ციხესიმაგრე“ სასწრაფოდ გადაიტანეს მოსკოვის ახლოს ზესაიდუმლო სამხედრო-საჰაერო ბაზაში, სადაც იგი რამდენიმე ათას წვრილ დეტალად დაშალეს. 60-ზე მეტი საკონსტრუქტორო ბიუროსა და სამეცნიერო-საგამოცდო ინსტიტუტის ათასობით სპეციალისტი გამადიდებელი შუშებითა და უზუსტესი სახაზავებით ზომავდა თითოეულ ამერიკულ დეტალს და ადგენდა მათ ნახაზებს. მაგრამ ამ ასლგადაღების დროს ახალი დიდი პრობლემა წამოიჭრა — ყველა ამერიკული დეტალი მეტრული სისტემით კი არა, არამედ დუიმებით, გირვანქებითა და ფუტების ათვლის სისტემით იყო დამზადებული. ბერიას მზვერავებს ახალი თავსატეხი გაუჩნდათ, მაგრამ მათ ეს პრობლემაც გადაწყვიტეს და გულუბრყვილო ამერიკელებისაგან ვითომდა სამოქალაქო საჭიროებისათვის შეიძინეს სხვადასხვა გასაზომი ხელსაწყო.

პარალელურად დაიწყო ათასობით მფრინავისა და შტურმანის მომზადება, რომლებსაც ფრენისას სიჩქარის გაზომვა არა მარტო კმ/სთ-ით, არამედ მილებითაც უნდა შესძლებოდათ.

ახალი თვითმფრინავის სახელი თავიდანვე განისაზღვრა — მას საავიაციო კონსტრუქტორის — ანდრეი ტუპოლევის ბიუროში აწყობდნენ. თუმცა, თავად ტუპოლევი დიდად აღტაცებული არ იყო, რადგან ცნობილ კონსტრუქტორს ზიზღს ჰგვრიდა თავად ქურდობის იდეა. თუმცა როგორც მოსალოდნელი იყო, ლავრენ-



ამერიკული ბომბდამშენი პატარ-პატარა ნაწილებად დაშალეს და დაწვრილებით შეისწავლეს

ორიოდ წელში საბჭოთა Ту-4-ების მთელი არმია უკვე თავად აშშ-ის ემუქრებოდა დაბომბვით



ტი ბერიას მეთვალყურეობით ამერიკული „მფრინავი ციხესიმაგრის“ უკანონო ძმა — Ту-4 წელიწად-ნახევარში აფრინდა ჰაერში. იგი აღჭურვილი იყო ოთხი შიდაწვის ძრავით, თითოეული 2.300 ც.ძ. სიმძლავრის, მისი სიჩქარე 578 კმ/სთ-ს აღწევდა, ფრენის სიშორე კი — 5.600 კმ/ს. ასაფრენი წონა — 47,6 ტ, შეიარაღება — 10 ქვემეხი და 4 ტ ბომბი იყო. 1947 წლის ვლისში მოსკოვის ცაში სამი Ту-4 იქნა საქვეყნოდ ნაჩვენები, ხოლო იმავე წლის ბოლოსათვის საბჭოთა კავშირს უკვე 20 ასეთი ბომბდამშენი ჰყავდა შეიარაღებაში.

ყველაზე დიდი კურიოზი კი ის იყო, რომ თავად ამერიკელები პირდაფჩენილნი უყურებდნენ მოსკოვის ცაში მონავარდე მათივე „მფრინავ ციხესიმაგრეებს“, რომელიც პენტაგონს არც ერთი ქვეყნისთვის არ ჰქონდა მიყიდული. არადა, ცაში სწორედ ამერიკული B-29-ები დაფრინავდნენ, ოღონდ საბჭოთა ვარსკვლავებით დამშვენებულნი და საბჭოთა ქარხნებში დამზადებული.

ეს იყო მსოფლიო ავიაციის ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევა, როდესაც ერთმა სახელმწიფომ მეორეს მოჰპარა თვითმფრინავის კონსტრუქცია და ზუსტად გაიმეორა.

ლავრენტი ბერიამ ყველა მკაცრად გააფრთხილა — უმცირესი ცვლილების შეტანის შემთხვევაშიც თავი მაგადანში დაიგულეთო. ალბათ, ამიტომაც ამერიკული „მფრინავი ციხესიმაგრიდან“ ყველა დეფექტიც კი გადაიღეს: B-29-ს ფრთაზე პატარა ნახვრეტი უპოვეს გამადიდებელი შუშით. სპეციალისტების აზრით, ეს ნახვრეტი თავად ამერიკულ ქარხანაში შეცდომით გააკეთეს, მაგრამ ბერიას შიშით, ყველა საბჭოთა Ту-4-ზე ასეთივე პატარა ნახვრეტი გაკეთდა. არანაკლებ კურიოზულ სიტუაციაში ჩავარდა ტუპოლევი, როცა აღმოჩნდა, რომ ამერიკული ბომბდამშენის ფიუზელაჟის შიგთავსის მცირე ნაწილი სხვა ფერისა იყო, — ეტყობა, ამერიკელ ჯარისკაცს საღებავი გაუთავდა. მაგრამ, რა უნდა ექნა ტუპოლევს? მას შემდეგ ყველა Ту-4-ს შიგთავსი ნახევრად შეღებილი დარჩა. ეს კი არა, თავდაპირველად Ту-4-ზე ამერიკული ვარსკვლავების დახატვასაც კი აპირებდნენ.

ასე იყო თუ ისე, „საუკუნის ქურდობამ“ საბჭოთა კავშირს მისცა ახალი ტექნოლოგიით აგებული ატომური ბომბის მატარებელი სტრატეგიული ბომბდამშენი Ту-4, რომლითაც სტალინს შეეძლო, დამუქრებოდა როგორც დიდ ბრიტანეთს, ისე დასავლეთ ევროპას, ხოლო შორეული აღმოსავლეთიდან ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტსაც კი.

**ირაკლი ალადაშვილი**

# ეს საინტერესოა




- ტბა ჰასანთან ბრძოლების დროს საბჭოელთა ტანკებს იაპონელი ჯარისკაცები უხვად ახარჯავდნენ მსუბუქი ცეცხლსასროლი იარაღის ტყვიებს. საბჭოთა ტანკები ბრწყინავდნენ, რადგან დაფარული იყვნენ ჯავშანზე მიმდნარი ტყვიებით. საქმე ის იყო, რომ იაპონური პროპაგანდა თავის სამხედროებს არწმუნებდა, რომ საბჭოთა ტანკები მუყაოსგან იყო დამზადებული.
- თანამედროვე რადარების შემუშავებამდე მფრინავი ობიექტების აღმოჩენის მიზნით სპეციალურად შერჩეულ ადამიანებს – „მიმყურადებლებას“ იყენებდნენ. 1914-1915 წლებში ლონდონის საჰაერო დარტყმებისგან დასაცავად ბრიტანელები ბრმებს იყენებდნენ, რადგან მათ სმენა გაცილებით უკეთესად აქვთ განვითარებული. მიმყურადებლები თავსდებოდნენ საგანგებოდ კონსტრუირებულ სავარძლებში, რომლებიც თავისუფლად ბრუნავდნენ ჰორიზონტალური და ვერტიკალური ღერძის გარშემო. მიმყურადებლებს შეეძლოთ თვითმფრინავის მიმართულება (აზიმუტი და ადგილის კუთხე) სამ გრადუსამდე ცდომილებით გამოეცნოთ!
- ბრაზილიაში ორმა დიდმოხელემ ვერ გაიყო კონტრაბანდული კუბური სიგარები. შედეგად, გაჩაღდა სამოქალაქო ომი, რომელიც 3.5 წელს გაგრძელდა.
- მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელებმა ჰოლანდიის ტერიტორიაზე მოწინააღმდეგის შეცდომაში შესაყვანად საიდუმლო რეჟიმის სასტიკი დაცვით დაიწყეს ცრუაეროდრომის მშენებლობა. აეროდრომის ინფრასტრუქტურის ყველა ელემენტი: რადარები, თვითმფრინავები, ავტომობილები, სადისპეტჩეროები – ყველაფერი დამზადებული იყო ხისა და მუყაოსგან. ცოტა ხანში გერმანელებს შრომა წყალში ჩაეყარათ, რადგან ერთ მშვენიერ დღეს აეროდრომს გადაუფრინა ინგლისურმა თვითმფრინავმა და გერმანელთა გასამასხარავებლად ჩამოაგდო ერთადერთი ბომბი, რომელიც ასევე ხისგან იყო დამზადებული.
- ბრიტანეთში მხოლოდ 1947 წელს გააუქმეს თანამდებობა, რომელზეც დანიშნული პირის მოვალეობა იყო ნაპოლეონის ზღვიდან შემოტევის შემთხვევაში ქვემეხის გასროლით განგაშის ატეხა.
- ვიეტნამის ომში ერთ-ერთმა ამერიკულმა თვითმფრინავმა ისეთი რთული მანევრი შეასრულა, რომ თავისივე გაშვებული რაკეტის მსხვერპლი გახდა.
- აშშ-ში, შტატ ნებრასკაში 25 დოლარად იყიდით ადმირალის დიპლომს, რომელიც ყველა სამხედრო ხომალდის მართვის უფლებას იძლევა ნებრასკის შტატის საზღვრებში. ცნობისთვის, ნებრასკის შტატი მდებარეობს აშშ-ის ცენტრალურ ნაწილში და უახლოეს ზღვას, ნებისმიერი მიმართულებით, 2000 კმ-ზე მეტი აშორებს.

*მოამზადა*
**ვახტანგ კაპანაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ანეკდოტები

● — გაჩერდი, გესვრი!
— კარგი, ხო, გავჩერდი!
— კარგი, ხო, გესვრი!

● მეგრელი ჯარისკაცი ეხვეწება გენერალს:
— ბატონო გენერალო, გამიშვით სახლში, ცოლი უნდა ვამშობიარო.
გენერალი, რა თქმა უნდა, გაუშვებს. სამი დღის შემდეგ მეგრელი ჩამოვა.
— რა ქენი, ბიჭი შეგეძინა თუ გოგო? — ეკითხება გენერალი.
— რა ვიცი, აბა, 9 თვის მერე გეტყვი.

● მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებმა მუმია აღმოაჩინეს და ვერაფრით დაადგინეს, რომელი ფარაონის იყო. ამ დროს კა-გე-ბეს 5-კაციანი ჯგუფი შევიდა სამარხში, ერთი საათის შემდეგ გამოვიდნენ და თქვეს:
— ტუტანხამონი ჰქვია მაგ ფარაონს.
— კი მაგრამ, როგორ გაიგეთ? — გაუკვირდათ მეცნიერებს.
— თვითონ აღიარა მაგ შობელძაღლმა, — ჩაილაპარაკა ერთ-ერთმა და სახიდან ოფლი მოიწმინდა.



ჯარისკაცური ცხოვრება აღსავსეა კურიოზებით და კარგ ანეკდოტს ბრძოლის ველზე თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი მეომრებისთვის ხშირად აუმაღლებია საბრძოლო სულისკვეთება. გამოგვიგზავნეთ „არსენალის“ რედაქციაში ფოტოები, კურიოზები, რომლებიც თქვენ ან თქვენს მეგობრებს გადაგხდენიათ, ასევე სასაცილო ანეკდოტები სამხედრო თემაზე, რათა კარგი განწყობა „არსენალის“ დანარჩენ მკითხველებსაც შევუქმნათ.
E-mail: arsenali@kvirispalitra.com
ტელ.: 896 104 401

# კARMYკატურა

## დონ-ჟუანი ტანკი



# ოჯახის ომი

## თანამედროვე მემატიანის ნაამბობი

იდგა ქორონიკონს აქეთ 2011 წელი. ერთმა კაცმა ტანად ახოვანმა და პირმშვენიერმა ხელფასი აიღო, მეგობრებში იქეიფა და რესტორნიდან გამოსულს გაახსენდა, რომ ცოლისთვის ხარკი ჰქონდა გადასახდელი. გული შიშისგან გადაუქანდა, მაგრამ რა ექნა, მხოლოდ ის მოიფიქრა, რომ დესპანი გაუგზავნა მეუღლეს. დესპანი სიდედრმა მიიღო, რომელიც ხარკის მომავალ თვემდე გადადებას ითხოვდა ყელგამოწეული. გაბრაზდა სიდედრი და სილა გააწნა დესპანს, თან მიაძახა, დესპანი არ იყო, ენას ამოგჭრიდიო.

დაბრუნდა დესპანი კაცთან და მოუყვა ყველაფერს. საომრად აიქოჩრა კაცი, მაგრამ ძლიერი იყო მტერი.

სიდედრს ქიმიური იარაღიც კი ჰქონდა. ადგა და მძინარე ქალიშვილი გაალვიძა, მერე მეზობლებში ხმა გაავრცელა, ჩემს მძინარე ქალიშვილს ჩემი სიძე დაესხა თავსო. ცოლს არ უნდოდა ქმართან ჩხუბი, მაგრამ თავისუფლების სიტკბო შეახსენა სიდედრმა და ომზე დაითანხმა. სალამო ხანს მშობლებისა და დაქირავებული მეგობრების ჯარით მოადგა ბინას კაცი და ბრძოლის წინ ასე მიმართა ლაშქარს: თუ ერთად ვიქნებით, არათუ სიდედრის მომხრეებს, თვით სიდედრსაც ადვილად დავამარცხებთო. გადავიდნენ შეტევაზე, მაგრამ ცოლი და სიდედრი კარგად გამაგრებულიყვნენ. ქმარმა დაზავება გადაწყვიტა და შერიგება ითხოვა. სიდედრმა რომაული ლეგიონერების ყიჟინით უპასუხა და პატრულის გამოძახებით დაემუქრა. ამ დროს მარჯვენა ფლანგიდან კაცის დედა დაწინაურდა და მომწამლავი ისარი ესროლა სიდედრს ენით: თუ შენს ქალიშვილს შეურიგდა ჩემი ბიჭი, მადლობა თქვიო. არც სიდედრი დარჩა ვალში, იმნაირი კაი ბიჭი ეძლეოდა, რა ჯანდაბად მინდოდა შენი ჯიბეგამოფხეკილი მუტრუკიო. სიმამრმაც გამოიღო ხელი, მარცხენა მხრიდან გაარღვია პატრულის კორდონი და მძაფრი გინების თანხლებით მუშტი უთავაზა სიძეს. ამ უკანასკნელმა ომში მძიმე არტილერია ჩართო: გაუთხოვარი 40 წლის და მიუშვა — მან სიმამრს სახე ჩამოკაწრა. ამის დანახვაზე სიდედრმა ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარასავით იკივლა და დამრტყმელი ძალით გადაეშვა ბრძოლაში — თავის პირად დაცვასთან, მერვე სართულის ბინადარ ლამარასთან ერთად მიიწევდა სიძისკენ, მისწვდა კიდეც და პერანგი შემოახია ბრძოლაში გახვითქულ კაცს. ამ დროს პატრული მოჩხუბრებს მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომისკენ მოუწოდებდა, მაგრამ ყურს არავინ უგდებდა.

უცებ იკივლა კაცის ცოლმა, ჩემი ქმარი მიყვარს და ჩვენს საქმეში ნუ ერევითო. კაცმა მაშინვე მხარი აუბა და ერთმანეთს გადაეხვივნენ. დარცხვენილი იდგნენ მძახლები ბრძოლის ველზე. წამო, ერთი ჭიქა დავლიოთო, შესთავაზა სიმამრმა მამათილს.

ასეა, რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოკლე კაბა



**ჩვენი დოსიე:**

გარშემოწერილობა 90-60-90

სიგრძე — რაც უფრო მოკლეა, მით ეფექტურია

ფერი — მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, გამჭვირვალე იყოს

ფსიქოტრონული იარაღი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იხვეწებოდა: ჯერ იყო კოჭამდე, XVI საუკუნიდან აიწია მუხლამდე, ხოლო XX საუკუნეში უკვე გვხვდება მუხლს ზემოთ. პირველადი წარმოებისგან განსხვავებით XX საუკუნის მოკლე კაბა გამანადგურებლად მოქმედებს ადამიანის (ძირითადად, მამაკაცის) თვალებსა და ტვინზე. ამ იარაღის ეფექტურად გამოყენების შემთხვევაში (ფეხის ფეხზე სექსუალურად გადადება) მამაკაცს უბნელდება გონება, მისი ტვინის ყველა უჯრედი ექცევა იარაღის გავლენის ქვეშ და ასრულებს ყველანაირ ბრძანებას. ინსტრუქტორებმა უკვე გამოიგონეს მოკლე კაბის კიდევ ერთი დამატება: მოკლე კაბა დეკოლტეთი – ამ იარაღით ხდება თანამდებობის პირების ზომბირება, და მისი მატარებელი ქალები ინიშნებიან თანამდებობებზე. დღევანდელ მსოფლიოში ასე დანიშნულ ქალთა რიცხვი მილიონს აჭარბებს. ერთადერთი საშუალება ამ იარაღისგან თავის დასაცავად ეჭვიანი ცოლია.

# ფოტოკომიკი




რუბრიკა მოამზადეს სულხან ნამჩევაძემ და გელა კორძაძემ

# ჩხუბი ქართული გაზეთისთვის

ეს ამბავი „არსენალის“ მთავარმა რედაქტორმა, ირაკლი ალადაშვილმა გვიამბო.

ჯარში 80-იანი წლების ბოლოს მომიწია სამსახურმა. სხვათა შორის, ჩემს ნაწილში ჯარისკაცებს ერთმანეთთან მშვენიერი ურთიერთობა გვქონდა, მე კი, როგორც ყველა ქართველს, ტყუილუბრალოდ ბუზს ვერავინ ამიფრენდა, როგორც ჯარისკაცები, ისე ოფიცრობა. თუმცა სამოთხეში რომ იყო, მაინც ყველაფერი მშობლიური გენატრება, მით უმეტეს — ჯარში, თანაც შორეულ რუსეთში.

თვეში ერთხელ ფოსტით ქართული გაზეთები მომდიოდა. მიუხედავად იმისა, რომ მასში კომუნისტური მიღწევების გარდა ბევრი არაფერი ეწერა, მაინც სიამოვნებით ვკითხულობდი, ბოლოს და ბოლოს, ქართული ასოებით იყო დაწერილი. ყველა ნომერს საგულდაგულოდ, ძვირად ღირებული განძივით ვინახავდი. ერთხელ საწოლზე ვარ წამოწოლილი და ერთი ახმახი რუსი ჯარისკაცი შემოვარდა შეშლილი სახით. გამწარებული რაღაცას დაეძებდა, თან, „ბუმაგა, ბუმაგაო“ გაჰყვიროდა. ამ ალიაქოთში ჩემს კარადას მოუახლოვდა, გამოაღო, ჩემი ნალოლიავები გაზეთები გამოიღო და კარისკენ გავარდა. ბრაზისგან კინაღამ ტვინში სისხლი ჩამექცა, ვუღრიალე, რას აკეთებ, ახლავე თავის ადგილზე დააბრუნემეთქი. რატომო, გაიკვირვა რუსმა, რა მოხდა მერე, ტუალეტში მჭირდებაო.

დადე-მეთქი, გავუმეორე კბილების ხრჭიალით, აქ ქართული ასოებით წერია, შენ კიდე ტუალეტში გინდა იხმარო? რუს ჯარისკაცს კიდევ უფრო გაუკვირდა, კი მაგრამ, შენ რომ რუსულ გაზეთებს ხმარობო.

ამის თქმა იყო და, მუშტი ვუთავაზე. მოკლედ, სასტიკი ჩხუბი გაიმართა. სხვა ჯარისკაცებმა ერთხანს გაკვირვებით გვიყურეს, მერე კი სასწრაფოდ გაგვაშველეს. მე წამოვდექი, რუსს კი სახე დაემალა და მიუხედავად ჯარისკაცების ხვეწნისა, ფეხზე არ დგებოდა. თურმე იმ საცოდავს ის საქმე, რაც ტუალეტში უნდა ექნა, ჩხუბში მოეთავებინა.



# დასაკეცი შაშხანა ტურისტებისთვის

სტატიის სათაური ნამდვილად არ შეგვშლია, რადგან საუბარი იქნება არა დასაკეცკონდახიან, არამედ სწორედ დასაკეც შაშხანაზე.

ამერიკულმა კომპანიამ Kel-tec CNC Industries-მა 2003 წელს საიარაღო სამყაროს წარუდგინა თავისი უცნაური პირმშო — შუაზე დასაკეცი შაშხანა SU-16. ეს შაშხანა სამოქალაქო იარაღის კლასს განეკუთვნება და პირველ რიგში ტყეში სამოგზაუროდ წასული ტურისტების უსაფრთხოებისთვის არის განკუთვნილი. შუაზე დაკეცილი შაშხანის სიგრძე თითქმის 30 სმ-ით იკლებს და უფრო ადვილად თავსდება ტურისტის ზურგჩანთაში. ტყეში, მოულოდნელად ხიფათის წინაშე აღმოჩენილ ტურისტს სწრაფად შეუძლია საბრძოლო მდგომარეობაში მოიყვანოს დაკეცილი შაშხანა და მოიგერიოს მგელი თუ სხვა მტაცებელი ცხოველი. SU-16-ის კალიბრი — .223Remington-ი, რომელიც იგივეა, რაც ავტომატური კარაბინ M4-ის 5,56X45 მმ, ამის საშუალებას იძლევა. თუმცა ტურისტს ურჩევნია ამ მაინც შედარებით მცირეკალიბრიანი შაშხანით სადმე დათვს არ წააწყდეს.

SU-16-ს უყენდება ავტომატური შაშხანა M16-ისა თუ M4-ის 30-ვაზნიანი, ასევე 10 და 20-ვაზნიანი მჭიდები.

დასაკეცი შაშხანის (SU-16A და SU-16B მოდიფიკაციების) თავისებურება ის არის, რომ დაკეცილ მდგომარეობაში საბრძოლო გამოყენება, ანუ გასროლა, შეუძლებელია, რაც განპირობებულია როგორც უსაფრთხოების მოსაზრებით, ასევე იმითაც, რომ პოტენციურმა დამნაშავეებმა არ ეცადონ დაკეცილი და შესაბამისად, კომპაქტური შაშხანის კრიმინალური მიზნით გამოყენება.

მოდერნიზებულ SU-16C-სა და SU-16D-ში კი თავად იარაღი კი არ იკეცება შუაზე, არამედ მხოლოდ მათი კონდახები. შესაბამისად, ამ მოდიფიკაციების სროლა მაშინაც შეიძლება, როდესაც კონდახი დაკეცილია.

**ჩვენი დოსიე:** თვითდამტენი კარაბინი Kel-tec SU-16A ვაზნების გარეშე 2,3 კგ-ს იწონის. მისი სიგრძე 950 მმ-ია, დაკეცილ მდგომარეობაში კი 670 მმ-მდე მცირდება. ლულის სიგრძე 467 მმ-ს აღწევს. მჭიდში 5,56X45 მმ კალიბრის 30 ვაზნა თავსდება.



SU-16A სამ პოზიციაში:
საბრძოლო

არასაბრძოლო, დაკეცილ მდგომარეობაში

საბრძოლო, გაშლილი სალულეთი, რომელიც იარაღის საყრდენის ფუნქციას ასრულებს

SU-16A-სა და SU16B-ს ერთი საინტერესო ტექნიკური დეტალიც აქვს: მათი სალულე ორი ნაწილისგან შედგება და სურვილის შემთხვევაში ისინი 90 გრადუსით იშლება და იარაღის დასაყრდენი ფეხების როლს თამაშობენ.

D მოდიფიკაციაში სალულე უძრავად არის დამონტაჟებული და იგი, ფაქტობრივად, Picatinny rail-ის მიმმართველებს წარმოადგენს, რომელ-







პისტოლეტის ვაზნებზე გათვლილი SUB2000 საბრძოლო და დაკეცილ მდგომარეობაში (ზემოთ)

5,6 მმ კალიბრის PLR-22 (მარცხნივ)

SU-16C დაკეცილი კონდახით და საყრდენ ფეხებად გაშლილი სალულეთი (ქვემოთ)



ზეც თითქმის ნებისმიერი არსებული თანამედროვე ოპტიკური სამიზნის, ფარნისა და ლაზერული მიზანმომნიშვნელის დამაგრება შეიძლება.

დასაკეცი იარაღის შექმნის იდეა Kel-tec-ის პრეზიდენტს, შვედური წარმოშობის ამერიკელ კონსტრუქტორ ჯორჯ კელგნერს ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს გაუჩნდა, როდესაც შექმნა პირველი დასაკეცი შაშხანა SUB9, თუმცა ეს იარაღი ძვირი გამოდგა მცირე სერიით საწარმოებლად. 2000 წელს ამ ფირმამ საიარაღო ბაზარზე გაიტანა დასაკეცი კარაბინის მოდერნიზებული ვარიანტი SUB2000. ჩანს, მისი პოპულარობა იმანაც განაპირობა, რომ ამ კარაბინად წოდებული იარაღის ტარში თითქმის ყველა ცნობილი თანამედროვე პისტოლეტის მჭიდის მორგება შეიძლება, მათ შორის — 9 მმ-იანი Glock17-ის, GlocK19-ის, SIG-Sauer P226-ის, Beretta92-ის, ხოლო ლულის შეცვლის შემდეგ კი .40 კალიბრის (10 მმ-ი კალიბრის) Glock22-ის თუ Beretta96-ისა.

პისტოლეტის ტყვიაზე გათვლილი თითქმის უნივერსალური დასაკეცი კარაბინი ტურისტს საშუალებას აძლევდა თავიც დაეცვა და 100-150 მ სიშორეზე მიზანშიც მოერტყა.

ჩანს, Kel-tec-ის ფირმის მესვეურებმა მოგვიანებით მაინც გადაწყვიტეს ტურისტის არსენალის გაძლიერება ახალი SU-16-ით. თუკი „ლუგერის“ 9 მმ-იანი ტყვიის საწყისი სიჩქარე მხოლოდ 352 მ/წმ, ხოლო სალულე ენერგია 461 ჯოული იყო, ავტომატური კარაბინის M4-ის 5,56X45 მმ კალიბრის ვაზნის ტყვიის საწყისი სიჩქარე 930 მ/წმ-ს, ხოლო სალულე ენერგია კი 1790 ჯოულს შეადგენდა.

2008 წელს Kel-tec-მა იარაღის ის მოყვარულებიც გაახარა, რომლებიც პრაქტიკული სროლებისთვის შედარებით იაფ .22LR (ჩვენებურად „გეკოს“, 5,6 მმ) ტიპის ვაზნებს ხმარობენ. მათთვის გამოუშვეს თვითდამტენი კარაბინი SU-22 და უკონდახო ავტომატის მსგავსი PLR-22. ნამდვილი საბრძოლო ვაზნის მოყვარულთ გული რომ არ დასწყვეტოდათ, მათთვის იარაღის მაღაზიებში PLR-16-ები შეიტანეს, რომელიც როგორც SU-16, NATO-ს 5,56 მმ კალიბრის ვაზნებზეა გათვლილი.

**ირაკლი ალადაშვილი**



ISSN 1987 - 5061